



## შპს „მეგა პოლიტიკი“

კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნიაბში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი დანადგარისა და ნავთობპროდუქტების საცავის  
ექსპლოატაცია

### გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში

**მომზადებულია:** შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საკონსულტაციო  
და საგანმანათლებლო ცენტრი - ეკომეტრის“ მიერ

## ეპორეტი

დირექტორი: თინათინ ჟიჟიაშვილი

## სარჩევი

1.	შესავალი.....	4
1.1	ზოგადი მიმოხილვა.....	4
1.2	გზშ-ის ანგარიშის მომზადების საფუძველი.....	0
1.3	გზშ-ის ანგარიშის მომზადების მიზანი და ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/საძიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ ...	0
2.	საკანონმდებლო ჩარჩო დოკუმენტები.....	2
2.1	საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა.....	2
3.	საქმიანობის, მათ შორის წარმადობის გაზრდის საჭიროების დასაბუთება .....	5
4.	პროექტის აღტერნატიული ვარიანტების განხილვა .....	6
5.	ინფორმაცია საქმიანობის შესახებ, პროექტის აღწერა.....	9
5.1	საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა .....	9
5.2	ინფორმაცია საწარმოს 500 მეტრიან რადიუსში მდებარე საწარმოო ობიექტების და დასახლებული პუნქტის დაშორების შესახებ .....	9
5.3	საქმიანობის დეტალური აღწერა, ტექნოლოგიური პროცესი .....	12
5.3.2	ინფორმაცია ნავთობპროდუქტების საცავის შესახებ, ნავთობპროდუქტების მიღება-შენახვა-გაცემის პროცედურები.....	17
5.3.3	ინფორმაცია გადასამუშავებელი წედლეულის შესახებ, ინფორმაცია საწარმოს წედლეულით მომარაგების, წედლეულის რაოდენობისა და დასაწყობების პირობების შესახებ .....	18
5.3.4	ინფორმაცია მიღებული/წარმოებული პროდუქციის, მისი რაოდენობის, დროებითი განთავსებისა და შემდგომი რეალიზაციის შესახებ.....	19
5.3.5	ინფორმაცია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასა და გადამუშავებაზე ერთობლივი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების აღების შესაძლებლობის შესახებ .....	19
5.4	საწარმოს ფიზიკური მახასიათებლები, საწარმოს სამუშაო გრაფიკი, საპროექტო წარმადობა და სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობა .....	20
5.5	ინფორმაცია დასაქმებული ადამიანების რაოდენობის, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილის, ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ.....	21
6	წყლის გამოყენება და ჩამდინარე წყლები .....	21
6.3	სასმელ-სამურნეო წყლით მომარაგება .....	21
6.4	ტექნიკური/საწარმო წყლით მომარაგება, ბრუნვითი წყალმოხმარება .....	22
6.5	სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები .....	23
6.6	საწარმო ჩამდინარე წყლები, ინფორმაცია სალექარების შესახებ .....	23
6.7	სანიაღვრე წყლების მართვა .....	24
7	სალექარ ორმოებში წარმოქმნილი ლამის მართვის საკითხი .....	25
8	წედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების შესახებ დეტალური ინფორმაცია.....	26
8.1	წედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების მარშრუტების შესახებ (რუკაზე ჩვენებით, სერმატური ნახაზებით), ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკის და წედლეულის/პროდუქციის შემოტანა-გატანის პროცედურების სიხშირის მითითებით .....	26
8.2	ინფორმაცია დასახლებულ პუნქტ(ებ)ში გადაადგილების შესაბამისი პირობების შესახებ .....	26
8.3	ინფორმაცია წედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის გამოყოფილი ავტოტრანსპორტის შესახებ, რაოდენობის მითითებით .....	26

9	ინფორმაცია საწარმოო ტერიტორიასთან მისასვლელი გზების შესახებ, ასევე, ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების სქემასა და გეგმა-გრაფიკთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტთან კომუნიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია .....	27
10	ინფორმაცია საწარმოს სახანძრო უსაფრთხოების შესახებ, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები.....	29
11	რაიონის მოკლე ფიზიკურ-გეოგრაფიული დანასიათება .....	30
11.1	კლიმატი და მეტეოროლოგიური პირობები .....	30
11.2	სეისმურობა .....	35
11.3	მდ. მტკვრის ჰიდროლოგია .....	35
11.4	ბიოლოგიური გარემო .....	36
11.4.1	ცხოველთა სამყარო .....	36
11.4.2	მცენარეული საფარი .....	37
12	ზემოქმედების შეფასება.....	38
12.1	შესაძლო ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილება .....	38
12.2	ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და ტყის ფონდის მიწებზე .....	38
12.3	სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე ზემოქმედება, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.....	39
12.4	ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე .....	39
12.5	ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე .....	43
12.6	ზემოქმედების შეფასება ნიადაგზე და გრუნტის ხარისხზე .....	43
12.7	ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე .....	43
12.8	ზემოქმედება ზედაპირულ და მიწისქვეშა გრუნტის წყლებზე .....	43
12.9	სოციალურ გარემოზე ზემოქმედება, ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე .....	44
12.10	ნარჩენების წარმოქმნა და მისი მართვა .....	45
12.10.1	ნარჩენების მართვის საკითხები, ნარჩენების მართვის გეგმა, ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება .....	46
12.11	ზემოქმედების შეფასება ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისას, ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე, კუმულაციური ზემოქმედების შეფასება .....	54
12.12	ატმოსფერული ჰაერის ხარისხი, ზემოქმედების შეფასება, კუმულაციური ზემოქმედება .....	55
12.12.1	ატმოსფერულ ჰაერში გაფრენებულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი ძირითადი მახასიათებელი სიღიღები .....	58
12.12.2	ელექტროგამომთვლელ მანქანაზე გაბნევის განვითარების შედეგების ანალიზი .....	59
12.12.3	ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიში, მიღებული შედეგები და ანალიზი .....	71
12.12.4	ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრენების ნორმები .....	73
	მავნე ნივთიერებების დასახელება .....	74
12.13	ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება, კუმულაციური ზემოქმედების შეფასება .....	75
12.13.1	ხმაურის მოდელირება, ხმაურით გამოწვეული კუმულაციური ზემოქმედების შეფასება .....	81
12.14	გარემოზე შეუცვევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება .....	94
13	არაზელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში ობიექტის ფუნქციონირების შეზღუდვის ღონისძიებების გეგმა 94	
14	საპროექტო ტერიტორიის საკუთრების ან/და სარგებლობის ფორმა, შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია.....	95

15	სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასება .....	95
16	შესაძლო ავარიული სიტუაციების ანალიზი, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების დეტალური გეგმა ...	98
17	ობიექტის ექსპლუატაციის შეწყვევტის შემთხვევაში, გარემოს თავდაპირველ მდგომარეობამდე აღდგენის გზებისა და საშუალებების განსაზღრა .....	110
18	გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი .....	111
19	გარემოსდაცვითი მონიტორნგის გეგმა .....	119
19.1	გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა-გრაფიკი .....	120
20	ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის გეგმა .....	124
21	გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიები .....	124
22	სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული საკითხები ერთიანი ცხრილის სახით .....	127
23	დანართი 1 - მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან .....	133
24	დანართი 2 - საწარმოს გენ. გეგმა ხმაურის წყაროების დატანით .....	135
25	დანართი 3 - კასპის მუნიციპალიტეტის მერიის თანხმობა მისასვლელი გზების გამოყენებასთან დაკავშირებით .....	136
26	დანართი 4 - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის აქტი ხმაურის გაზომვასთან დაკავშირებით .....	137
27	დანართი 5 - გაბნევის ანგარიში .....	140

## 1. შესავალი

### 1.1 ზოგადი მიმოხილვა

შპს „მეგა ჰოლდინგს“ კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნიაბის ტერიტორიაზე არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთზე განთავსებული აქვს სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი დანადგარი. აღნიშნულ ტერიტორიაზე დანადგარი უკვე მრავალი წელია ფუნქციონირებს ჯერ შპს „თბილცემენტ გრუპის“, ხოლო კომპანიის სახელის ცვლილების შემდეგ შპს „მეგა ჰოლდინგის“ სახელით.

კომპანიის საქმიანობა, კერძოდ სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (2018 წლამდე) ძალაში შესვლამდე არ ექვემდებარებოდა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების აღებას, ამასთან „ატმოსფერული ჰაერის დაცვისა“ და „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად არ საჭიროებდა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის შემუშავებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანია ხელმძღვანელობს მოქმედი ტექნიკური რეგლამენტებით და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან პერიოდულად ათანხმებს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკურ ანგარიშს და წყალაღების ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას.

გამომდინარე იქიდან, რომ საწარმო უკვე მრავალი წელია ფუნქციონირებს, ბოლო პერიოდში წარმოების გაუმჯობესების მიზნით ჩატარდა გადაიარაღება, კერძოდ დანადგარს დაემატა ტექნოლოგიური ელემენტები, რამაც გააუმჯობესა საწარმოს დატვირთვის ხარისხი, რაც იმას ნიშნავს, რომ განახლებული დანადგარი მისი გაზრდილი სიმძლავრიდან გამომდინარე შესძლებს ნაცვლად დღეში 8 საათისა იმუშაოს 16 საათი. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოხდება გადასამუშავებული და წარმოებული ნედლეულის რაოდენობის ზრდაც.


ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია ნავთობპროდუქტების რეზერვუარი, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს სატრანსპორტო საშუალებების გამართვას საწვავით.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობები წარმოადგენენ საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის მე-5 პუნქტის, 5.1 ქვეპუნქტითა და მე-6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობებს, მომზადებულ იქნა სკრინინგის ანგარიში, რის საფუძველზეც, საქმიანობა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 30 ივნისის N172/ს ბრძანების შესაბამისად დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. ამასთან, აღნიშნულ საქმიანობაზე, 2022 წლის 9 სექტემბერს, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის N 303/ს ბრძანებით, გაიცა სკოპინგის დასკვნა

N56. წინამდებარე გზშ-ის ანგარიში მოიცავს სწორედ აღნიშნული სკოპინგის დასკვნითა და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებულ საკითხებს.

ცნობები საქმიანობის განმახორციელებლისა და იმ პირების შესახებ, რომელებიც მონაწილეობდნენ გზშ-ის ანგარიშის მომზადებაში, მოცემულია ცხრილში N1.1.

**ცხრილი N1.1 - ინფორმაცია საკონსულტაციო კომპანიისა და იმ კონსულტანტების შესახებ, რომლებიც მონაწილეობდნენ გზშ-ის ანგარიშის  
მომზადებაში**

გზშ ანგარიშის მომამზადებელი კომპანია	შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ცენტრი-ეკომეტრი“	
საიდენტიფიკაციო კოდი	405390973	
დირექტორი	თინათინ ჟიჟიაშვილი	
მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია	თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ზალდასტანიშვილის ქ. #16 577 380 113; 593 044 044	
ექსპერტები, რომლებიც მონაწილეობდნენ გზშ ანგარიშის მომზადებაში	პოზიცია	ხელმოწერა
თინათინ ჟიჟიაშვილი	გარემოს დაცვის სპეციალისტი	
მარიამ მირიანაშვილი	გარემოს დაცვის სპეციალისტი	
თამარ თოლორდავა	დენდროლოგი	

## **1.2 გზშ-ის ანგარიშის მომზადების საფუძველი**

შპს „მეგა ჰოლდინგი“-ს ზემოაღნიშნული საქმიანობა განეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-2 დანართის 5.1 და 6.3 ქვეპუნქტებით განსაზღვრულ საქმიანობას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურა არის შესაბამის კვლევებზე დაყრდნობით, გარემოზე შესაძლო ზემოქმედების გამოვლენისა და შესწავლის პროცედურა იმ დაგეგმილი საქმიანობისთვის, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე და რომელიც მიეკუთვნება ამ კოდექსის I დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას და სკრინინგის გადაწყვეტილების შესაბამისად, ამავე კოდექსის II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას.

გარემოზე ზემოქმედების შეფასება მოიცავს სკოპინგს, გზშ-ის ანგარიშის მომზადებას, საზოგადოების მონაწილეობას, უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებთან კონსულტაციების გამართვას, მიღებული შედეგების შეფასების საფუძველზე ექსპერტიზის დასკვნის მომზადებას და მის მხედველობაში მიღებას ამ კოდექსით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისას ან/და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი აღმჯურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას.

წინამდებარე გზშ ანგარიშის მომზადების საფუძველი არის სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 30 ივნისის N172/ს ბრძანებით გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილება და 2022 წლის 9 სექტემბერს, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის N 303/ს ბრძანებით გაცემული სკოპინგის დასკვნა N56.

## **1.3 გზშ-ის ანგარიშის მომზადების მიზანი და ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/საძიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ**

წინამდებარე გზშ ანგარიშის შემუშავების მიზანი არის საქმიანობის პროცესში არსებული რისკების გამოვლენა, პრევენციული ღონისძიებების დასახვა, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა და მონიტორინგის განხორციელება, იმის უზრუნველსაყოფად, რომ საქმიანობის განხორციელებით რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მიადგენს გარემოს სხვადასხვა კომპონენტებს. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს სახელმძღვანელო მასალას შპს მეგა ჰოლდინგისთვის, რათა კომპანიის მიერ კვალიფიციურად და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით მოხდეს გარემოსდაცვითი რისკების მართვა.

გზშ-ის მიზნების მიღწევისთვის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, გარემოს ობიექტებზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების სახეების განსაზღვრა, რაოდენობრივი შეფასება და მათი სივრცობრივი საზღვრების დადგენა, ასევე ზემოქმედების შემცირებისკენ ან აღმოფხვრისკენ მიმართული კონკრეტული შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავება.

დასახული ამოცანების გადაჭრის და საქართველოს საკანონმდებლო მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით წინამდებარე დოკუმენტის შემუშავების პროცესში შესრულდა შემდეგი სახის სამუშაოები:

- შესწავლილი იქნა საპროექტო ობიექტის ტექნიკური მახასიათებლები და ტექნოლოგიური ციკლი;
- შესწავლილი იქნა საქმიანობის ტერიტორიის და რაიონის ფონური მდგომარეობა;
- განხილული იქნა პროექტის განხორციელების ადგილმდებარეობის, ასევე საქმიანობის განხორციელების, მათ შორის გადაიარაღების აღტერნატივები და დასაბუთდა შერჩეული აღტერნატიული ვარიანტების უპირატესობები;
- შეგროვილი ინფორმაციის საფუძველზე განისაზღვრა პროექტის განხორციელებისა და ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი ემისიების სახეობები და რაოდენობა, გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედების რისკები;
- მოხდა მონაცემების ელექტრონული დამუშავება, გაკეთდა შესაბამისი გათვლები;
- შემუშავდა გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შერბილების ღონისძიებათა გეგმა, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, ნარჩენების მართვის გეგმა.

ცნობები საქმიანობის განმახორციელებლისა და იმ საკონსულტაციო ორგანიზაციის შესახებ, რომელიც მონაწილეობდა გზშ-ს ანგარიშის მომზადებაში, მოცემულია ცხრილში №1.3

#### **ცხრილი N1.3 – ცნობები კომპანიის შესახებ**

საქმიანობის განმახორციელებელი	შპს „მეგა ჰოლდინგი“
კომპანიის იურიდიული მისამართი	საქართველო, თბილისი, გლდანის რაიონი, ზაჟესი
კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერი	436031973
კომპანიის დირექტორი	პავლე ლოლაძე
საქმიანობის სახე	სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება
საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნიაბი
საკონსულტაციო კომპანია	შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საკონსულტაციო და საგანმანათლებლო ცენტრი - ეკომეტრი“
საიდენტიფიკაციო ნომერი	405390973
იურიდიული და ფაქტიური მისამართი	თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ზურაბ და თეიმურაზ ზალდასტანიშვილების ქ. N16
დირექტორი	თინათინ ჟიჟიაშვილი
საკონტაქტო ინფორმაცია	<a href="http://www.ecometer.org.ge">www.ecometer.org.ge</a> E-mail: <a href="mailto:info@ecometer.org.ge">info@ecometer.org.ge</a> ტელ: 593 044 044; 577 38 01 13

## 2. საკანონმდებლო ჩარჩო დოკუმენტები

### 2.1 საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა

საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა მოიცავს კონსტიტუციას, გარემოსდაცვით კანონებს, საერთაშორისო შეთანხმებებს, კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს, პრეზიდენტის ბრძანებულებებს, მინისტრთა კაბინეტის დადგენილებებს, მინისტრების ბრძანებებს, ინსტრუქციებს, რეგულაციებს და სხვა. საქართველოს რატიფიცირებული აქვს რამოდენიმე გარემოსდაცვითი საერთაშორისო კონვენცია.

საპროექტო სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი გარემოსდაცვითი კანონების მოთხოვნები (ცხრილი №2.1).

ცხრილი N2.1

მიღების წელი	კანონის დასახელება	სარეგისტრაციო კოდი
1994	საქართველოს კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ	370010000.05.001.018678
1995	საქართველოს კონსტიტუცია	010010000.01.001.016012
1996	საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ	360000000.05.001.018613
1997	საქართველოს კანონი ცხოველთა სამყაროს შესახებ	410000000.05.001.018606
1997	საქართველოს კანონი წყლის შესახებ	400000000.05.001.018653
1999	საქართველოს კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ	420000000.05.001.018620
1999	საქართველოს ტყის კოდექსი	390000000.05.001.018603
1999	საქართველოს კანონი საშიში ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ	040160050.05.001.018679
2003	საქართველოს წითელი ნუსხის და წითელი წიგნის შესახებ	360060000.05.001.018650
2003	საქართველოს კანონი ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ	370010000.05.001.018641
2014	საქართველოს კანონი სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ	130000000.05.001.01860

2007	საქართველოს კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ	470000000.05.001.018607
2014	ნარჩენების მართვის კოდექსი	360160000.05.001.018604
2017	გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი	360160000.05.001.018605

## 2.2 საქართველოს გარემოსდაცვითი სტანდარტები

წინამდებარე გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის დამუშავების პროცესში გარემო ობიექტების (ნიადაგი, წყალი, ჰაერი) ხარისხის შეფასებისათვის გამოყენებული იქნა შემდეგი გარემოსდაცვითი სტანდარტები (ცხრილი №2.2).

ცხრილი №2.2

მიღების თარიღი	ნორმატიული დოკუმენტის დასახელება	სარეგისტრაციო კოდი
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდიკა“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №435 დადგენილებით	300160070.10.003.017660
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების მეთოდიკა“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №408 დადგენილებით.	300160070.10.003.017622
3/1/2014	ტექნიკური რეგლამენტი - „აირმტვერდამჭერი მოწყობილობის ექსპლუატაციის შესახებ“ დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №21 დადგენილებით.	300160070.10.003.017590
2014	ტექნიკური რეგლამენტი - „ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზღჩ) ნორმების გაანგარიშების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №414 დადგენილებით.	300160070.10.003.017621
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის შესახებ“,	300160070.10.003.017650

	დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №425 დადგენილებით.	
3/1/2014	ტექნიკური რეგლამენტი - „არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №8 დადგენილებით.	300160070.10.003.017603
2014	გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტი - დამტკიცებული საქართველოს მთავრობის №17 დადგენილებით.	300160070.10.003.017608
2014	ტექნიკური რეგლამენტი - „საქართველოს ტერიტორიაზე რადიაციული უსაფრთხოების ნორმების შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №28 დადგენილებით.	300160070.10.003.017585
14/01/2014	ტექნიკური რეგლამენტის - „გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკა“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №54 დადგენილებით.	300160070.10.003.017673
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „კარიერების უსაფრთხოების შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №450 დადგენილებით.	300160070.10.003.017633
1/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №424 დადგენილებით.	300160070.10.003.017647
15.01.2014	ტექნიკური რეგლამენტი - სასმელი წყლის შესახებ დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №58 დადგენილებით.	300160070.10.003.017676
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „წყალდაცვითი ზოლის შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №440 დადგენილებით.	300160070.10.003.017640
4/8/2015	ტექნიკური რეგლამენტი - „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესი“. დამტკიცებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის №211 ბრძანებით	360160000.22.023.016334
17/08/2015	ტექნიკური რეგლამენტი - „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“. დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის N426 დადგენილებით.	300230000.10.003.018812
1/8/2016	საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს №422 დადგენილება „ნარჩენების აღრიცხვის წარმოების, ანგარიშგების განხორციელების ფორმისა და შინაარსის შესახებ“.	360100000.10.003.018808

### 2.3 საერთაშორისო ხელშეკრულებები

საქართველო მიერთებულია მრავალ საერთაშორისო კონვენციას და ხელშეკრულებას, რომელთაგან გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში მნიშვნელოვანია შემდეგი:

- ბუნებისა და ბიომრავალფეროვნების დაცვა;
- კონვენცია ბიომრავალფეროვნების შესახებ, რიო დე ჟანეირო, 1992 წ;
- კონვენცია საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების შესახებ, რამსარი 1971 წ;
- კონვენცია გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ (CITES), ვაშინგტონი, 1973 წ;
- ბონის კონვენცია ველური ცხოველების მიგრაციული სახეობების დაცვის შესახებ, 1983 წ.
- **კლიმატის ცვლილება:**
  - გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია, ნიუ-იორკი, 1994 წ;
  - მონრეალის ოქმი ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ, მონრეალი, 1987;
  - ვენის კონვენცია ოზონის შრის დაცვის შესახებ, 1985 წ;
  - კიოტოს ოქმი, კიოტო, 1997 წ;
  - გაეროს კონვენცია გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, პარიზი 1994.
- **დაბინძურება და ეკოლოგიური საფრთხეები**
  - ევროპის და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების ხელშეკრულება მნიშვნელოვანი კატასტროფების შესახებ, 1987 წ.
- **კულტურული მემკვიდრეობა:**
  - კონვენცია ევროპის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ;
  - კონვენცია ევროპის არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის შესახებ
- **საჯარო ინფორმაცია**
  - კონვენცია გარემოს დაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ (ორჟუსის კონვენცია, 1998 წ.).

### 3. საქმიანობის, მათ შორის წარმადობის გაზრდის საჭიროების დასაბუთება

როგორც უკვე აღინიშნა, შპს „მეგა პოლდინგს“ კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნიაბის ტერიტორიაზე არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთზე განთავსებული აქვს

სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი დანადგარი. აღნიშნულ ტერიტორიაზე დანადგარი უკვე მრავალი წელია ფუნქციონირებს ჯერ შპს „თბილცემენტ გრუპის“, ხოლო კომპანიის სახელის ცვლილების შემდეგ შპს „მეგა ჰოლდინგის“ სახელით.

უკანასკნელი წლების მანძილზე, ქვეყნის მასშტაბით გაიზარდა მოთხოვნა სამშენებლო რესურსზე. აღნიშნული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საჭირო გახდა სამშენებლო პროდუქციის რაოდენობის ზრდა. ამასთან, კომპანიას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღებული აქვს შედარებით ახალი ლიცენზიები, სასარგებლო წიაღისეულის, კერძოდ კი ქვიშა-ხრეშის მოპოვების მიზნით, რომელთა გადამუშავებისთვის საჭირო მოთხოვნებს არსებული დანადგარის ყველა ელემენტი ვერ აკმაყოფილებდა.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ კომპანიას საწარმოში დასაქმებული ჰყავს სულ 28 ადამიანი, საიდანაც 26 ადგილობრივი მოსახლეა, რაც მნიშვნელოვანი დადებითი ფაქტორია მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით.

თავდაპირველად კომპანია ფიქრობდა ახალი, დამოუკიდებელი სამსხვრევი დანადგარის მოწყობასა და ექსპლუატაციას, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ახალი დანადგარის მოწყობა უკავშირდებოდა დამატებით ზემოქმედებას არამხოლოდ მოწყობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე, კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება არსებულ დანადგარზე ჩატარებინა გადაიარაღება და შედარებით მოძველებული ტექნოლოგიური ელემენტები ჩატარებინა იგივე დასახელების და ფუნქციის მქონე, თუმცა შედარებით თანამედროვე, გაუმჯობესებული ელემენტებით, რათა დაეკმაყოფილებინა ბაზარზე არსებული მოთხოვნა და ეწარმოებინა მეტი რესურსი.

#### **4. პროექტის აღტერნატიული ვარიანტების განხილვა**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის, მესამე პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად სხვა საკითხებთან ერთად სკოპინგის ანგარიში უნდა მოიცავდეს დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის აღტერნატივების შესახებ ინფორმაციას.

დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე განხილული იქნა შემდეგი აღტერნატიული ვარიანტები:

- არაქმედების აღტერნატივა;
- სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი სამსხვრევ - დამხარისხებელი დანადგარის ტექნოლოგიური აღტერნატივა;
- ადგილმდებარეობის აღტერნატივა.

#### 4.1 არაქმედების აღტერნატივა

როგორც შესავალ ნაწილში აღინიშნა, შპს „მეგა ჰოლდინგს“ კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნიაბის ტერიტორიაზე არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთზე განთავსებული აქვს სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი დანადგარი. აღნიშნულ ტერიტორიაზე დანადგარი უკვე მრავალი წელია ფუნქციონირებს ჯერ შპს „თბილცემენტ გრუპის“, ხოლო კომპანიის სახელის ცვლილების შემდეგ შპს „მეგა ჰოლდინგის“ სახელით.

კომპანიის საქმიანობა, კერძოდ სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (2018 წლამდე) ძალაში შესვლამდე არ ექვემდებარეობოდა შესაბამისი ნებართვის აღებას, ამასთან „ატმოსფერული ჰაერის დაცვისა“ და „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად არ საჭიროებდა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის შემუშავებას.

კომპანია მრავალი წელია აქტიურად მუშაობს და უზრუნველყოფს სხვადასხვა სამშენებლო ობიექტების მომარაგებას საჭირო რესურსით. ამასთან, საქმიანობის ფარგლებში საწარმოში დასაქმებული ჰყავს ადგილობრივი მოსახლეობა, რაც მნიშვნელოვანი დადებითი ფაქტორია მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. კომპანია საქმიანობის ფარგლებში უზრუნველყოფს შესაბამისი გადასახადების გადახდას ქვეყნის ბიუჯეტში, ხოლო წარმოების გაზრდა ბუნებრივად გულისხმობს აღნიშნული თანხების გაზრდას.

იმ შემთხვევაში თუ კომპანია არ ჩატარებდა ტექნიკურ გადაიარაღებას, არსებული მოძველებული დანადგარი ვერ მოახერხებდა მოთხოვნის შესაბამისად გაზრდილი რესურსის დამუშავებას და კომპანიას მოუწევდა საქმიანობის შეწყვეტა, რაც უარყოფითი შედეგების მომტანი იქნებოდა როგორც კომპანიისთვის, ისე მისი კონტრაქტორებისთვისა და მუნიციპალიტეტისთვის. ამასთან ბიუჯეტში შეწყდებოდა კომპანიის მიერ შესაბამისი გადასახადების შეტანა.

ზემოაღნიშნულისა და განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კომპანიის საქმიანობას და მისგან გამოწვეულ ზემოქმედებას აღნიშნულ ეტაპზე არსებული შეფასებების საფუძველზე, როგორც ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, ისე ხმაურის გავრცელების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ზემოქმედება არ აქვს, უარყოფილ იქნა საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის გადაწყვეტილება.

## 4.2 სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი სამსხვრევ - დამხარისხებელი დანადგარის ტექნოლოგიური ალტერნატივა

სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების ტექნოლოგიებიდან შესაძლებელია ორი სხვადასხვა ტექნოლოგის გამოყენება, ესენია ნედლეულის დამუშავება მშრალი მეთოდით, წყლის გამოყენების გარეშე და ნედლეულის დამუშავება სველი მეთოდით, წყლის გამოყენების მეშვეობით.

როგორც აღინიშნა, შპს მეგა ჰოლდინგის სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარი ფუქნციონირებს უკვე მრავალი წელია და სასარგებლო წიაღისეულს ამუშავებს სველი მეთოდით. აღნიშნული მეთოდით სასარგებლო წიაღისეულის დამუშავება უზრუნველყოფს ბევრად ნაკლები ემისიის გაფრქვევას ჰაერში, ვიდრე მშრალი მეთოდით იგივე საქმიანობის წარმართვა. გამომდინარე იქიდან, რომ გარემოს სხვადასხვა კომპონენტზე ზემოქმედების თვალსაზრისით ნედლეულის დამუშავება სველი მეთოდით ამ დროისთვის უაღტერნატივოა, სხვა მეთოდის განხილვა არ მომხდარა.

## 4.3 ადგილმდებარეობის ალტერნატივა

გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული საწარმოო დანადგარი მოცემულ ტერიტორიაზე უკვე მრავალი წელია ფუნქციონირებს, ტერიტორიაზე უკვე არსებობს ყველა შესაბამისი ინფრასტრუქტურა. ახალი ტერიტორიის ათვისება დაკავშირებული იქნება ახალი დანადგარის მონტაჟთან, რაც გამოიწვევს დამატებით ზემოქმედებას გარემოზე, ადგილი ექნება ვიზუალურ-ლანდშაფტურ ცვლილებას და ახალი გაფრქვევის და ხმაურის წყაროების წარმოქმნას. ამასთან, საწარმოს არსებული ტერიტორია მდებარეობს საწარმოო ზონაში, უკვე სახეცვლილ გარემოში, რომელიც ანთროპოგენური დატვირთვის ქვეშ იმყოფება მრავალი წელია. ამასთან, კომპანიას ლიცენზირებული ტერიტორიები, საიდანაც უნდა მოხდეს საწარმოში ნედლეულის შემოტანა გააჩნია საწარმოს მიმდებარედ, რაც როგორც გარემოსდაცვით, ისე ეკონომიკურ ჭრილში მნიშვნელოვანი ფაქტორია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება უკვე არსებული დანადგარის გადაიარაღების (რაც არ ითვალისწინებდა ახალი ტერიტორიის ათვისებას და სამშენებლო სამუშაოებს) და მისი საქმიანობა არ ითვალისწინებს ახალი საწარმოს მშენებლობას და ამ მშენებლობით გამოწვეულ ზემოქმედებას გარემოს სხვადასხვა კომპონენტზე, ახალი მიწების ათვისებას, ახალი საწარმოო ინფრასტრუქტურის მოწყობით ლანდშაფტურ ცვლილებას, სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებას დასახლებული პუნქტის სიახლოვეს და სხვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სხვა ნებისმიერ ახალ ტერიტორიაზე საწარმოს მოწყობა, გამოიწვევს გაცილებით დიდი მასშტაბის ზემოქმედებას გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე, ვიდრე არსებული საწარმოს წარმადობის გაზრდა. შესაბამისად, კომპანიის მიერ საქმიანობის დაგეგმვის ეტაპზე სხვა უფრო გონივრული ალტერნატიული ვარიანტები მოძიებული ვერ იქნა.

## 5. ინფორმაცია საქმიანობის შესახებ, პროექტის აღწერა

### 5.1 საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა

როგორც შესავალ ნაწილში აღინიშნა, შპს „მეგა ჰოლდინგს“ კასაის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნიაბში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთზე, საწარმოო ზონაში, უკვე მრავალი წელია გააჩნია სასარგებლო წიაღისეულის, კერძოდ ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი დანადგარი. აღნიშნული მიწის ნაკვეთი, საერთო ფართობით 39 662 მ<sup>2</sup>, წარმოადგენს შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიის“ საკუთრებას და შპს „მეგა ჰოლდინგს“ სარგებლობის მიზნით გადაცემული აქვს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე.

საწარმოს განთავსების მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდია 67.01.50.142, ხოლო უშუალოდ დანადგარი განთავსებულია შემდეგ GPS კოორდინატებზე:

X	Y
450029	4641592

### 5.2 ინფორმაცია საწარმოს 500 მეტრიან რადიუსში მდებარე საწარმოო ობიექტების და დასახლებული პუნქტის დაშორების შესახებ

სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარიდან უახლოესი მოსახლე, ს/კ 67.11.34.011/049 (ნაკვეთის წინა ნომერი 67.11.34.257) დაშორებულია სოფ. გომის მხრიდან, დაახლოებით 680 მეტრით. რაც შეეხება ქ. კასპს, დანადგარიდან დაახლოებით 950 მეტრში მდებარეობს საცხოვრებელი კორპუსები. სამსხვრევ-გადამამუშავებელი დანადგარიდან დაახლოებით 250 მეტრში მდებარეობს შპს „სანდ ფაქტორის (ყოფილი შპს „ბილდერ კომპანი 2018“), დაახლოებით 380 მეტრში შპს „ჯერმან ცემენტ ლტდ“ - ს, 470 მეტრში შპს „ევრაზია კაპიტალის“, 600 მეტრში კი სს „კასპიელექტროაპარატის“ საკუთრებაში არსებული ტერიტორიები. დანადგარის განთავსების წერტილიდან შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ კუთვნილი ცემენტის საწარმო მდებარეობს 1400 მეტრზე მეტი მანძილით. ზემოაღნიშნული საწარმოებიდან ქვის დამსხვრევა მიმდინარეობს შპს „ბილდერ კომპანი 2018“-ის ტერიტორიაზე. რაც შეეხება შპს „ჯერმან ცემენტ ლტდ“-ს, აღნიშნულ საწარმოში მიმდინარეობს ცემენტის წარმოება.

ამ ეტაპზე, საწარმოს მიმდებარედ არ მიმდინარეობს სხვა მსგავსი ტიპის საწარმოების მოწყობის პროცესი, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში რაიმე ტიპის საქმიანობაზე საწარმოს მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე განაცხადი არ არის წარდგენილი და ასევე კომპანიის ხელთ არსებული ინფორმაციით, უახლოეს მომავალში რაიმე ტიპის საწარმოს მოწყობა დაგეგმილი არ არის.

სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარიდან დაახლოებით 590 მეტრში მდებარეობს ავტობუსების სადგომი, ხოლო დაახლოებით 500 მეტრში სს „საქართველოს რკინიგზის“ სარკინიგზო ლიანდაგი. ამასთან, საპროექტო ტერიტორიიდან 550 მეტრში გადის იგოეთი-კასპი-ახალქალაქის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზა (შ61). საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი - მდ. მტკვარი დაცილებულია დაახლოებით 240 მეტრით, თუმცა საწარმოს მიერ მდ. მტკვრიდან წყალაღების წერტილი (X - 449234; Y - 4641353) დანადგარიდან დაახლოებით 300 მეტრში მდებარეობს.

საპროექტო ტერიტორიამდე მიდის არსებული გზა, რომელიც უერთდება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მაგისტრალს და დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. შესაბამისად, დამატებითი გზების მოწყობა საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებული არ არის. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საპროექტო ტერიტორია შემოღობილია და მიწის ნაკვეთამდე მიყვანილია ელექტრო ენერგია.



სურ. N5.2.1 - საპროექტო ტერიტორია



სურ. N5.2.2 - ობიექტის განთავსების სიტუაციური რუკა

### 5.3 საქმიანობის დეტალური აღწერა, ტექნოლოგიური პროცესი

#### 5.3.1 საწარმოს ტექნოლოგიური ციკლის დეტალური, თანმიმდევრული აღწერა, ნედლეულის შემოტანიდან-პროდუქციის მიღებამდე, ინფორმაცია საწარმოში ჩატარებული გადაიარაღების შესახებ

როგორც უკვე აღინიშნა, შპს „მეგა ჰოლდინგი“ (სახელის ცვლილებამდე შპს „თბილცემენტ გრუპი“) წლებია აღნიშნულ ტერიტორიაზე ამუშავებს სასარგებლო წიაღისეულს, კერძოდ კი ქვიშა-ხრეშს. საქმიანობის განხორციელების მიზნით, საწარმოში განთავსებული იყო ტექნოლოგიური ხაზი, რომელშიც შედიოდა შემდეგი ელემენტები:

- მასალის მიმღები განყოფილება;
- მიმღები ბუნკერი;
- ვიბრაციული მკვებავი;
- ორი ყბებიანი სამსხვრეველა;
- ვიბრაციული ცხავები;
- ქვიშა-ხრეშის საწყობი და ნედლეულის განთავსების უბანი.
- ქვიშის გაუწყლოების (მორეცხვის) ხაზი (სპირალური კლასიფიკატორი და ქვიშის საწყობი);
- ადმინისტრაციული ოფისი;
- ტრანსფორმატორი 1000 კვტ;
- მოსასვენებელი და სველი წერტილის შენობა;
- ტექნიკური წყლის შესაგროვებელი ბასეინი (მოცულობით  $80 \times 40 \times 3 = 9600 \text{ m}^3$ ), სადაც განთავსებულია სამი ტუმბო წყლის ამოსაღებად (პირველი ტუმბოს წარმადობა - 140 ტ/სთ; მეორე ტუმბოს წარმადობა - 100 ტ/სთ; მესამე ტუმბოს წარმადობა - 50 ტ/სთ);
- ორი სალექარის ტიპის ორმო (პირველი სალექარის პარამეტრები -  $40 \times 5 \times 3 = 600 \text{ m}^3$ ; მეორე სალექარის პარამეტრები -  $30 \times 5 \times 3 = 360 \text{ m}^3$ ), რომელიც გამოიყენება ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული წყლის მისაღებად, დასალექად და შემდგომ ტექნოლოგიურ ციკლში დასაბრუნებლად;

წლების მანძილზე, საწარმოში განთავსებული დანადგარის წარმადობა შეადგინდა წელიწადში 249 600 ტ<sup>3</sup>-ს.

გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყანაში მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნა სამშენებლო მასალებზე, მათ შორის ქვიშა-ხრეშზე, საწარმოში ჩატარდა გადაიარაღება, გარემონტდა და შეიცვალა ტექნოლოგიური ელემენტები, რამაც შესაძლებელი გახადა მეტი ნედლეულის გადამუშავება და მეტი პროდუქციის რეალიზაცია.

დღეის მდგომარეობით, ტერიტორიაზე განთავსებულია შემდეგი ტექნოლოგიური და ინფრასტრუქტურული ობიექტები:

- ნედლეულის ძირითადი მიმღები ვიბრაციული ბუნკერი და ყბიანი სამსხვრევი;
- მსხვილფრაქციული კონუსური წისქვილი;
- პირველადი საცერი; საცერი-დამახარისხებელი;
- ციკლონური ქვიშის სარეცხი;
- საშრობი საცერი;
- დოლური ქვიშის სარეცხი;
- ბარმაკი + ბუნკერი;
- კონუსური წისქვილის ბუნკერი;
- ლენტური კონვეიერი;
- ნედლეულის 0-5 მმ ფრაქციის დროებითი განთავსების ადგილი (მოძრავი ლენტით);
- ნედლეული 5-10 მმ ფრაქციის დროებითი განთავსების ადგილი;
- ნედლეულის 10-22 ფრაქციის დროებითი განთავსების ადგილი;
- საოპერატორო ჯიხური და ბარმაკის საოპერატორო;

ასევე, ობიექტის ტერიტორიაზე მოწყობილი იყო და უცვლელად დარჩება შემდეგი ინფრასტრუქტურული ელემენტები:

- ტექნიკური წყლის შესაგროვებელი ბასეინი (მოცულობით  $80 \times 40 \times 3 = 9600 \text{m}^3$ ), სადაც განთავსებულია სამი ტუმბო წყლის ამოსაღებად (პირველი ტუმბოს წარმადობა - 140 ტ/სთ; მეორე ტუმბოს წარმადობა - 100 ტ/სთ; მესამე ტუმბოს წარმადობა - 50 ტ/სთ);
- ორი სალექარის ტიპის ორმო (პირველი სალექარის პარამეტრები -  $40 \times 5 \times 3 = 600 \text{m}^3$ ; მეორე სალექარის პარამეტრები -  $30 \times 5 \times 3 = 360 \text{m}^3$ ), რომელიც გამოიყენება ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული წყლის მისაღებად, დასალექად და შემდგომ ტექნოლოგიურ ციკლში დასაბრუნებლად;
- ადმინისტრაციული ოფისი;
- ტრანსფორმატორი 1000 კვტ;
- მოსასვენებელი და სველი წერტილის შენობა;
- ქვიშა-ხრეშის საწყობი და ნედლეულის განთავსების უბანი და
- საწვავ გასამართი ორი სვეტი და საწვავის ორი ავზი, ჯამური მოცულობით 30 ტ, თითოეული 15 ტ).

ცხრილის სახით მოცემულია, ამ ეტაპზე საწარმოში არსებული ყველა ინფრასტრუქტურული და ტექნოლოგიური ელემენტის შესახებ მონაცემები.

## ცხრილი N5.3.1

	დასახელება	სიმძლავრე	აღწერა
1	ნედლეულის ძირითადი მიმღები ვიბრაციული ბუნკერი	2 ცალი 7.5 კვტ ვიბრატორი	იყრება ბალასტი
2	ყბიანი სამსხვრევი	75 კვტ ძრავი	გამოდის 0-110
3	კონუსური წისქვილი მსხვილფრაქციული	160 კვტ ძრავი	იყრება 40+ გამოდის 0-40
4	პირველადი საცერი	22 კვტ ძრავი	იყრება 0-40 და 0-110 გამოდის 0-5 და 5-40
5	საცერი დამხარისხებელი	38 კვტ ძრავი	იყრება 0-40 და გამოდის 0-5 5-10 10-22
6	ციკლონური ქვიშის სარეცხი	5.5კვტ 2 ცალი ძრავი	იყრება 0-5 გამოდის 0.5 გარეცხილი
7	სარეცხის ტუმბო	55 კვტ 300 კბმ/სთ	
8	საშრობი საცერი	22 კვტ ძრავი	იყრება 5-40 გამოდის 0-5 და 5-40 მშრალი
9	დოლური ქვიშის სარეცხი	7.5 კვტ ძრავი	იყრება 0-5 გამოდის 0.5 გარეცხილი
10	ბარმაკი + ბუნკერი	2 ცალი 250 კვტ ძრავი	იყრება 5-40 გამოდის 0-30
11	ბარმაკის ბუნკერი	ბუნკერი	2 ცალი ვიბრატორი 2.2კვტ
12	კონუსური წისქვილი + ბუნკერი მსხვილფრაქციული	160 კვტ ძრავი	იყრება 5-90 გამოდის 0-40
13	კონუსური წისქვილი + ბუნკერი წვრილფრაქციული (არ ფუნქციონირებს)	160 კვტ ძრავი	იყრება 18-22 გამოდის -0-20
14	ლენტური კონვეიერები	13 ცალი კონვეიერი	3 ცალი 5.5კვტ 1 ცალი 7.5კვტ 4 ცალი 18კვტ 5 ცალი 22კვტ
15	ნედლეული 0-5 ფრაქციის დროებითი განთავსების ადგილი მოძრავი ლენტით		
16	ნედლეული 5-10 ფრაქციის დროებითი განთავსების ადგილი		
17	ნედლეული 10-22 ფრაქციის დროებითი განთავსების ადგილი		
18	საოპერაციო ჯიშური		
19	ბარმაკის საოპერატორო		
20	პირველი სალექარი	18მ / 6მ/ 3მ	
21	მეორე სალექარი	15მ / 4მ/ 3მ	
22	ბასეინი	90მ / 40მ/ 3მ	
23	ბასეინში განთავსებული წყლის სამი ტუმბო	2 ცალი 22კვტ, 1 ცალი 18 კვტ	
24	საშრობზე ტუმბო	7.5კვტ ტუმბო	
25	ადმინისტრაციული ოფისი		
26	ავტო გასამართის ორი სვეტი, ორი ავზი		
27	ტრანსფორმატორი 1000 კვტ		

28	მოსასვენებელი და სველი წერტილის შენობა		
29	ქვიშა ხრეშის საწყობი		
30	ნედლეულის განთავსება		
31	წლის საქაჩი ტუმბო მტკვრიდან	18კვტ ტუმბო	90კბ საათში, საშუალოდ 10 სთ დატვირთვა, ჯამში 900კვტ დღეში
32	სასწორი	80 ტონა	
33	სასწორის საოპერატორო ოთახი		
34	საწყობის ოთახი (სასწორთან)		

სურ. N5.3.1-ზე წარმოდგენილია საწარმოს გენ. გეგმა, რომელიც უკეთესი ექსპლიკაციით აგრეთვე წარმოდგენილია ცალკე დანართის სახითაც.


ამ ეტაპზე, საწარმოს წარმადობის ზრდა ითვალისწინებს წლის განმავლობაში ნაცვლად 249 600 მ<sup>3</sup> ბალასტისა, წელიწადში 360 000 მ<sup>3</sup> ბალატის გადამუშავებას (93 მ<sup>3</sup>/სთ), საიდანაც მიღებული იქნება 65% ქვიშა, ხოლო 35% ღორღი. წარმოების დანაკარგი, ტექნოლოგიური დანადგარების გაუმჯობესების და საწარმო საათების ზრდის ხარჯზე არის ძალიან მცირე და არ აღემატება წლიორი წარმოების 1%-ს, რამაც წელიწადში შეიძლება შეადგინოს 3600მ<sup>3</sup>.

საწარმოში მიმდინარე ტექნოლოგიური ციკლი შემდეგია:

1. საწარმოს ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის შემოტანა კარიერებიდან ავტოთვითმცლელებით;
2. ბალასტის მიწოდება მიმღებ ბუნკერში;
3. მიმღები ბუნკერიდან ბალასტის გადატანა მსხვილფრაქციულ კონუსურ წისქვილში, ხოლო შემდგომ პირველად საცერში;
4. პირველადი საცრიდან, 40 + მმ ფრაქციის უკან დაბრუნება მსხვილფრაქციულ წისქვილში, ხელახალი გადამუშავების მიზნით, უკან დაბრუნების ბუნკერის გავლით;
5. საცრიდან ქვიშის მიწოდება გამრეცხ დანადგარში;
6. საცრიდან ქვიშა გამოცლილი მასის გადატანა სამსხვრევ დანადგარში;
7. სამსხვრევი დანადგარიდან დამსხვრეული მასალის გადაადგილება საცერებზე, გარეცხვა და დახარისხება სხვადასხვა ზომის ფრაქციებად;
8. მიღებული პროდუქციის ღია ცის ქვეშ დასაწყობება და ტერიტორიიდან გატანა სარეალიზაციოდ.

შპს „მეტა ჰოლდინგი“ წიაღისულის გადამზადებული საწარმოს გენერალური გერეა.

ପ୍ରାଚୀନ ମିଶନ୍ସାହାରୀ ଲାଭାର୍ଥୀଙ୍କ ବିଷୟ, ମୋଦୋ, ୬୩୫୧୦୧୨



#### **სურ. N5.3.1 - საწარმოო ობიექტის გენ. გეგმა**

### 5.3.2 ინფორმაცია ნავთობპროდუქტების საცავის შესახებ, ნავთობპროდუქტების მიღება-შენახვა-გაცემის პროცედურები

საწარმოს გააჩნია Hovo-ს, Ford-ის და MAN-ის მარკის 18 მ<sup>3</sup> სატვირთო თვითმცლელები, რომელთა საწვავით გამართვა ხორციელდება საწარმოს ტერიტორიაზე არსებულ საწვავგასამართი სვეტით, რომელიც განთავსებულია ადმინისტრაციული ოფისის გვერდით, ღია ცის ქვეშ და მიერთებულია არსებულ საწვავის რეზერვუარებთან (2 ცალი რეზერვუარი). აღნიშნული საწვავის (დიზელის) რეზერვუარები მიწისზედა განლაგებისაა, ლითონის მასალისგან დამზადებული და შეღებილი ანტიკოროზიული საღებავით. თითოეული რეზერვუარის მოცულობა შეადგენს 15 ტონას. თითო რეზერვუარი აღჭურვილია თითო გასამართი სვეტით. რეზერვუარები აღჭურვილია სასუნთქი სარქველებით. პირველი რეზერვუარის სასუნთქი სარქველის სიმაღლე 165 მმ, ხოლო დიამეტრი 63 მმ-ია. რაც შეეხება მეორე რეზერვუარს, მისი სასუნთქი სარქველის დიამეტრი აგრეთვე 63 მმ-ს, ხოლო სიმაღლე 250 მმ-ს შეადგენს.

რეზერვუარების შევსება ხდება პერიოდულად, საჭიროებისამებრ და დამოკიდებულია მანქანების მოძრაობაზე და სამსხვრევის მუშაობაზე, საშუალოდ თვეში 2 ჯერ ხდება შევსება, შევსების ლიტრაჟიც მერყევია (7500 - 12000) ლიტრამდე (სრულად არ ხდება გადავსება).

აქედან გამომდინარე, საწვავის მაქსიმალური მოხმარება შეადგენს 288 მ<sup>3</sup>/წელ [(12მ<sup>3</sup> X 2) X 12 თვე)]. რეზერვუარების განთავსების ტერიტორია მოხრეშილია, ხოლო უშუალოდ ის სივრცე, სადაც დამონტაჟებულია საწვავის 2 რეზერვუარი, მობეტონებულია. საწვავგასამართი სვეტის ქვეშ მოწყობილია მიწისქვეშა ბეტონის ავზი, რომელიც განკუთვნილია დაღვრილი საწვავის შეგროვებისა და საწვავისგან გარემოს დაბუნძურების პრევენციისთვის. ამასთან გათვალისწინებულია რეზერვუარების გარშემო 1 მ სიმაღლის მქონე ბეტონის შემოზვინვის მოწყობა, რომელიც ავარიული დაღვრის შემთხვევაში უზრუნველყოფს დაღვრილი საწვავის შეკავებას. რეზერვუარებთან ასევე მოწყობილია სახანძრო სტენდი. ამასთან, გათვალისწინებულია საწვავგასამართი სვეტის გადახურვა, რათა სანიაღვრე წყლების მოხვედრა მის ტერიტორიაზე არ მოხდეს.

საწვავის შემოტანას პერიოდულად და მის მართვას ობიექტის ტერიტორიაზე უზრუნველყოფს საწვავის მიმწოდებელი ლიცენზირებული კომპანია შეთანხმების შესაბამისად. საწვავის გასამართი სვეტი იმუშავებს საწარმოს მუშაობის რეჟიმის შესაბამისად, წელიწადში 240 დღე.



**სურ. N5.3.2 - ადმინისტრაციული შენობა და საწვავის რეზერვუარი**

### 5.3.3 ინფორმაცია გადასამუშავებელი ნედლეულის შესახებ, ინფორმაცია საწარმოს ნედლეულით მომარაგების, ნედლეულის რაოდენობისა და დასაწყობების პირობების შესახებ

როგორც უკვე აღინიშნა, წინამდებარე გზშ-ის ანგარიშით განხილული საქმიანობა ითვალისწინებს სასარგებლო წიაღისეულის, კერძოდ ქვიშა-ხრეშის გადამუშავებას.

საწარმო წელიწადში გადაამუშავებს  $360\ 000\text{m}^3$  ბალატს ( $93\ \text{m}^3/\text{სთ}$ ), საიდანაც მიღებული იქნება 65% ქვიშა, ხოლო 35% ღორღი.

საწარმოში სასარგებლო წიაღისეულის შემოტანა ამ ეტაპზე ხორციელდება შპს „მეგა ჰოლდინგის“ სხვადასხვა ლიცენზირებული კარიერიდან. აღნიშნული კარიერები მდებარეობს კასპის ტერიტორიაზე. აღსანიშნავია, რომ კომპანიამ ახლახანს აიღო კიდევ ერთი, ახალი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია, კერძოდ კი ქვიშა ხრეშის მოპოვებაზე (სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე სამინისტროში წარდგენილი იყო შესაბამისი სკოპინგის ანგარიში, რაზეც გაიცა სკოპინგის დასკვნა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით მომზადდა გზშ-ის ანგარიში) აღნიშნული სალიცენზიონ ობიექტი გადამამუშავებელი დანადგარიდან დაცილებულია დაახლოებით 741 მეტრით. შესაბამისად, ახალი ლიცენზირებული ობიექტიდან სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან დაკავშირებულ, კანონით გათვალისწინებული პროცედურების გავლის შემდგომ, კომპანია წარმოებისთვის საჭირო ნედლეულს გარდა სხვა კარიერებისა, შემოიტანს აღნიშნული კარიერიდანაც. აღსანიშნავია, რომ ასეთ შემთხვევაში, ნედლეულით დატვირთულ თვითმცლელებს არ მოუწევთ ქალაქში არსებული გზების გამოყენება და დასახლებულ პუნქტთან გავლა, რაც

შეამცირებს სატრანსპორტო ნაკადებსა და მოსახლეობაზე გამოწვეულ შესაძლო ზემოქმედებას (სურ. N3.3-ზე წარმოდგენილია მარშრუტი საწარმოო დანადგარიდან დაგეგმილ კარიერამდე).

ნედლეულის დასაწყობება მოხდება საწარმოს ტერიტორიაზე არსებულ ნედლეულის სასაწყობე ტერიტორიაზე, რომელიც მოცემულია გენ. გეგმაზე. საწარმოს ტერიტორიაზე ნედლეულის დიდი რაოდენობით დასაწყობება გათვალისწინებული არ არის. საწარმოს ტერიტორიაზე შემოვა ნედლეულის ის რაოდენობა, რასაც გადაამუშავებს საწარმო დაგეგმილი წარმადობის ფარგლებში.

#### **5.3.4 ინფორმაცია მიღებული/წარმოებული პროდუქციის, მისი რაოდენობის, დროებითი განთავსებისა და შემდგომი რეალიზაციის შესახებ**

როგორც უკვე აღინიშნა, საწარმო წელიწადში გადაამუშავებს 360 000მ<sup>3</sup> ბალატს (93 მ<sup>3</sup>/სთ), საიდანაც მიღებული იქნება 65% ქვიშა, ხოლო 35% ღორღი.

მიღებული პროდუქცია განთავსდება საწარმოს ტერიტორიაზე და მოთხოვნის შესაბამისად მოხდება მისი რეალიზაცია. საწარმოდან პროდუქციის გატანა მოხდება ყოველდღიურად და დიდი რაოდენობის დაგროვება და საწარმოს ტერიტორიის გადატვირთვა პროდუქციით მოსალოდნელი არ არის, რადგან როგორც უკვე აღინიშნა ძალიან მაღალია მოთხოვნა სამშენებლო მასალებზე.

#### **5.3.5 ინფორმაცია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასა და გადამუშავებაზე ერთობლივი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების აღების შესაძლებლობის შესახებ**

აღსანიშნავია, რომ სკოპინგის დასკვნით დასმულია საკითხი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასა და გადამუშავებაზე ერთობლივი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების აღებასთან დაკავშირებით. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, კომპანიას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გააჩნია სხვა კარიერებიც, რომლიდანაც ახორციელებს სასარგებლო წიაღისეულის საწარმოს ტერიტორიაზე შემოტანას. ამასთან, ლიცენზიები სხვადასხვა ვადიანია და ამა თუ იმ ლიცენზირებულ კარიერზე ლიცენზიის ვადის გასვლის შემდეგ, ან/და არსებული რესურსის მოპოვების შემდგომ, აღნიშნული ტერიტორიებიდან ნედლეულის შემოტანა ვეღარ მოხდება.

შესაბამისად, კომპანიას მიზანშეწონილად მიაჩნია ორი დამოუკიდებელი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ სასარგებლო წიაღისეულის დანადგარი უკვე ფუნქციონირებს მრავალი წელია და წარმოადგენს კომპანიის ძირითად საქმიანობას.



**სურ. N5.3.5 - მარშრუტი საწარმოო დანადგარიდან დაგეგმილ კარიერამდე**

საწარმოში ინერტული მასალების დამუშავების სრული ციკლი მიმდინარეობს სველი მეთოდით, რის გამოც დანადგარის ფუნქციონირებისას არ ხდება მტვრის წარმოქმნა და მისი გავრცელება ატმოსფერულ ჰაერში. ამასთან, საწარმო მთლიანად მუშაობს ელექტროენერგიის გამოყენებით, რითაც საწარმო მარაგდება ტერიტორიაზე არსებული ტრანსფორმატორიდან.

#### **5.4 საწარმოს ფიზიკური მახასიათებლები, საწარმოს სამუშაო გრაფიკი, საპროექტო წარმადობა და სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობა**

სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი დანადგარი წელიწადში მუშაობს 240 დღე, 16 საათიანი და ორცვლიანი სამუშაო რეჟიმით. ობიექტის სამუსაო დღე დაიწყება დილის 7 საათზე და შესვენებების გათვალისწინებით დასრულდება ღამის 1 საათზე.

ობიექტზე დასაქმებულნი არიან ადგილობრივი მაცხოვრებლები, თითო ცვლაში დაახლოებით 14 ადამიანი, ჯამურად 28.

ამ ეტაპზე, საწარმოს წარმადობის ზრდა ითვალისწინებს წლის განმავლობაში ნაცვლად  $249\text{--}600\text{m}^3$  ბალასტისა, წელიწადში  $360\text{--}1000\text{m}^3$  ბალატის გადამუშავებას ( $93\text{ m}^3/\text{სთ}$ ), საიდანაც მიღებული იქნება 65% ქვიშა, ხოლო 35% ღორღი.

საწარმოს ტერიტორიაზე მასალების შემოტანა ხორციელდება საჭიროებისამებრ. რაც შეეხება მზა პროდუქციის ტრანსპორტირებას, მისი გატანა ტერიტორიიდან ხდება გარკვეული მასალის დაგროვების

შემდგომ. შესაბამისად სამუშაო საათების განმავლობაში, ძირითადად დღის მონაკვეთში, ხორციელდება დაახლოებით 45 სატრანსპორტო რეისი.

### **5.5 ინფორმაცია დასაქმებული ადამიანების რაოდენობის, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილის, ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ**

როგორც უკვე აღინიშნა, საწარმოში დასაქმებულთა რაოდენობა 2 ცვლაში შეადგენს 28 ადამიანს, საიდანაც დასაქმებულების წილი 26-ია.

კომპანიის დასაქმებულები მუდმივად, საწარმოო პროცესის დაწყებამდე გადიან სპეციალურ სწავლებას უსართხოების საკითხებთან დაკავშირებით. ამასთან, დასაქმებულებს პერიოდულად უტარდებათ სწავლებები გარემოს დაცვის და პროფესიული უსაფრთხოების საკითხებზე.

გარდა აღნიშნული სწავლებებისა, კომპანიის იმ პერსონალს, რომელსაც მუშაობა უწევს უშუალოდ ტექნიკურ დანადგარებთან, გავლილი აქვთ სპეციალური ტექნიკური სწავლებები.

ამასთან, კომპანიის გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ მოხდება საწარმოში ახალი პერსონალის მიღება, ან/და ძველის ჩანაცვლება ახლით, გათვალისწინებულია საწარმოში დასაქმებამდე მისი დატრენინგება გარემოს და უსაფრთხების საკითხებთან დაკავშირებით. ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, გაივლის სპეციალურ ტექნიკურ სწავლებას კომპანიის ხარჯებით.

## **6 წყლის გამოყენება და ჩამდინარე წყლები**

### **6.3 სასმელ-სამეურნეო წყლით მომარაგება**

შპს „მეგა პოლინგის“ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელ საწარმოში წყლის გამოყენება ხდება სასმელ-სამეურნეო და საწარმოო დანიშნულებით.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყალი ტერიტორიაზე შემოდის ბუტილირებული სახით. აღნიშნული მიზნით გამოყენებული წყლის რაოდენობა დამოკიდებულია დასაქმებული პერსონალის რაოდენობაზე და საწარმოს მუშაობის რეჟიმზე. საწარმოში დასაქმებული იქნება ჯამში 28 ადამიანი, ხოლო წელიწადში სამუშაო დღეების რაოდენობა შეადგენს 240 დღეს. ვინაიდან ერთ მომუშავე პერსონაზე სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის დღის განმავლობაში საჭირო წყლის რაოდენობად გათვალისწინებულია 45 ლ, ანუ 0,045 მ<sup>3</sup> წყალი, დღის და წლის განმავლობაში საწარმოში სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული წყლის ჯამური რაოდენობა იქნება:

**სასმელ - სამეურნეო წყალი:**

$$28 \text{ კაცი} \times 0,045 \text{ მ}^3/\text{დღ} = 1.26 \text{ მ}^3/\text{დღ}$$

$$1,26 \text{ მ}^3 / \text{დღ} \times 240 \text{ დღ} = 302,4 \text{ მ}^3 / \text{წელ}$$

#### 6.4 ტექნიკური/საწარმოო წყლით მომარაგება, ბრუნვითი წყალმოხმარება

საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე, ტექნოლოგიურ პროცესში წყლის გამოყენება ხდება უშუალოდ სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების პროცესში. აღნიშნული მიზნით, კომპანიას შეთანხმებული აქვს წყალაღების ტექნიკური რეგლამენტი და მდ. მტკვრიდან წელიწადში იღებდა  $109\,500 \text{ მ}^3$  წყალს. გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიას გათვალისწინებული აქვს მეტი პროდუქციის წარმოება, მოსალოდნელია მოხმარებული წყლის რაოდენობის ზრდაც. წყლის გაზრდილი რაოდენობა იქნება  $324\,000 \text{ მ}^3 / \text{წელ}$ .

წლის განმავლობაში საწარმოო მიზნებისთვის მდინარიდან აღებული წყლის რაოდენობა თვეების მიხედვით ასე გადანაწილდება:

ათ. მ<sup>3</sup>

იანვ.	თებ.	მარტ.	აპრ.	მაის.	ივნ.	ივლ.	აგვ.	სექტ.	ოქტ.	ნოემბ.	დეკემბ.	ჯამურად
15	15	30	30	30	35	35	35	34	30	20	15	324

საწარმო დღის განმავლობაში, სრული 16 საათიანი სამუშაო გრაფიკით მუშაობის პირობებში მოიხმარს  $1\,350 \text{ მ}^3$  წყალს ( $240 \times 1\,350 = 324\,000$ ), რომლის დაახლოებით 20% ( $270 \text{ მ}^3$ ) მიყვება პროდუქციას.

წყალაღება ხორციელდება საწარმოდან დაახლოებით 300 მეტრში, შემდეგ GPS კოორდინატებზე: X – 449834; Y - 4641353. წყალაღების მიზნით აღნიშნულ წერტილში განთავსებულია  $90 \text{ მ}^3$  წარმადობის ტუმბო. მდინარიდან ტუმბოთი ამოღებული წყალი, პოლიეთილენის მიღებით (მიღები განთავსებულია მიწის ქვეშ და მიუყვება საწარმომდე მიმავალ გრუნტიან გზას) მიეწოდება საწარმოს ტერიტორიაზე არსებულ ბასეინს. აღნიშნული ტუმბოს სიმძლავრე შეადგენს 18 კვტ-ს და იგი დღეში დაახლოებით 10 საათიანი დატვირთვით ფუნქციონირებს.

საწარმოში ტექნიკური წყლის შესაგროვებლად მოწყობილი ბასეინი განთავსებულია შემდეგ GPS კოორდინატებზე X-450042; Y-4641628. ბასეინიდან წყლის ამოღება ხდება ტუმბოს მეშვეობით და მიეწოდება საწარმოს ტექნოლოგიურ ციკლს. ტექნოლოგიურ ციკლში გამოყენებული წყალი ბრუნდება ტერიტორიაზე ერთმანეთის გვერდიგვერდ მოწყობილ სალექარ ორმოებში, სადაც ხდება უკვე გამოყენებულ წყალში არსებული ქვიშის დალექვა. ქვიშა გამოცლილი წყალი გადადის ისევ ბასეინში და ბრუნვითი სისტემის გზით მიეწოდება ისევ ტექნოლოგიურ დანადგარებს.

საჭიროების შემთხვევაში, ტექნიკური წყალი ასევე გამოყენებული იქნება ხანძარსაწინააღმდეგო დანიშნულებით. საწარმოს სპეციფიკის გათვალისწინებით, საწარმოში ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისთვის გამოყენებული წყლის წლიური ხარჯი არ აღემატება  $50 \text{ m}^3/\text{წელ}$ .



სურ. N6.4 - წყალაღების წერტილი

## 6.5 სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები

საწარმოში წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების რაოდენობა იანგარიშება მოხმარებული წყლის 5%-იანი დანაკარგით, რაც შეადგენს:  $302,4\text{m}^3/\text{წელ} \times 0,05 = 15.12 \text{ m}^3/\text{წელ}$  (წლიური დანაკარგი) შესაბამისად, საწარმოში წლის განმავლობაში წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლის რაოდენობა იქნება:

$$302.4 \text{ m}^3/\text{წელ} - 15.12.8 \text{ m}^3/\text{წელ} = 287.28 \text{ m}^3/\text{წელ}$$

აღნიშნული წყლების შესაგროვებლად ტერიტორიაზე განთავსებულია ჰერმეტული საასენიზაციო ორმო, რომლის გაწმენდა ხდება შევსების შესაბამისად, კასპის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამის სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

## 6.6 საწარმოო ჩამდინარე წყლები, ინფორმაცია სალექარების შესახებ

საწარმოში ტექნიკური მიზნებით გამოყენებული წყლების ჩაშვებას ზედაპირული წყლის ობიექტში ადგილი არ აქვს. საწარმოს ტექნოლოგიურ ციკლში გამოყენებული წყალი ორსაფეხურიანი სალექარი სისტემის

გავლის შემდეგ ბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში. (სალექარები მოცემულია გენ. გეგმაზე). საწარმოს ტექნოლოგიურ ციკლში წყლის დაბრუნების სქემა შემდეგია: საწარმოდან გამოყენებული წყალი გადადის პირველ სალექარ ორმოში, სადაც ხდება შედარებით მსხვილფრაქციული ქვიშისა დალექვა. მსხვილფრაქციული ქვიშიგან გამოთავისუფლებული წყალი გადადის მეორე სალექარ ორმოში, სადაც ხდება შედარებით წვრილფრაქციული ქვიშის დალექვა. ორივე სალექარი ორმოს გავლის შემდეგ წყალი ეტაპობრივად ბრუნდება ბასეინში და როგორც უკვე აღინიშნა, ბასეინიდან მიეწოდება ტექნოლოგიურ დანადგარებს.

ზემოაღნიშნული ორსაფეხურიანი სალექარი ორმოების პარამეტრებია: პირველი სალექარის პარამეტრები -  $40 \times 5 \times 3 = 600\text{m}^3$ ; მეორე სალექარის პარამეტრები -  $30 \times 5 \times 3 = 360\text{m}^3$ ). დღის განმავლობაში მოხმარებული წყლის რაოდენობა აღემატება სალექარი ორმოების მიერ მიღებული წყლის რაოდენობას, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული წყლის ჩაშვება არ ხდება მდინარეში და წყალი ბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში, არ არის მისი სრულად გაწმენდის საჭიროება.



**სურ N6.6 - წყლის მიმდები ბასეინი და მასში განთავსებული ტუმბოები**

## 6.7 სანიაღვრე წყლების მართვა

საწარმოს ტერიტორიაზე მოსალოდნელია სანიაღვრე წყლების წარმოქმნა. უშუალოდ საწარმოო დანადგარების და ნედლეულის განთავსების უბნებზე წარმოქმნილი წყლები მოხრეშილი ზედაპირიდან

პირდაპირ ჩაედინება ნიადაგში, რადგან მისი მავნე ნივთირებებით დაბინძურების საშიშროება არ არის, ვინაიდან აღნიშნული ნედლეული წარმოადგენს მდინარის ბალასტს.

ხოლო, რაც შეეხება საწვავგასამართი უბნის ტერიტორიაზე წარმოქმნილ სანიაღვრე წყლებს, რომელიც პოტენციურად შესაძლოა დაბინძურდეს ნავთობპროდუქტებით, როგორც უკვე აღინიშნა რეზერვუარებთან მოწყობილია შესაბამისი მიწისქვეშა ბეტონის ორმო, სადაც გროვდება შემთხვევით დაღვრილი საწვავი მცირე რაოდენობით და ასევე წვიმის დროს მოსული ნალექი, რომელიც დაგროვების შესაბამისად, შესაბამისი მართვის მიზნით გადაეცემა სათანადო ნებართვის მქონე კომპანიას. ამასთან, გათვალისწინებულია საწვავგასამართი უბნის გადაზურვა, რათა სანიაღვრე წყლების მოხვედრა მის ტერიტორიაზე არ მოხდეს.

აღსანიშნავია, რომ რეზერვუარების განთავსების ტერიტორია მობეტონეულია და არ არის აქედან ნიადაგში ჩაეყონვის რისკი. ასევე, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დანარჩენი პერიმეტრი მიმდებარე ტერიტორიისა მოხრეშილია და იმ შემთხვევაში თუ საწვავი მოხვდება დაღვრილი საწვავის შესაგროვებელი ორმოს ან მობეტონებული ტერიტორიის გარეთ (რისი ალბათობაც ძალიან დაბალია), დაბინძურებული ხრეშის ფენა მოიხსნება და მოთავსდება შესაბამის კონტეინერში და მისი მართვა მოხდება, სახიფათო ნარჩენების მართვის წესების სრული დაცვით.

## 7 სალექარ ორმოებში წარმოქმნილი ლამის მართვის საკითხი

როგორც უკვე აღინიშნა, საწარმოო წყლის ჩაშვება ხდება სალექარ ორმოებში, საიდანაც გადადის წყლის ბასეინში და ბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში. აღნიშნულ პროცესს თან ახლავს სალექარ ორმოებში ლამის წარმოქმნა. მისი ამოღება ორმოების გაწმენდის მიზნით ხდება სხვადასხვა პერიოდულობით. ამოღებული ლამი დროებით საწყობდება საწარმოს ტერიტორიაზევე, ნედლეულის დასაწყობების ღია უბნებზე და დაგროვებისა და ბაზარზე არსებული მოთხოვნის შესაბამისად ხდება მისი რეალიზაცია.

საჭიროების შემთხვევაში, კომპანიას აღნიშნული ლამის გამოყენება შეუძლია მისსავე ლიცენზირებულ ტერიტორიებზე სარეკულტივაციო სამუშაოების განსახორციელებლად (რომლის ვალდებულებაც გააჩნია გარკვეული ლიცენზიების ფარგლებში).

სალექარების გაწმენდის პერიოდულობა და სალექარში წარმოქმნილი ლამის რაოდენობა დამოკიდებულია საწარმოში შემოსული პროდუქციის ხარისხზე და სხვადასხვაგვარია თუმცა ტექნოლოგიური დანადგარების გადაიარაღება-გაუმჯობესების გამო წლის განმავლობაში არ აღემატება საწარმოს წლიური წარმადობის 1 %-ს, რომელიც შეადგენს  $3600\text{m}^3$ -ს.

აღსანიშნავია, რომ ამოღებულ ლამს არ სჭირდება და თან არ ახლავს გაუწყლოების და შესქელების პროცესი და მისი გამოყენება სხვადასხვა სახის სამშენებლო, ამოვსებით და სხვა მსგავსი ტიპის საქმიანობებში

შესაძლებელია. საწარმოს ტერიტორიაზე ლამის დროებითი განთავსების უბნის კოორდინატებია: X-450029; Y-4641761.

## **8 ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების შესახებ დეტალური ინფორმაცია**

### **8.1 ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების მარშრუტების შესახებ (რუკაზე ჩვენებით, სქემატური ნახაზებით), ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკის და ნედლეულის/პროდუქციის შემოტანა-გატანის პროცედურების სიხშირის მითითებით**

საწარმოს წარმადობის გათვალისწინებით, დღის განმავლობაში დაგეგმილია 45 სატრანსპორტო რეისის შესრულება, რომელიც მოიცავს როგორც ნედლეულის შემოტანას საწარმოს ტერიტორიაზე, ისე მზა პროდუქციის გატანას საწარმოს ტერიტორიიდან.

ინფორმაცია ტრანსპორტირების მარშრუტის შესახებ შესაბამისი სექმით, მოცემულია წინამდებარე დოკუმენტის მისასვლელი გზების თავში.

### **8.2 ინფორმაცია დასახლებულ პუნქტ(ებ)ში გადაადგილების შესაბამისი პირობების შესახებ**

საწარმოს მდებარეობის და მასთან მისასვლელი გზების გათვალისწინებით, ამ ეტაპზე სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება დასახლებული პუნქტების გავლით არ ხდება და არც მომავალში არ არის ამის საჭიროება. თუმცა, პრევენციული ღონისძიებები, რასაც ამჟამად კომპანია ახორციელებს და შემდეგშიც განახორციელებს, ეს არის: სატრანსპორტო საშუალებების შეზღუდული სიჩქარით გადაადგილება, მისასვლელი გზების მუდმივი მორწყვა, განსაკუთრებით მშრალ ამინდში, სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება გადახურული ძარით და ასევე ღამის საათებში მოძრაობის შეზღუდვა.

აღნიშნული ღონისძიებები მნიშვნელოვნად ამცირებს ზემოქმედების რისკებს და უბედური შემთხვევების ალბათობას, რომელიც კომპანიას აქამდე არ ქონია.

### **8.3 ინფორმაცია ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის გამოყოფილი ავტოტრანსპორტის შესახებ, რაოდენობის მითითებით**

საწარმოს სპეციფიკის გათვალისწინებით, საწარმოო პროცესის ნედლეულით მომარაგების და პროდუქციის საწარმოდან გატანის მიზნით კომპანიას ემსახურება „HOVO”-ს, „Ford”-ის და „MAN”-ის მარკის 18 მ<sup>3</sup> სატვირთო თვითმცლელები, სულ 10 ერთეული. არსებული თვითმცლელების ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და აღჭურვილი არიან ძარის გადახურვის საშუალებებით. ამასთან, აღნიშნული რაოდენობის ცვლილება დაგეგმილი არ არის, თუმცა, სამომავლოდ შესაძლოა ავტოპარკის განახლება შედარებით უფრო ნაკლებ საწავზე მომუშავე თვითმცლელებით. თუმცა, აღნიშნული მომავლის პერსპექტივაა და დღეისთვის რაიმე სახის ცვლილება დაგეგმილი არ არის.

**9 ინფორმაცია საწარმოო ტერიტორიასთან მისასვლელი გზების შესახებ, ასევე, ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების სქემასა და გეგმა-გრაფიკთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტთან კომუნიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია**

საწარმოს ტერიტორიამდე, ქ. კასპიდან, კერძოდ კი იგოეთი-კასპი-ახალქალაქის შიდასახელმწიფო ბრივი მნიშვნელობის გზიდან (შ61) შემოდის ნაწილობრივ ასფალტირებული და ნაწილობრივ მოხრეშილი სასოფლო გზა, რომელიც დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია და არ საჭიროებს დამატებით სარემონტო სამუშაოებს. შესაბამისად, კომპანია იყენებს და შემდგომშიც გამოიყენებს აღნიშნულ გზას საწარმომდე მისასვლელად და საწარმოდან პროდუქციის ტრანსპორტირებისთვის.

აღნიშნულთან დაკავშირებით, კომპანიამ მიმართა კასპის მუნიციპალიტეტის მერიას წერილობით, რომელსაც თან ერთვოდა სიტუაციური რუკა (სქემა) მისასვლელი გზის ჩვენებით და ასევე ინფორმაცია სატრანსპორტო რეისების გეგმა-გრაფიკის შესახებ და ითხოვა აღნიშნული გზის გამოყენება საწარმოს ექსპლოატაციისას, სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებისთვის. ქ. კასპის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 17 იანვრის # 82-822301747 წერილის შესაბამისად, ქ. კასპის მუნიციპალიტეტი არ არის წინააღმდეგი აღნიშნული გზის გამოყენებაზე, იმ პირობით, რომ გზის საფარის დაზიანების შემთხვევაში, მისი აღდგენა მოხდება კომპანია მეგა ჰოლდინგის სახსრებით. აღნიშნული წერილი დანართის სახით თან ერთვის წინამდებარე გზშ-ის ანგარიშს (დანართი 3).



სურ. N9 - მისასვლელი გზა

## 10 ინფორმაცია საწარმოს სახანძრო უსაფრთხოების შესახებ, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები

საწარმოს ექსპლოატაციის ეტაპზე ხანძრის განვითარების და აფეთქების რისკების თვალსაზრისით სენსიტიური უბანია: სახიფათო ნარჩენების განთავსების უბანი და ნავთობპროდუქტების გაცემის უბანი. სხვა ადვილად აალებადი და ფეთქებადი მასალების განთავსების უბნები საწარმოს არ გააჩნია. ამ ეტაპზე, საწარმოს ტერიტორიაზე, კერძოდ ნავთობპროდუქტების რეზერვუართან მოწყობილია ხანძარსაწინააღმდეგო სტენდი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. ამასთან საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილია წყლის ბასეინი, რომელსაც საწარმო საწარმოო წყლის შესაგროველად და ტექნოლოგიურ ციკლში გასაშვებად იყენებს. საჭიროების შემთხვევაში ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისთვის წყლის აღება მოხდება აღნიშნული ბასეინიდან, იქ არსებული ტუმბოს მეშვეობით.

ბასეინში არსებული ტუმბოს ტექნიკური გამართულობის კონტროლი მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს, რადგან აღნიშნული ტუმბოს მეშვეობით ხდება საწარმოს ტექნოლოგიურ ციკლში წყლის მიწოდება. შესაბამისად იმის საშიშროება, რომ შესაძლო ხანძრის შემთხვევაში წყლის გამოყენების შესაძლებლობა არ იქნება არ არის. საწარმოს სპეციფიკის გათვალისწინებით, საწარმოში ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისთვის გამოყენებული წყლის წლიური ხარჯი არ აღემატება  $50 \text{ m}^3/\text{წელ}$ .

გარდა ამისა, ობიექტს მუდმივ მეთვალყურეობას უწევს უსაფრთხოების მენეჯრი, რომელიც ყოველდღიურ რეჟიმში ამოწმებს უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებულ ყველა ნიუანსს. ამას გარდა, დასაქმებული პერსონალი მუდმივად გადის ინსტრუქტაჟებს უსაფრთხოებასთან, მათ შორის სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

ამასთან, ობიექტზე ხანძარსაშიში ნარჩენების განთავსების ადგილებში, ასევე ნავთობპროდუქტების გაცემის უბანზე, სასტიკად იკრძალება მოწევა და ღია ცეცხლით სარგებლობა. საწარმოს პერსონალი დატრენინგებულია და თითოეულმა მათგანმა იცის ხანძრის შემთხვევაში სწორედ როგორ გამოიყენოს ხანძარერობის ინვენტარი. სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები მოცემულია წინამდებარე დოკუმენტის ავარიული სიტუაციების მართვის დეტალურ გეგმაში.

აქვე, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ დრომდე, ხანძრის შემთხვევბი საწარმოს ტერიტორიაზე არ ყოფილა.



სურ. 10 - ხანძარსაწინააღმდევო სტენდი საწარმოს ტერიტორიაზე

## 11 რაიონის მოკლე ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება

### 11.1 კლიმატი და მეტეოროლოგიური პირობები

საქართველო გამოირჩევა თავის მეტეოკლიმატურ-მეტეოროლოგიური პირობების მრავალფეროვნებით. ამ მრავალფეროვნების დასახასიათებლად და სათანადო სამეცნიერო თუ პრაქტიკული საწარმოო-საზოგადოებრივი საქმიანობის უზრუნველსაყოფად, ქვეყანაში ფუნქციონირებს რეგულარული პიდრომეტეოროლოგიური დაკვირვებების სახელმწიფო ქსელი. მრავალწლიანი (ზოგიერთი სადგურისათვის - საუკუნოვანი) დაკვირვებების მონაცემების დამუშავების ბაზაზე დადგენილია საქართველოს, როგორც მთლიანი ქვეყნის, ასევე მისი რეგიონების, ცალკეული დასახლებული რაიონების და მსხვილი ქალაქების კლიმატური მახასიათებლები. აღსანიშნავია, რომ მის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებს გააჩნიათ კლიმატის ფორმირების გამოკვეთილად განსხვავებული ფიზიკურ-გეოგრაფიული და ატმოსფერული ცირკულაციის თავისებურებები. ამ რეგიონებში მიმდინარე ლოკალურ ანთროპოგენურ პროცესებს შეუძლიათ გავლენა იქონიონ მხოლოდ შეზღუდული მასშტაბით. აქედან გამომდინარე, საწარმოო ობიექტის საქმიანობასთან დაკავშირებით ზოგადად განიხილება - აღმოსავლეთ საქართველოს, ქართლის რეგიონი.

კლიმატი ამ მიკრორეგიონში არის ზომიერად მშრალი, ზომიერად ცივი ზამთრით და ცხელი ზაფხულით, მთლიანად კი რაიონის კლიმატი მშრალი სუბტროპიკული ტიპისაა. რაიონის მიკროკლიმატის ტემპერატურული რეჟიმი საკმაოდ კონტრასტულია. აქ თოვლის საფარი არამდგრადია. დამახასიათებელია ჰაერის დაბინძურების საშუალო მეტეოროლოგიური პოტენციალი.

## ტემპერატურული რეჟიმი

საქმიანობის ობიექტის განლაგების დასახლებული პუნქტია ქალაქი კასპი, რის გამოც ობიექტის განლაგების ტერიტორიას და მის მიდამოებს, საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური ქსელის რეგულარული დაკვირვების მონაცემების მიხედვით, ახასიათებს უშუალოდ ამ დასახლებულ პუნქტში აღრე განლაგებული მეტეოროლოგიური სადგურის, აგრეთვე ამჟამად ფუნქციონირებადი უახლოესი მეტეოროლოგურის მონაცემები.

ამ მონაცემების მიხედვით წლის ყველაზე ცივი თვის - იანვრის საშუალო ტემპერატურაა  $(-0.5)^{\circ}\text{C}$ , ამ თვის აბსოლიტური მინიმუმის საშუალო მრავალწლიორი  $(-4.0)^{\circ}\text{C}$  ყინვას, ხოლო აგვისტოს, წლის ყველაზე ცხელი თვის საშუალო ტემპერატურა  $23.2^{\circ}\text{C}$ , ამასთან ჰაერის ტემპერატურის აბსოლიტური მაქსიმუმის საშუალო მრავალწლიორი ამ თვეში აღწევს  $29.5^{\circ}\text{C}$ .

ცხრილებში მოცემულია კლიმატური მახასიათებლები „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის #71 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად.

ასევე, ცხრილებში და საილუსტრაციო დიაგრამაზე მოცემულია ძირითადი კლიმატური და რეჟიმულ-მეტეოროლოგიური პარამეტრების ფაქტობრივი მნიშვნელობები, რომელიც შესატყვისება საწარმოო ობიექტის განლაგების უბანს (კლიმატური ცნობარების თანახმად).

### ცხრილი 11.1.1

ატმოსფერული ჰაერის მრავალწლიურ საშუალო ტემპერატურათა მნიშვნელობები

უბნის ტერიტორიაზე განლაგებული ჰიდრომეტეოროლოგიური ქსელის სადგურებზე ( $^{\circ}\text{C}$ )

დაკვირვების სადგური	თვე												წელი
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
კასპი	-0.5	0.6	5.4	10.7	15.8	19.7	23.1	23.2	18.9	13.0	6.4	0.7	11.4

### ცხრილი 11.1.2

ატმოსფერული ჰაერის დღედამურ მინიმალურ ტემპერატურათა საშუალო მნიშვნელობები უბნის ტერიტორიაზე განლაგებული ჰიდრომეტეოროლოგიური ქსელის სადგურებზე ( $^{\circ}\text{C}$ )

დაკვირვების სადგური	თვე												წელი
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
კასპი	-4.0	-3.1	0.7	6.1	10.8	13.9	17.8	17.8	14.1	8.1	2.7	-2.8	6.8

## ცხრილი 11.1.3

ატმოსფერული ჰაერის დღედამურ მაქსიმალურ ტემპერატურათა საშუალო მნიშვნელობები უბნის ტერიტორიაზე განლაგებული ჰიდრომეტეოროლოგიური ქსელის სადგურებზე ( $^{\circ}\text{C}$ )

დაკვირვების სადგური	თვე												წელი
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
კასპი	5.2	5.4	10.6	17.0	22.1	26.1	28.9	29.5	24.7	18.5	10.8	6.0	17.1

## ცხრილი 11.1.4

ჰაერის ფარდოფითი ტენიანობის თვისა და წლის საშუალო მნიშვნელობები უბნის ტერიტორიაზე განლაგებული ჰიდრომეტეოროლოგიური ქსელის სადგურებზე (%)

დაკვირვების სადგური	თვე												წელი
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
კასპი	80	78	72	67	70	68	65	66	71	76	79	81	73

## ინფორმაცია გაბატონებული ქარის შესახებ

მეტეოროლოგიური მონაცემებით, წლის სხვადასხვა თვეებში ქარის მიმართულებებისა და შტილის განმეორადობა ქ. კასპისათვის მოცემულია ცხრილ 2.5-ში. საშუალოდ წლიური ქარის სხვადასხვა მიმართულებების განმეორადობა შემდეგნაირად ნაწილდება: ჩრდილოეთის – 2 %, ჩრდილო-დასავლეთის – 8 %; აღმოსავლეთის – 31 %, სამხრეთ-აღმოსავლეთის – 7 %; სამხრეთის – 2 %, სამხრეთ-დასავლეთის – 1 %, დასავლეთის – 32 %; ჩრდილო-დასავლეთის – 17 %. უქარო შემთხვევების (შტილი) – 39 %. სქემატურად, ქარის სხვადასხვა მიმართულებების განმეორადობა მოტანილია ნახაზში N11.1. ქ. კასპისათვის დამახასიათებელი ქარის სიჩქარის თვის და წლის საშუალო მნიშვნელობები (V მ/წმ) – მოცემულია ცხრილ 11.1.6-ში.

ქარის სხვადასხვა მიმართულებებისა და შტილის განმეორადობა მოცემულია ცხრილ 11.1.5-ში და ნახაზ 11.1-ზე.

## ცხრილი 11.1.5

ქარის მიმართულებებისა და შტილის განმეორადობა (%)


თვე	ჩ	ჩ-აღმ.	აღმ.	ს-აღმ.	ს	ს-დ	დ.	ჩდ	შტილი
I	4	11	32	3	1	1	31	17	44
II	3	9	29	3	1	1	34	20	26

III	2	8	34	6	1	0	31	18	29
IV	1	7	33	10	2	1	30	16	30
V	2	6	29	10	2	2	33	16	35
VI	3	5	22	11	2	2	36	19	38
VII	2	4	20	10	3	1	40	20	36
VIII	2	6	25	10	2	2	35	18	42
IX	3	5	30	10	1	1	35	15	42
X	3	7	33	7	2	1	32	15	43
XI	2	12	43	6	1	1	23	12	42
XII	3	11	39	4	1	1	27	14	49
წლიური	2	8	31	7	2	1	32	17	39

ცხრილი 11.1.6

ქარის სიჩქარის საშუალო თვიური და წლიური მნიშვნელობების უბნის ტერიტორიაზე განლაგებული ჰადრომეტეოროლოგიური ქსელის სადგურებზე (მ/წმ)

დაკვირვების სადგური	თვე												წელი
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
კასპი	3.3	4.4	4.7	4.6	4.0	3.7	4.0	3.2	3.2	3.0	2.8	2.6	3.6



სურ.11.1 - ქარის მიმართულებების განმეორადობა (პროცენტებში).

### ნალექები

კასპისათვის გასაშუალოებული ნალექების წლიური რაოდენობა შეადგენს 517 მმ-ს. ნალექების მთავარი მაქსიმუმი მაის-ივნისშია (95 - 70 მმ-ის ფარგლებში). ყველაზე მშრალი თვეებია იანვარი და დეკემბერი, როცა ნალექების რაოდენობა 23 მმ-ის სიახლოვესაა. რაც შეეხება ნალექების სეზონურ განაწილებას, ამ მხრივ კასპისათვის დამახასიათებელია შედარებით უხვნალექიანობა გაზაფხულ-ზაფხულში და მცირე ნალექიანობა შემოდგომა-ზამთარში. ნალექების მნიშვნელობები თვეების მიხედვით კასპისათვის მოცემულია ცხრილ 11.1.7-ში

ცხრილი 11.1.7


ატმოსფერული ნალექების ჯამის საშუალო მნიშვნელობები უბნის ტერიტორიაზე განლაგებული ჰიდრომეტეოროლოგიური ქსელის სადგურებზე (მმ)

დაკვირვების სადგური	თვე												წელი
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
კასპი	23	33	30	49	95	69	48	37	42	34	34	23	517

## 11.2 სეისმურობა

საქართველოს ტერიტორია, როგორც კავკასიის სეისმოაქტიური რეგიონის შემადგენელი ნაწილი, მიეკუთვნება ხმელთაშუა ზღვის სეისმურ სარტყელს და მდებარეობს სეისმური აქტივობის ზომიერ ზონაში.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2009 წლის 7 ოქტომბრის სამშენებლო ნორმებისა და წესების „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01.09) დამტკიცების შესახებ, საკვლევი ტერიტორია, სოფ. ქსანი, ზოგადი სეისმური დარაიონების სქემის მიხედვით, განეკუთვნება 8 ბალიან სეისმურ რაიონს, 0,17 სეისმურობის კოეფიციენტი.



სურ N11.2 - საქართველოს სეისმური დარაიონების რუკა

## 11.3 მდ. მტკვრის ჰიდროლოგია

როგორც უკვე აღინიშნა, საწარმოსთვის ტექნიკური წყლის აღება ხორციელდება მდინარე მტკვრიდან, რომელიც სათავეს იღებს თურქეთში, მთა ყიზილ-გიადიკის ჩრდილოეთ ფერდობზე არსებული წყაროებიდან 2 720 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ერთვის კასპიის ზღვას აზერბაიჯანის ტერიტორიაზე.

მდინარის სიგრძე 1 364 კმ-ს, წყალშემკრები აუზის ფართობი კი 188 000 კმ<sup>2</sup>-ს შეადგენს. საქართველოს ტერიტორიაზე მდინარის სიგრძე 350 კმ-ია. ამ მონაკვეთზე მდინარის ჰიდროგრაფიული ქსელი შედგება 12 211 მდინარისგან, რომელთა ჯამური სიგრძე 35 465 კმ-ს შეადგენს. მათ შორის ძირითადი შენაკადებია ფოცხოვი (სიგრძით 64 კმ), დიდი ლიახვი (98 კმ), თეძამი (51 კმ), ქსანი (84 კმ), არაგვი (66 კმ), ალგეთი (108 კმ) და ქცია-ხრამი (201 კმ).

მდინარე მტკვრის აუზს ასიმეტრიული ფორმა გააჩნია და საქართველოს ტერიტორიაზე მოიცავს მთავარი კავკასიონის ქედს, სომხეთ-ჯავახეთის მთიანეთს და მთათაშორის ტექტონიკურ დაბლობს. მისი

წყალგამყოფის ნიშნულები 2700-3000 მეტრიდან (კავკასიონის ქედზე) აღმოსავლეთით დაბლდება 200-500 მეტრამდე (აზერბაიჯანის საზღვრისაკენ). აუზის ყველაზე დაბალ ნაწილს მთათაშორისი დაბლობი წარმოადგენს, რომელსაც ქართლის დაბლობი ეწოდება.

მდინარის ხეობის ფორმა იცვლება მთელ სიგრძეზე. სახელმწიფო საზღვართან ხეობა ღრმად არის ჩაჭრილი მიმდებარე მთებს შორის, სოფელ მინაძის ზემოთ იგი იღებს ყუთისმაგვარ ფორმას, სოფ. მინაძის ქვემოთ ხეობა კანიონისებურია, რომელიც სოფ. ჩეჩერეკის ქვემოთ განივრდება. სოფელ აწყურიდან სოფ. ტაშისკარამდე მდინარე მიედინება ბორჯომის ხეობაში, სოფ. ტაშისკარის ქვემოთ კი გადის შიდა ქართლის ვაკეზე, სადაც მდინარის ხეობა იღებს კარგად ჩამოყალიბებულ ყუთისმაგვარ ფორმას. სოფელ ძეგვთან მდინარის ხეობა კვლავ იღებს კანიონის ფორმას, რომელიც გრძელდება 8 კმ-ის სიგრძეზე. ძეგვის კანიონის ქვემოთ მდინარის ხეობა განივრდება და დიდუბემდე გადის დიღმის ვაკეზე, სადაც მარცხენა ფერდობი დაცილებულია წყლის ნაპირიდან 1,5-2 კმ-ზე, მარჯვენა კი 3-4 კმ-ზე. აღნიშნულ მონაკვეთზე მდინარე გაედინება ღრმად ჩაჭრილ კალაპოტში. მისი ტერასების სიგანე 150-350 მეტრია. ტერასების მოსწორებული ზედაპირი აგებულია ალუვიური დანალექებით. ამ მონაკვეთზე მდინარეს გააჩნია უმნიშვნელო ჭალა.

მდინარე საზრდოობს მყინვარების, თოვლის, წვიმისა და გრუნტის წყლებით. მისი წყლიანობის რეჟიმი ხასიათდება სეზონური თოვლის დნობით გამოწვეული გაზაფხულის წყალდიდობით, ზაფხულის არამდგრადი და ზამთრის შედარებით მდგრადი წყალმცირობით. ყველაზე წყალუხვ პერიოდად ითვლება გაზაფხული, როდესაც ჩამოედინება წლიური ჩამონადენის 47-58%. ზაფხულის ჩამონადენი შეადგენს 22-27%-ს და აჭარბებს როგორც შემოდგომის, ასევე ზამთრის ჩამონადენს.

წყლის მინიმალური დონეები და ხარჯები ძირითადად ზამთრის თვეებში ფიქსირდება. ამ პერიოდში ყინულოვანი მოვლენები არამდგრადია. ყველა ყინულოვანი მოვლენებიან დღეთა საშუალო რიცხვი 63 დღეს არ აღემატება და საშუალოდ 8-14 დღეს შეადგენს.

მდინარე მტკვარი ფართოდ გამოიყენება ირიგაციული, ენერგეტიკული და სამრეწველო წყალმომარაგების მიზნებისთვის.

## 11.4 ბიოლოგიური გარემო

### 11.4.1 ცხოველთა სამყარო

საწამოს განთავსების მუნიციპალიტეტში მტაცებელი ძუძუმწოვრებიდან შესაძლებელია შეგვხვდეს: მგელი (*Canis lupus*), ტურა (*Canis aureus*), მელა (*Vulpes vulpes*), კლდის კვერნა (*Martes foina*), დედოფალა (*Mustela nivalis*), მაჩვი (*Meles meles*). მღრნელებიდან: წითელი ციყვი (*Sciurus vulgaris*), ტყის ძილგუდა (*Dryomys nitedula*), ჩვეულებრივი ძილგუდა (*Glis glis*), მცირეაზიური მემინდვრია (*Chionomys roberti*), ბუჩქნარის მემინდვრია (*Microtus majori*), ჩვეულებრივი მემინდვრია (*Microtus arvalis*), სახოგადოებრივი მემინდვრია (*Microtus socialis*), მცირე თაგვი (*Sylvaemus uralensis*), სტეპის თაგვი (*Apodemus fulvipectus*), სახლის თაგვი (*Mus musculus*), რუხი

ვირთაგვა (*Rattus norvegicus*) და ა.შ. მწერიჭამიებიდან: ზღარბი (*Erinaceus concolor*), მცირე თხუნელა (*Talpa levantis*), გრძელკუდა კბილთეთრა (*Crocidura gueldenstaedti*), თეთრმუცელა კბილთეთრა (*Crocidura leucodon*) და სხვა.

როგორც უკვე აღინიშნა, საწარმოს მიმდებარე ტერიტორიები წლების მანძილზე განიცდიდა ანთროპოგენულ ზემოქმედებას, გამოიყენებოდა საწარმოო დანიშნულებით, შესაბამისად ენდემური ჰაბიტატებისგან თავისუფალი და სახეცვლილია. ტერიტორია არ წარმოადგენს ხმელეთის ცხოველებისთვის მნიშვნელოვან საარსებო გარემოს.

იმის გათვალისწინებით, რომ საპროექტო არეალის მიმდებარე ტერიტორიები ძირითადად საკარიერო ფართობებს უკავია და უკვე წლებია აქტიურად მიდის სასარგებლო წიაღისეულის ათვისების პროცესი, რომელიც დაკავშირებულია ტექნიკის მუშაობასთან და მათ გადაადგილებასთან, აქ ცხოველთა ბუდობისთვის ხელსაყრელი პირობები შექმნილი არ არის. საწარმოს ტერიტორიაზე ან/და მის მიმდებარედ ცხოველთა რომელიმე სახეობის სორო, ბუდე, ნაფეხური ან/და ექსკრემენტი შემჩნეული არ არის. ზემოაღნიშნული ცხოველთა სახეობები საწარმოს სიახლოვეს შესაძლებელია შემთხვევით მოხვდნენ დროებით. რაც შეეხება ფრინველთა სახეობებს, მათი საბინადრო ადგილები ძირითადად კვერნაკის ქედზე მდებარეობს, რომელიც საპროექტო ტერიტორიიდან საკმაოდ დიდი მანძილით არის დაშორებული.

ამასთან აღსანიშნავია, რომ საწარმოს ტერიტორია შემოღობილია და ცხოველთა რომელიმე სახეობის ტერიტორიაზე მოხვედრის და დაზიანების რისკი არ არის.

#### 11.4.2 მცენარეული საფარი

კასპის მუნიციპალიტეტი საქართველოს ფიტოგეოგრაფიული დაყოფის სქემის (გაგნიძე 1996) მიხედვით მიეკუთვნება უძველესი ხმელთაშუა ზღვისპირეთის სამყაროს, სამხრეთამიერკავკასია-წინა აზია-თურანის ოლქის, ამიერკავკასიის ან ივერიის პროვინციის, შიდა ქართლის ფლორისტულ რაიონს, რომელიც კასპთან ერთად ასევე მოიცავს ჯავის გორის ხაშურისა და ქარელის მუნიციპალიტეტებს.

კასპის რაიონის მცენარეულობა მრავალფეროვანია, სტეპურიდან დაწყებული სუბალპურით დამთავრებული. ვაკეზე ძირითადად გავრცელებულია ჯაგეკლიანი, ეკლიანი, სტეპის და მდელო-სტეპის მცენარეულობა, რომელშიც გარეულია ტყის ელემენტები . ბუჩქნარებიდან ძირითადად ფორმაციებს ქმნის ქეძი (Paliurus spina-christi) ჯაგრცხილასა (Carpinus orientalis) და შავჯაგასთან (Rhamnus palasii), ბერყენებთან (Pyrus salicifolia) ერთად, ტყის ძირითადი შემქმნელი სახეობებია ქართული მუხა (Quercus petraea subsp. iberica), კავკასიური რცხილა (Carpinus betulus), წიფელი (Fagus orientalis), რომელთაც შიგადაშიგ ერევათ აღმოსავლეთ საქართველოს ტყის ელემენტები მათ შორის ჩვეულებრივი ნუში (Amygdalus communis), ქართული ნუში (Amygdalus georgica), მინდვრის თელა (Ulmus minor), აკაკი (Celtis caucasica), საკმლის ხე (Pistacia mutica) და სხვა.

გვხვდება მარადმწვანე მცენარეულობაც. არიდული, წიწვოვანი მეჩხერი ტყის შემქმნელია შავი ღვია (*Juniperus foetidissima*), ხოლო ტყის შემქმნელი ძირითადი ფორმაციებია მუხნარები - ქართული მუხით (*Quercus petraea subsp. iberica*) და მუხნარ-რცხილნარები - ქართული მუხითა (*Quercus petraea subsp. iberica*) და კავკასიური რცხილით (*Carpinus betulus*), რომლებიც ყველა ექსპოზიციაზე დომინირებენ.

კასპის მუნიციპალიტეტში გავრცელებულია ძირითადად ტყის ყომრალი, ნეშომპალაკარბონატული და ტყის ყავისფერი ნიადაგები (ტყის სარტყელში). მაღალმთიან სარტყელებში გავრცელებულია ტყე-მდელოს გარდამავალი და მთა-მდელოს კორდიანი ნიადაგები, მათი მრავალრიცხოვანი ვარიანტებით. მცენარეული საფარის ბუნებრივი განაწილების სურათი ანთროპოგენური ფაქტორების ზემოქმედებით ძლიერ დარღვეულია.

რაც შეეხება უშუალოდ საპროექტო ტერიტორია და მისი მიმდებარე არეალი მცენარეული საფარის მხრივ ძალზედ ღარიბია, გამომდინარე მძლავრი ანთროპოგენური ქმედებებისა.

კომპანია, გეგმავს საპროექტო ტერიტორიის პერიმეტრის გამწვანებას, რაც მნიშვნელოვნად შეზღუდვს საწარმოს ტერიტორიიდან მტვრის და ხმაურის ემისიების გავრცელების. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მოცემულია წინამდებარე დოკუმენტის ზემოქმედების შეფასების თავში.

## 12 ზემოქმედების შეფასება

### 12.1 შესაძლო ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილება

როგორც ანგარიშში აღინიშნა, საწარმო მოცემულ ტერიტორიაზე ფუნქციონირებს მრავალი წელია. აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს საწარმოო ზონას და ამასთან აქტიურად მიმდინარეობს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების პროცესი მდინარის მიმდებარედ. შესაბამისად, არსებული ტერიტორიები უკვე სახეცვლილია და საწარმოს ფუნქციონირება დამატებით ვიზუალურ-ლანდშაფტურ ცვლილებას არ გამოიწვევს.

### 12.2 ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და ტყის ფონდის მიწებზე

საწარმოს დანადგარიდან კვერნაკის ქედი დაცილებულია 1 კმ-ზე მეტი მანძილით, აღმოჩენილი პარკი დაახლოებით 17 კმ-ით, ხოლო თბილისის ეროვნული პარკი დაახლოებით 28 კმ-ით. ობიექტის ფუნქციონირებით დაცულ ტერიტორიებსა და ფრინველთათვის ხელსაყრელ საბინადრო ადგილებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ობიექტი განთავსებული არ არის სახელმწიფო ტყის ფონდის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე შესაბამისად, ტყის ფონდსა და მის გარემოზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

## 12.3 სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე ზემოქმედება, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები

საპროექტო ტერიტორია კომპანიას იჯარით აქვს აღებული და შესაბამისად საქმიანობის განხორციელება ფიზიკურ და ეკონომიკურ განსახლებასთან დაკავშირებული არ არის.

იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული მომსახურე პერსონალის და ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გარკვეული რისკები, პრევენციის მიზნით კომპანია მკაფრად იცავს უსაფრთხოების ნორმებს საწარმოს ტერიტორიაზე.

საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი ფაქტურად გამორიცხულია, ვინაიდან საწარმოში გადასამუშავებლად მიღებული ნედლეული და ასევე გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქცია წარმოადგენს ინერტულ მასალას, რომელიც არ განიცდის მნიშვნელოვან ფიზიკურ, ქიმიურ ან ბიოლოგიურ ცვლილებებს, არ ხასიათდება ხსნადობით, არ იწვევს და არ შედის სხვაგვარ ქიმიურ ან ფიზიკურ რეაქციაში, არ განიცდის ბიოდეგრადაციას და სხვა მასალაზე არ ახდენს ისეთ გავლენას, რომელიც გამოიწვევს გარემოს დაბინძურებას ან ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებას.

ადამიანების ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, საწარმოში დაწესებულია უსაფრთხოების წესები და მომსახურე პერსონალი აღჭურვილია ინდივიდუალული დაცვის საშუალებებით.

ამასთან მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ რომ საწარმოში ნედლეულის გადამუშავება ხდება სველი მეთოდით, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ატმოსფერულ ჰაერში მტვრის გაფრქვევას და მისგან გამოწვეულ ზემოქმედებას დასახლებულ პუნქტზე.

რაც შეეხება, საწარმოს მიზნებისთვის პროდუქციის ტრანსპორტირებით გამოწვეულ ზემოქმედებას, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კომპანიის ავტოსატრანსპორტო საშუალებები აღჭურვილი არიან შესაბამისი გადახურვით, რათა თავიდან იქნეს აცილებული ნედლეულიდან ამტვერება. ამასთან კომპანიას დაწესებული აქვს მუდმივი მონიტორინგი ავტო სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მდგომარეობაზე და გადაადგილების სიჩქარეზე.

საწარმოში ამ ეტაპზე დასაქმებულია 28 ადამიანი ორ სხვადასხვა ცვლაში, რაც მნიშვნელოვანი გარემოებაა სამუშაო ადგილების შექმნის თვალსაზრისით და სოციალურ გარემოზე დადებითი შედეგის მომტანია.

## 12.4 ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე

როგორც უკვე აღინიშნა, საწარმოს მიმდებარე ტერიტორიები წლების მანძილზე განიცდიდა ანთროპოგენულ ზემოქმედებას, გამოიყენებოდა საწარმოო დანიშნულებით, შესაბამისად ენდემური ჰაბიტატებისგან თავისუფალი და სახეცვლილია. ტერიტორია არ წარმოადგენს ხმელეთის ცხოველებისთვის მნიშვნელოვან საარსებო გარემოს.

იმის გათვალისწინებით, რომ საპროექტო არეალის მიმდებარე ტერიტორიები ძირითადად საკარიერო ფართობებს უკავია და უკვე წლებია აქტიურად მიღის სასარგებლო წიაღისეულის ათვისების პროცესი, რომელიც დაკავშირებულია ტექნიკის მუშაობასთან და მათ გადაადგილებასთან, აქ ცხოველთა ბუდობისთვის ხელსაყრელი პირობები შექმნილი არ არის. საწარმოს ტერიტორიაზე ან/და მის მიმდებარედ ცხოველთა რომელიმე სახეობის სორო, ბუდე, ნაფეხური ან/და ექსკრემენტი შემჩნეული არ არის. ზემოაღნიშნული ცხოველთა სახეობები საწარმოს სიახლოვეს შესაძლებელია შემთხვევით მოხვდნენ დროებით. რაც შეეხება ფრინველთა სახეობებს, მათი საბინადრო ადგილები ძირითადად კვერნაკის ქედზე მდებარეობს, რომელიც საპროექტო ტერიტორიიდან საკმაოდ დიდი მანძილით არის დაშორებული.

ამასთან აღსანიშნავია, რომ საწარმოს ტერიტორია შემოღობილია და ცხოველთა რომელიმე სახეობის ტერიტორიაზე მოხვედრის და დაზიანების რისკი არ არის.

საპროექტო ტერიტორია თავისუფალია ხე-მცენარეებისგან და მისი ზედაპირი მოხრეშილია. შესაბამისად მცენარეულ საფარზე რაიმე სახის ზემოქმედება პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი არ არის. კომპანია, გეგმავს საპროექტო ტერიტორიის პერიმეტრის გამწვანებას, რაც მნიშვნელოვნად შეზღუდავს საწარმოს ტერიტორიიდან მტვრის და ხმაურის ემისიების გავრცელებას.

#### **ინფორმაცია ტერიტორიის გამწვანების დონისძიებების შესახებ**

საწარმოო ობიექტიდან მტვრისა და ხმაურის ემისიების გავრცელების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, კომპანიას დაგეგმილი აქვს ობიექტის ტერიტორიაზე, გამწვანების მოწყობა, რომელიც ხელოვნურ ბარიერს შექმნის ემისიების გავრცელების კუთხით და გამოყენებული იქნება როგორც ბუნებრივი ეკრანი მოსახლეობის შეწუხების თავიდან ასაცილებლად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, გზშ-ის ეტაპზე შესაბამისი სპეციალისტის - დენდროლოგის მიერ განხორციელდა რეგიონის შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციები მიეცა კომპანიას ტერიტორიის გასამწვანებლად.

რეგიონის ფიტოდარაიონების გათვალისწინებით და ზოგადად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მერქნიან მცენარეთა გასაშენებლად ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენის მიზნით სასურველია შემდეგი ადგილობრივი ფლორისათვის დამახასიათებელი სახეობების გამოყენება:

- ქართული მუხა (*Quercus petraea* subsp. *iberica*) - ადგილობრივი ფლორის წარმომადგენელი მცენარე, ნელამზარდი, გვალვაგამძლე, არაალერგიული, კარგი მშთანმთქმელი იზრდება 25-30 მეტრი სიმაღლის და მეტი.


- ჩვეულებრივი ნუში (*Amygdalus communis*) – 20 მეტრამდე სიმაღლის ადგილობრივი ფლორის წარმომადგენელი ხეა, გვალვაგამძლე.
- მინდვრის თელა (*Ulmus minor*) - წითელი ნუსხის სახეობის ადგილობრივი ფლორის წარმომადგენელი ხეა, ნელამზარდია და აღწევს 15-20 მეტრს და ხანდახან 30 მეტრსაც.
- კავკასიური აკაკი (*Celtis caucasica*) – 25-30 მეტრ სმიაღლის ადგილობრივი ფლორის წარმომადგნელი ხეა, კარგი მშთანმთქელი, მაღალდეკორატიული.
- კავკასიური რცხილა (*Carpinus betulus*) - 30-35 მეტრ სმიაღლის ადგილობრივი ფლორის წარმომადგნელი ხეა, კარგი მშთანმთქმელია, არაალერგიული.
- საკმლის ხე (*Pistacia mutica*) - დაბალტანოვანი ხეა, ადგილობრივი ფლორის წარმომადგენელი, კარგად ეგუება აღმოსავლეთ საქართველოს ნიადაგურ-კლიმატურ პირობებს. გვალვაგამძლეა.
- შავი ღვია (*Juniperus foetidissima*) - დაბალტანოვანი იშვიათად 15-18 მეტრი სიმაღლის, წიწვოვანი ხეა. ადგილობრივი ფლორის წარმომადგენელი რომელიც კარგად უძლებს გვალვებს. ხშირად გამოიყენება ურბანულ გამწვანებაში.

	
მუხა	აკაკი



თელა

ნუში



საკმლის ხე

ღვია



რცხილა

## 12.5 ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე

საწარმოს ტერიტორია წლების მანძილზე გამოყენებულია საწარმოო დანიშნულებით, კერძოდ სასარგებლო წილის გადამუშავების მიზნით. ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა წარმოდგენილი არ არის, შესაბამისად მასზე რაიმე სახის ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

## 12.6 ზემოქმედების შეფასება ნიადაგზე და გრუნტის ხარისხზე

როგორც უკვე აღინიშა, საწარმოს ტერიტორია ძირითადად მოხრეშილია, ხოლო ნავთოპროდუქტების განთავსების რეზერვუარი და საწვავის გაცემის უბანი მოწყობილია მობეტონებულ ტერიტორიაზე, რომელიც ასევე აღჭურვილია მობეტონებული ორმოთი. საწვავის შემთხვევითი დაღვრის შემთხვევაში (ჩასხმის დროს) დაღვრილი მცირე რაოდენობის ნავთოპროდუქტები შეგროვდება ბეტონის ორმოში და მისი მართვა მოხდება სახიფათო ნარჩენების მართვის წესების შესაბამისად.

რაც შეეხება, საწარმოს ტერიტორიას, საწარმოო დანადგარები მუშაობენ ელექტრო ენერგიაზე, რომლის მიწოდებაც ხორციელდება ადგილობრივი ენერგო ქსელიდან და საწვავის გამოყენებას საწარმოო დანადგარებთან ადგილი არ აქვს. შესაბამისად საწარმოს ტერიტორიიდან და ასევე ნედლეულის და პროდუქციის განთავსების უბნებიდან, რომელიც ასევე მოხეშილია, ნიადაგის და გრუნტის დაბინძურებას ადგილი არ აქვს, ვინაიდან ნედლეული წარმოადგენს მდინარის ბალასტს და მისი დაბინძურება სახიფათო მასალებით არ ხდება. შესაბამისად, შემარბილებელი ღონისძიებები მოცემულია შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა-გრაფიკში, მხოლოდ იმ შეთხვევისთვის, თუ მოხდება საწვავის ჩასხმის ან/და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების დროს მცირე რაოდენობის საწვავის შემთხვევითი დაღვრა ნავთოპროდუქტების საცავის მიმდებარედ, საწარმოს ტერიტორიაზე ან/და საწარმოს გარე პერიმეტრზე.

## 12.7 ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე

ობიექტის უშუალო სიახლოვეს არ მდებარეობს ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, შესაბამისად აღნიშნულზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობის და საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენის ალბათობა თითქმის არ არსებობს.

## 12.8 ზემოქმედება ზედაპირულ და მიწისქვეშა გრუნტის წყლებზე

როგორც აღინიშნა, მდ. მტკვარი ფართოდ გამოიყენება ირიგაციული, ენერგეტიკული და სამრეწველო წყალმომარაგების მიზნებისთვის. ამასთან კომპანიას აღნიშნული საწარმოსთვის საჭირო წყალაღების მიზნით შეთანხმებული აქვს ტექნიკური რეგლამენტი, რის საფუძველზეც შეიძლება ითქვას, რომ ტექნიკური მიზნით, ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღება არ იწვევს მნიშვნელოვან ზემოქმედებას და არც გაზრდილი რაოდენობა არ შეცვლის მდინარის ჰიდროლოგიურ სურათს.

რაც შეეხება გრუნტის წყლების დაბინძურების საკითხს, გამომდინარე იქიდან, რომ საწარმოს ტერიტორიაზე მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესი არ ითვალისწინებს მავნე და სახიფათო ნივთიერებების გამოყენებას, სანიაღვრე წყლების გრუნტში ჩაშვება არ იწვევს რაიმე სახის უარყოფით ზემოქმედებას გრუნტის წყლებზე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საწარმოს ტერიტორია მოხრეშილია და განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ავტოგასამართი რეზერვუარების განთავსების ლოკაციას.

ამასთან, საწარმოში დანერგილია წყლის ბრუნვითი სისტემა, რაც იმას ნიშნავს, რომ ზედაპირული წყლის ობიექტში წყალჩაშვებას საქმიანობა არ ითვალისწინებს, შესაბამისად ამ კუთხით ადგილი არ აქვს რაიმე სახის ზემოქმედებას.

## **12.9 სპეციალურ გარემოზე ზემოქმედება, ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე**

საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ზემოქმედების ძირითადი რეცეპტორები მომსახურე პერსონალი და მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობაა. პერსონალის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე პირდაპირი ზემოქმედება შეიძლება იყოს: სატრანსპორტო საშუალებების დაჯახება, დენის დარტყმა, სიმაღლიდან ჩამოვარდნა, ტრავმატიზმი დანადგარ-მექანიზმებთან მუშაობისას, მოწამვლა და სხვ. პირდაპირი ზემოქმედების პრევენციის მიზნით მნიშვნელოვანია უსაფრთხოების ნორმების მკაცრი დაცვა და მუდმივი ზედამხედველობა.

- პერსონალისთვის ტრეინინგების ჩატარება უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის საკითხებზე;
- დასაქმებული პერსონალის უზრუნველყოფა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;
- ჯანმრთელობისათვის სახიფათო უბნების არსებობის შემთხვევაში შესაბამისი გამაფრთხილებელი, მიმთითებელი და ამკრძალავი ნიშნების დამონტაჟება;
- ჯანმრთელობისათვის სახიფათო უბნების შემოღობვა;
- ჯანმრთელობისათვის სახიფათო უბნებზე სტანდარტული სამედიცინო ყუთების არსებობა;
- მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა;
- სატრანსპორტო ოპერაციებისას უსაფრთხოების წესების მაქსიმალური დაცვა, სიჩქარეების შეზღუდვა;
- სამუშაო უბნებზე უცხო პირთა უნებართვოდ ან სპეციალური დამცავი საშუალებების გარეშე მოხვედრის და გადაადგილების კონტროლი;
- ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების სააღრიცხვო უურნალის წარმოება.

მოსახლეობის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე პირდაპირი ზემოქმედება შეიძლება გამოწვეული იყოს: ატმოსფერულ ჰაერში ემისიების და ხმაურის გავრცელებით. ასევე, სატრანსპორტო შემთხვევების ალბათობით.

ჩატარებული კვლევებით, საწარმოდან ემისიების და ხმაურის გავრცელება ნორმის ფარგლებშია და გადაჭარბებას ადგილი არ ექნება. თუმცა საჭიროა დაწესდეს ხმაურის და ჰაერის მუდმივი მონიტორინგი. ასევე სატრანსპორტო ოპერაციებისას უსაფრთხოების წესების მაქსიმალური დაცვა, სიჩქარეების შეზღუდვა;

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოს ექსპუატაციისას, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარების შემთხვევაში, ადამიანების უსაფრთხოებაზე და ჯანმრთელობაზე ზემოქმედების რისკი შეიძლება მინიმუმამდე იყოს დაყვანილი.

შესაბამისად, ზემოქმედების შეფასების პროცესში განისაზღვრა შემარბილებელი ღონისძიებები, რომლის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა-გრაფიკში.

## **12.10 წარმოქმნა და მისი მართვა**

საწარმოს საქმიანობიდან გამომდინარე მოსალოდნელია სხვადასხვა სახის ნარჩენების წარმოქმნა. საპროექტო ტერიტორიაზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები თავსდება სპეციალურ კონტეინერში და ტერიტორიიდან მისი გატანა ხდება ქ. კასპის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახურის მიერ.

იქიდან გამომდინარე, რომ კომპანიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამართვა ხდება ობიექტის ტერიტორიაზე, სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელია მხოლოდ ავარიული დაღვრის შემთხვევაში, საწვავით დაბინძურებული ხრეშის სახით, რომელიც თავდაპირველად მოთავსდება შესაბამის კონტეინერში, ხოლო შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. რაც შეეხება დაღვრილი საწვავის შემკრებ მცირე რეზერვუარს, აღნიშნულიდან ამოღებული საწვავის გადაცემაც ხდება სათანადო ნებართვის მქონე კომპანიისთვის.

ობიექტის ტერიტორიაზე განთავსებულია სახიფათო ნარჩენების განთავსებისთვის შესაბამისი ჰერმეტული კონტეინერები. იმ შემთხვევაში თუ ტერიტორიაზე მოხდება სხვა სახის სახიფათო ნარჩენის წარმოქმნა, მისი გატანა მოხდება შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიის მიერ.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილ სალექარებში ჰერიოდულად გროვდება ლამი, რომელიც წარმოებაში გამოყენებული წყლის შედეგად წარმოქმნება. აღნიშნული ლამი, როგორც შესაბამის თავშია მოცემული, გროვდება საწარმოს ტერიტორიაზე ნედლეულის დასაწყობების უბნებზე, საიდანაც ჰერიოდულად გადის სარეალიზაციოდ. შესაბამისად, აღნიშნული ლამი არ კვალიფიცირდება როგორც ნარჩენი. დეტალური ინფორმაცია საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების, რაოდენობის და მისი მართვის შესახებ მოცემულია ნარჩენების მართვის გეგმაში.

### **12.10.1 ნარჩენების მართვის საკითხები, ნარჩენების მართვის გეგმა, ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება**

საწარმოს ექსპლუატაციისას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს საყოფაცხოვრებო და მცირე რაოდენობით სახითათო ნარჩენების წარმოქმნას. აღნიშნული ნარჩენების მართვის საკითხები მოცემულია ნარჩენების მართვის გეგმაში.

#### **მოსალოდნელი ნარჩენების სახეები და მისი წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება**

საწარმოს ექსპლუატაციის ფაზაზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ტერიტორიიდან გატანა მოხდება მუნიციპალური სამსახურის მიერ. ხოლო, სახითათო ნარჩენების გატანა მოხდება შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიის მიერ, მათთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების შესაბამისად.

აღნიშნული ნარჩენები შეგროვდება სეპარირებულად, შესაბამის კონტეინერებში. კონტეინერების განთავსების უბანი იქნება მობეტონებული, ავარიული სიტუაციის შემთხვევაში სანიაღვრე წყლების დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით.

რაც შეეხება საწარმოო ნარჩენებს, მისი წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის, ვინაიდან ქვიშა-ხრეშის გადამუშავების დროს დარჩენილი წვრილმარცვლოვანი ლამის რეალიზაცია მოხდება ნედლეულის სახით.

ექსპლუატაციის ფაზაზე მოსალოდნელია შემდეგი სახითათო ნარჩენების წარმოქმნა:

- ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ჩვრები და სხვა საწმენდი საშუალებები;
- საწვავის რეზერვუარის ქვეშ მოწყობილი ბეტონის ავზის გაწმენდისას წარმოქმნილი ნარჩენი.

როგორც უკვე აღინიშნა, ტერიტორიიდან სახითათო ნარჩენების შემდგომი მართვა განხორციელდება ამ საქმიანობაზე სათანადო ნებართვის მქონე კონტრაქტორების საშუალებით.

#### **საყოფაცხოვრებო ნარჩენების მოსალოდნელი რაოდენობა**

საწარმოს ფუქნციონირების ეტაპზე წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო ნარჩენები, რომელიც ძირითადად შეადგენს საწარმოში დასაქმებული პერსონალის კვების პროდუქტების ნარჩენებს.

საწარმოში დაგეგმილია 28 თანამშრომლის დასაქმება. თუ ვიანგარიშებთ 1 ადამიანზე, 1 დღის განმავლობაში საშუალოდ წარმოქმნილ 0,5 კგ საყოფაცხოვრებო ნარჩენს, საწარმოში დასაქმებულების და წელიწადში სამუშაო დღეების (240 დღ/წელ) გათვალისწინებით, შეგვიძლია გამოვთვალით საწარმოს მიერ წელიწადში წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების რაოდენობა შემდეგი ფორმულით:

$$28 \times 0.5 \times 240 = 3360 \text{ კგ}$$

აქედან,

28 - ეს არის დასაქმებულების რაოდენობა; 0,5 – ერთ დასაქმებულზე დღის განმავლობაში წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენის რაოდენობა; 240 - საწარმოს სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში.

ამ გამოთვლით, საწარმოს მიერ წელიწადში წარმოიქმნება 3360 კგ რაოდენობის საყოფაცხოვრებო ნარჩენი. აღნიშნული ნარჩენი პერიოდულად მიაქვს, ქ. კასპის კომუნალური სამსახურს, მათთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

### **სახიფათო ნარჩენების მოსალოდნელი რაოდენობა**

საწარმოს საქმიანობა სახიფათო ნარჩენების წარმოქმნასთან დაკავშირებული არ იქნება. თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ საწარმოო დანადგარები პერიოდულად საჭიროებენ შეზეთვას, შესაძლებელია ადგილი ქონდეს საპოზი საშუალებებით დაბინძურებული საწმენდი ნაჭრების წარმოქმნას. ამასთან, გამომდინარე იქიდან, რომ საწარმოს ტერიტორიაზე განტავსებულია საწვავის რეზერვუარი, რომლის ქვეშაც დაგეგმილია ბეტონის ავზის მოწყობა შემთხვევით დაღვრილი საწვავის შესაკავებლად, აღნიშნული ნაჩენიც განხილულია გზშ-ის დოკუმენტში.

ასეთი ტიპის ნარჩენებისთვის ობიექტის ტერიტორიაზე გამოყოფილი იქნება შესაბამისი ადგილი, ჰერმეტულად დახურული და შესაბამისად მარკირებული ურნით.

აღსანიშნავია, რომ საწარმოს ფუნქციონირების შედეგად წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების რაოდენობა იქნება ძალიან მცირე და არ გადააჭარბებს წელიწადში 30-50კგ-ს.

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 16 სექტემბრის №446 დადგენილების შესაბამისად, პირები, რომლებიც ახორციელებელ „ნარჩენების მართვის კოდექსის“ 24-ე და და 26-ე მუხლებით გათვალისწინებულ საქმიანობებს და ასევე პირები, რომელთა სამეწარმეო საქმიანობის შედეგად წლის განმავლობაში 120 კგ ან ნაკლები ოდენობის სახიფათო ნარჩენი წარმოიქმნება, განთავისუფლებულნი არიან ნარჩენების აღრიცხვისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინაშე ანგარიშგების ვალდებლებისაგან, შპს „მეგა ჰოლდინგს“-ს ნარჩენების მართვის გეგმის მომზადების და მისი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმების ვალდებულება არა აქვს.

### **შემარბილებელი ღონისძიებები**

საწარმოს ექსპლოატაციის ფაზაზე უზრუნველყოფილი იქნება წინამდებარე ნარჩენების მართვის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება, მათ შორის:

- საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები დაგროვების შესაბამისად გატანილი იქნება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე;
- საწარმოს ექსპლუატაციის ფაზაზე სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსებისათვის გამოიყოფა სპეციალური ფართი, რომელიც მოწყობილი იქნება გარემოსდაცვითი მოთხოვნების დაცვით,

კერძოდ: სათავსის იატაკი და კედლები მობეტონებული იქნება, სათავსის ჭერი შეღებილი იქნება ტენმედეგი საღებავით; სათავსი აღჭურვილი იქნება გამწოვი ვენტილაციით.

- ნარჩენების მართვისათვის გამოყოფილი იქნება სათანადო მომზადების მქონე პერსონალი, რომელთაც პერიოდულად ჩაუტარდება სწავლება და ტესტირება. სახიფათო ნარჩენების გატანა შემდგომი მართვის მიზნით მოხდება ამ საქმიანობაზე სათანადო ნებართვის მქონე კონტრაქტორის საშუალებით. მოხდება ნარჩენების სახეობრივი და რაოდენობრივი აღრიცხვა, რისთვისაც შედგენილი იქნება შესაბამისი ჟურნალი.

## ნარჩენების მართვის გეგმა

<p><b>კომპანია</b>          (დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი,          რეგისტრაციის ნომერი, თარიღი)</p>	<p>შპს „მეგა ჰოლდინგი”  <b>ს/კ - 436031973</b></p>
<p><b>წარმომადგენელი</b>          (სახელი, პოზიცია, საკონტაქტო ინფორმაცია)</p>	<p>პავლე ლოლაძე, დირექტორი;  <a href="mailto:info@tbilcement.ge">info@tbilcement.ge</a></p>
<p><b>იურიდიული მისამართი</b>          (რეგიონი, მუნიციპალიტეტი, ქალაქი, ქუჩა,          ტელეფონი ნომერი, ფაქსი, ელექტრონული          ფოსტა)</p>	<p>საქართველო, თბილისი, გლდანის რაიონი, ზაჟესი</p>
<p><b>ნარჩენების წარმომქმნელის საქმიანობის          დეტალური აღწერა</b></p>	<p>შპს „მეგა ჰოლდინგი” საქართველოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებს მრავალი წელია. მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სხვადასხვა სახის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება და მისი გადამუშავება. ცოტა ხნის წინ, კომპანიამ მოძველებულ საწარმოში ჩატარა სარემონტო სამუშაოები და ამ ეტაპზე, კომპანია გეგმავს სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს წარმადობის გაზრდას.</p>

## II - აღწერილობითი ნაწილი

No	ნარჩენის კოდი	ნარჩენის დასახელება	სახიფათო დიახ/არა	სახიფათოობის მახასიათებელი	წლის განმავლობაში წარმოქმნილი ნარჩენების მოსალოდნელი რაოდენობა	განზ. ერთეული
1	20 03 01	შერეული მუნიციპალური ნარჩენები	არა	.....	2250	კბ
2	15 02 02*	ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ჩვრები და სხვა საწმენდი საშუალებები	დიახ	H 6	30	კბ

## III - დასკვნითი ნაწილი

საქმიანობის პროცესში გათვალისწინებულია ნარჩენების პრევენციის და აღდგენის შემდეგი სახის ღონისძიებები:

- ნებისმიერი სახის საწარმოო მასალა, ნივთები ან ნივთიერება ობიექტების ტერიტორიაზე შემოტანილი იქნება იმ რაოდენობით, რაც საჭიროა კომპანიის მიერ განსახორციელებელი სამუშაოების სრულყოფილად წარმართვისათვის. ტერიტორიებზე მასალების ხანგრძლივი დროით დასაწყობება არ მოხდება;
- წარმოქმნილი ნარჩენები შესაძლებლობისამებრ გამოყენებული იქნება ხელმეორედ (მაგ. საზეთ-საპოზი მასალები).

## სეპარირების მეთოდის აღწერა

### სახიფათო ნარჩენების სხვა ნარჩენებისგან განცალკევება

საწარმოს ტერიტორიაზე მოხდება ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მეთოდის დანერგვა, რაც გულისხმობს სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების ერთმანეთისგან განცალკევებას. აღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით დაგეგმილია შემდეგი პროცედურები:

- ობიექტის ტერიტორიაზე მოხდება ორი ერთმანეთისგან განსხვავებული კონტეინერის დადგმა, რომელიც იქნება შესაბამისად მარკირებული და ჰერმეტულად დახურული;
- ერთი მათგანი განკუთვნილი იქნება საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებლად; მეორე - ისეთი მყარი სახიფათო ნარჩენების შესაგროვებლად, როგორიცაა: ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ჩვრები და სხვა საწმენდი საშუალებები.

### აკრძალული იქნება:

- მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენებისათვის განკუთვნილ კონტეინერებში სახიფათო ნარჩენების მოთავსება;
- რეზინის ან სხვა ნარჩენების დაწვა;
- ზეთების, საპოზი მასალების გადაღვრა მდინარეში ან კანალიზაციის სისტემებში ჩაშვება;

### წარმოქმნილი ნარჩენების დროებითი შენახვის მეთოდები და პირობები

წარმოქმნილი ნარჩენების დროებითი დასაწყობების უბნებისთვის გათვალისწინებული იქნება შემდეგი პირობების დაცვა:

- სახიფათო ნარჩენების განთავსებისთვის, ობიექტზე განთავსდება, სპეციალურად მარკირებული, ჰერმეტული კონტეინერები;
- კონტეინერები დაცული იქნება ატმოსფერული ნალექების ზემოქმედებისა და უცხო პირების ხელყოფისაგან;
- ტერიტორიის კედლები და იატაკი, სადაც მოხდება კონტეინერების განთავსება მოპირკეთებული იქნება მყარი საფარით.

**ნარჩენების დამუშავებისთვის გამოყენებული მეთოდები, დამუშავების ოპერაციის კოდის მითითებით – კოდექსის I და II დანართების მიხედვით**

#	ნარჩენის კოდი	ნარჩენის დასახელება	განთავსების/ აღდგენის ოპერაციები	ვის გადაეცემა და რა მიზნით
1.	15 02 02*	ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ჩვრები და სხვა საწმენდი საშუალებები	D10	გაუვნებელყოფის მიზნით გადაეცემა ნებართვის მქონე კომპანიას
2.	20 03 01	შერეული მუნიციპალური ნარჩენები	D1	განთავსდება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე

## სახიფათო ნარჩენების უსაფრთხო მართვის ზომებისა და მომუშავე პერსონალის შესაბამისი სწავლების ღონისძიებები

- პერსონალს, რომელსაც შეხება ექნება სახიფათო ნარჩენებთან ან/და დაკავებულია ნარჩენების მართვის სფეროში (შეგროვება, შენახვა, ტრანსპორტირება, მიღება/ჩაბარება) გავლილი ექნება შესაბამისი სწავლება შრომის, გარემოს დაცვის და პროფესიული უსაფრთხოების საკითხებში;
- საწარმოში დასაქმებული პერსონალი უზრუნველყოფილი უნდა იყოს სპეც. ტანსაცმლით, ფეხსაცმლით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით. საჭიროების შემთხვევაში, განსაკუთრებით სახიფათო ნარჩენებთან დაკავშირებულ ოპერაციების შესრულების შემდეგ პერსონალის ტანსაცმელი ექვემდებარება სპეციალურ დამუშავებას ან/და შეცვლას ახლით;
- საწარმოში დასაქმებული პერსონალი მუდმივად გადის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით სწავლებებს/ტრენინგებს. დასაქმებულ პერსონალს შეუძლია პირველადი დახმარების აღმოჩენა მოწამვლის ან ტრავმირების შემთხვევაში ნარჩენებთან მუშაობის დროს;
- სამუშაოზე არ დაიშვება პირი, რომელსაც არ აქვს გავლილი შესაბამისი მომზადება, არა აქვს სპეცტანსაცმელი, ასევე ავადმყოფობის ნიშნების არსებობის შემთხვევაში;
- ნარჩენების რამდენიმე სახის ერთად განთავსების დროს გათვალისწინებული იქნება მათი შეთავსებადობა;
- ნარჩენების დაგროვების ადგილებში დაუშვებელია უცხო საგნების, პირადი ტანსაცმლის, სპეცტანსაცმლის, ინდ. დაცვის საშუალებების შენახვა;
- ხანძარსაშიში ნარჩენების განთავსების ადგილებში სასტიკად იკრძალება მოწევა და ღია ცეცხლით სარგებლობა.

**12.11 ზემოქმედების შეფასება წელის/პროდუქციის ტრანსპორტირებისას, ზემოქმედება  
სატრანსპორტო ნაკადებზე, კუმულაციური ზემოქმედების შეფასება**

როგორც დოკუმენტის წინა თავებშიც იყო განხილული, საწარმოს მდებარეობის და მასთან მისასვლელი გზების გათვალისწინებით, ამ ეტაპზე სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება დასახლებული პუნქტების გავლით არ ხდება და არც მომავალში არ არის ამის საჭიროება. თუმცა, პრევენციული ღონისძიებები, რასაც ამჟამად კომპანია ახორციელებს და შემდეგშიც განახორციელებს, ეს არის: სატრანსპორტო საშუალებების შეზღუდული სიჩქარით გადაადგილება, მისასვლელი გზების მუდმივი მორწყვა, განსაკუთრებით მშრალ ამინდში, სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება გადახურული ძარით და ასევე ღამის საათებში მოძრაობის შეზღუდვა.

საწარმოს ტერიტორიაზე მასალების შემოტანა ხორციელდება საჭიროებისამებრ. რაც შეეხება მზა პროდუქციის ტრანსპორტირებას, მისი გატანა ტერიტორიიდან ხდება გარკვეული მასალის დაგროვების შემდგომ. შესაბამისად სამუშაო საათების განმავლობაში, ძირითადად დღის მონაკვეთში, ხორციელდება დაახლოებით 45 სატრანსპორტო რეისი.

როგორც უკვე აღინიშნა, წარმოებისთვის საჭირო წელის კომპანია შემოიტანს მისივე ლიცენზირებული კარიერებიდან, რომლებიც საწარმოს სიახლოვეს მდებარეობს. ამ შემთხვევაში, წელის გადაადგილებასთან, რაც შეამცირებს სატრანსპორტო ნაკადებსა და მოსახლეობაზე გამოწვეულ შესაძლო ზემოქმედებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით, კომპანიას მიღებული აქვს შესაბამისი თანხმობა კასპის მუნიციპალიტეტის მერიისგან რომელიც თან ერთვის წინამდებარე დოკუმენტს.

სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედების თავიდან აცილების და შერბილების მიზნით შემუშავებული შემარბილებელი ღონისძიებები მოცემულია წინამდებარე დოკუმენტის შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა-გრაფიკში.

## 12.12 ატმოსფერული ჰაერის ხარისხი, ზემოქმედების შეფასება, კუმულაციური ზემოქმედება

საქართველოს მსხვილ ინდუსტრიულ ცენტრებში, სხვადასხვა პერიოდებში ფუნქციონირებდა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე რეგულარულ დაკვირვებათა ქსელის საგუშაგოები (პოსტები) და მათზე წარმოებდა რიგი მავნე ნივთიერებების ატმოსფერული კონცენტრაციების ყოველდღიური სამჯერადი გაზომვა, ხოლო იმ დასახლებული პუნქტებისათვის, სადაც აღნიშნული მიმართულებით გაზომვები არ ტარდებოდა, დაბინძურების შესაბამისი მონაცემების დადგენა ხორციელდებოდა მოსახლეობის რაოდენობაზე დაყრდნობის საფუძველზე, ქვეყანაში მიღებული მეთოდური რეკომენდაციების შესაბამისად. უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად შეიზღუდა სრულყოფილი დაკვირვებების წარმოების შესაძლებლობა. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ ქვეყანაში საგრძნობლად დაეცა ადგილობრივი სამრეწველო პოტენციალი და შესაბამისად, ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების ჯამური მახასიათებლების მნიშვნელობებიც. აქედან გამომდინარე, გარკვეულწილად, მიზანშეწონილია ადრინდელი რეკომენდაციებით განსაზღვრული მონაცემებით სარგებლობა, გარემოს პოტენციური დაბინძურების მახასიათებლების დასადგენად – დასახლებული პუნქტის ინფრასტრუქტურის არსებული მდგომარეობის განვითარების პერსპექტივით, იმაზე გაანგარიშებით, რომ რეალურად შესაძლებელია ადრინდელი პერიოდისათვის უკვე მიღწეული გარემოს დაბინძურების მაჩვენებლების მიღება – შეჩერებული ან უმოქმედო საწარმოო პოტენციალის სრული ამოქმედების შემთხვევისათვის. ჰაერის დაბინძურებაზე გავლენის მქონე მეტეოპარამეტრებისა და სხვა ძირითადი მახასიათებლების მნიშვნელობები მოცემულია ცხრილ 12.12.1-ში.

აღსანიშნავია, რომ მავნე ნივთიერებების საშუალო კონცენტრაციების მნიშვნელობებთან ერთად, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების დონის დახასიათების მიზნით გამოიყენება კონკრეტული ადგილმდებარეობის ატმოსფეროში მავნე ნივთიერებების ფონური კონცენტრაციები – დამაბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაციათა ის მაქსიმალური მნიშვნელობები, რომელზე გადამეტებათა დაკვირვებების რაოდენობა არის მრავალწლიანი (არანაკლებ 5 წლის პერიოდის) რეგულარული დაკვირვებების მთლიანი რაოდენობის 5%-ის ფარგლებში. ფონური კონცენტრაციების მნიშვნელობები განისაზღვრება ცალ-ცალკე შტილისათვის(ქარის სიჩქარის მნიშვნელობა დიაპაზონში 0-2მ/წმ, რომელიც ხასიათდება დაბინძურების ერთ-ერთი ყველაზე არასასურველი ეფექტით) და ქარის სხვადასხვა გაბატონებული მიმართულებებისათვის. სამწესაროდ, ყველა დასახლებულ ტერიტორიებზე არ ხერხდება სრულფასოვანი რეგულარული დაკვირვებების ორგანიზაცია და შესაბამისად, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების დონის ფაქტობრივი მნიშვნელობების განსაზღვრა. იმის გამო, რომ როგორც წესი, შედარებით ჰატარა ქალაქებში და მცირემოსახლეობიან დასახლებულ პუნქტებში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე დაკვირვებები პრაქტიკულად არ ტარდება. ასეთი ტერიტორიებისათვის, მავნე ნივთიერებებით ადგილმდებარეობის ატმოსფერული ჰაერის ფონური დაბინძურების მახასიათებლების დადგენა ხდება ქვეყანაში მიღებული წესით, რომელიც ეფუძნება დასახლებულ ტერიტორიაზე მოსახლეობის საერთო

რაოდენობის მაჩვენებელს და ითვალისწინებს იმ ზოგად საწარმოო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ინფორასტრუქტურას, რომლის ფუნქციონირებაც მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია შესაბამისი დასახლებებისათვის (ცხრილი 12.12.2).

**ცხრილი 12.12.1 - ატმოსფეროში დამაბინძურებელი ნივთიერებების გაბნევის პირობების გამსაზღვრელი მეტეოროლოგიური მახასიათებლები და კოეფიციენტები**

მახასიათებლების დასახელება	მახასიათებლების მნიშვნელობა
ატმოსფეროს ტემპერატურული სტრატიფიკაციის კოეფიციენტი	200
რელიეფის კოეფიციენტი	1.0
წლის ყველაზე ცხელი თვისას ჰაერის საშუალო ტემპერატურა	23.2
წლის ყველაზე ცივი თვისას ჰაერის საშუალო ტემპერატურა	-0.5
საშუალო ქართა ვარდის მდგრებები, %	
ჩრდილოეთი	2
ჩრდილო-აღმოსავლეთი	8
აღმოსავლეთი	31
სამხრეთ-აღმოსავლეთი	7
სამხრეთი	2
სამხრეთ-დასავლეთი	1
დასავლეთი	32
ჩრდილო-დასავლეთი	17
შტილი	39
ქარის სიჩქარე (მრავალწლიურ დაკვირვებათა გასაშუალოებით), რომლის გადაჭარბების განმეორადობაა 5%, მ/წმ	16.6

ცალკე უნდა შევხოთ ატმოსფერული ჰაერის მტვრით დაბინძურების საკითხს. დასახლებული ტერიტორიების მტვრით დაბინძურების პრობლემების განხილვა აქტუალობას იძენს იმის გამო, რომ ატმოსფერული ჰაერის ამ დამაბინძურებლის წარმოშობა არ არის განპირობებული მხოლოდ ანთროპოგენური ფაქტორებით. ამ ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვანია ბუნებრივი პროცესების შედეგად წარმოქმნილი და შემდგომ ატმოსფეროს ცირკულაციურ-დინამიკური პროცესებითა და მეტეოროლოგიური მოვლენებით მიღებული შედეგების ანალიზი და შეფასება.

**ცხრილი 12.12.2**

**ფონური კონცენტრაციებისათვის დადგენილი მნიშვნელობები დასახლებული  
ტერიტორიებისათვის მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით**

მოსახლეობის (ათასი მოსახლე)	რიცხვი	მავნე ნივთიერება		
		მტვერი	გოგირდის დიოქსიდი	აზოტის დიოქსიდი
1	2	3	4	5
ნაკლები 10-ზე	0	0	0	0
10-50	0.1	0.02	0.008	0.4
50-125	0.15	0.05	0.015	0.8
125-250	0,2	0.05	0.03	1.5

დაგეგმილი საწარმოო საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, კონკრეტულ საწარმოო მაჩვენებლებზე დაყრდნობით, მოცემული ობიექტისათვის, გარემოში მავნე ნივთიერებათა გამოყოფის (ატმოსფეროში გამოფრქვევის) ზღვრულად დასაშვები ნორმატივების(შესაბამისად – ზდგ) პროექტების დამუშავება საშუალებას იძლევა დაბინძურების ყოველი კონკრეტული წყაროსათვის დადგინდეს მავნე ნივთიერებათა ემისიის რაოდენობა და ინტენსიობა. დაგეგმილი საქმიანობის საწარმოო ციკლის შესაბამისად, საჭიროა შეფასებული იქნას საქმიანობის ობიექტისაგან მავნე ნივთიერებათა ატმოსფერულ ჰაერში გამოფრქვევა.

აქედან გამომდინარე, მავნე ნივთიერებათა ატმოსფერულ ჰაერში ზღვრულად დასაშვები გამოფრქვევების პროექტების დამუშავება საშუალებას იძლევა განხორციელდეს დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შედეგად ბუნებრივი გარემოს ხარისხობრივი ნორმების დაცვის შეფასება. საწარმოს განლაგების ადგილიდან გამომდინარე, გარემოს დაბინძურების ფონური მაჩვენებლად შეიძლება ვისარგებლოთ ცხრილი 12.12.2-ის 10 ათასამდე მოსახლის გრაფის მონაცემებით.

**12.12.1 ატმოსფერული ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი ძირითადი მახასიათებელი სიღილეები**

ცხრილ - 12.12.1 -ში მოცემულია საწარმოში წარმოქმნილი მავნე ნივთიერებების კოდი, ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების მნიშვნელობები, გაფრქვევის სიმძლავრეები და საშიშროების კლასი.

ცხრილი 12.12.1 - მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები

#	მავნე ნივთიერების დასახელება	კოდი	ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია(ზღვ) მგ/მ³		საშიშროების კლასი
			მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო დღეოდამური	
1	2	3	4	5	8
1	არაორგანული მტვერი	2909	0.5	0.15	3
2	ნაჯერი ნახშირწყალბადები C <sub>12</sub> –C <sub>19</sub>	2754	1	-	4

აღნიშნული მახასიათებლების – საწარმოს ფუნქციონირების მონაცემების ანალიზის საფუძველზე დადგენილი - ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი უბნებია:

- ნედლეულის (ბალასტის) ავტოთვითმცლელებიდან ჩამოცლა და დასაწყოვება (გ-1);
- ნედლეულის (ქვიშა-ხრეშის) სამსხვრევის ბუნკერში ჩაყრა (გ-2);
- სამსხვრევი დანადგარი (ორმაგი სველი მეთოდით მსხვრევა) (გ-3,);
- ქვიშის ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილება (გ-4);
- ღორღის ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილება (გ-5);
- ინერტული მასალების (ქვიშის) საწყობი (გ-6);
- ინერტული მასალების (ღორღის) საწყობი (გ-7);
- დიზელის საწვავის გასამართი საღგური (გ-8 გაფრქვევის წყარო).

### **12.12.2 ელექტროგამომთვლელ მანქანზე გაბრუნების გაანგარიშების შედეგების ანალიზი**

საწარმოს ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ანგარიში განხორციელდა წარმოების დარგობრივი მეთოდიკის საფუძველზე საანგარიშო მეთოდების გამოყენებით და საწარმოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის გათვალისწინებით. ანგარიში შესრულებულია საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებისთვის.

#### **კვლევის მეთოდიკა**

##### **გაფრქვევები ინერტული მასალების მიღებისას**

ინერტული მასალების ავტოთვითმცლელებიდან ჩამოცლის და მისი ბუნკერებში გადაყრის დროს ატმოსფეროში მტვრის გაფრქვევები იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტ}} = K_1 \times K_2 \times K_3 \times K_4 \times K_5 \times K_7 \times G \times B \times 10^6 / 3600 \text{ გ/წმ, (5.1)}$$

სადაც

$K_1$  - მასალაში მტვრის ფრაქციის წილია;

$K_2$  - მტვრის მთლიანი მასიდან აეროზოლში გადასული მტვრის წილია;

$K_3$  - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტია;

$K_4$  - გარეშე ზემოქმედებისაგან საწყობის დაცვითუნარიანობის მახასიათებელი კოეფიციენტია;

$K_5$  - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტია;

$K_7$  - გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტია;

$B$  - გადატვირთვის სიმაღლეზე დამოკიდებულების კოეფიციენტია;

$G$  - დანადგარის წარმადობაა, ტ/სთ;

##### **გაფრქვევები ინერტული მასალების შენახვისას**

ინერტული მასალების შენახვის დროს ადგილი აქვს მტვრის გამოყოფას, რაც იანგარიშება ფორმულით:

$$M = K_3 \times K_4 \times K_6 \times K_7 \times q \times f \text{ გ/წმ.} \quad (5.2)$$

სადაც:

$K_3$  და  $K_4$  იგივეა, რაც ფორმულა (5.1)-ში;

$K_6$  - მასალის ზედაპირის პროფილის მახასიათებელი კოეფიციენტია და საწარმოს პირობებისათვის ტოლია 1.45-ის.

$K_7$  - გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტია და საწარმოს პირობებისათვის იცვლება 0.6-0.7 ფარგლებში;

f - საწყობის მასალით დაფარული ნაწილის ფართობია,  $\text{m}^2$ ;

q - ფაქტიური ზედაპირის  $1 \text{ m}^2$  ფართობიდან ატაცებული მტვრის წილია, ( $\text{g/m}^2\text{წმ}$ ) და ტოლია 0.002-ის.

### **მავნე ნივთიერებების სახეობები და ემისიის მოცულობა**

საწარმოდან გაფრქვეული ჰაერის ძირითადი დამაბინძურებელი ნივთიერებებია: **არაორგანული მტვერი და ნახშირწყალბადები**. ანგარიში შესრულებულია საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებისათვის საანგარიშო მეთოდების და საწარმოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის გათვალისწინებით.

#### **გაფრქვევები ინერტული მასალების გადამუშავებისას;**

ინერტული მასალების (ბალასტი, ქვიშა, ღორღი) ჩამოცლის და დასაწყობისას გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება (5.1) ფორმულით, ხოლო აღნიშნული კოეფიციენტების მნიშვნელობები მოცემულია ცხრილ 12.12.2.1-ში:

ცხრილი 12.12.2.2.

#### **მასალების გაფრქვევის მახასიათებლები**

½	პარამეტრის დასახელება	აღნიშვნა	განზომილების ერთეული	პარამეტრის მნიშვნელობა		
				ბალასტი	ქვიშა	ღორღი
1	2	3	4	5	6	7
1	მასალაში მტვრის ფრაქციის წილი	K <sub>1</sub>	მასიური წილი	0.03	0.05	0.01
2	მტვრის მთლიანი მასიდან აეროზოლში გადასული მტვრის წილი	K <sub>2</sub>	“ . . . ”	0.04	0.03	0.01
3	მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი	K <sub>3</sub>	უგანზ. კოეფ.	1.2	1.2	1.2
4	გარეშე ზემოქმედებისაგან საწყობის დაცვითუნარიანობის მახ. კოეფიციენტი	K <sub>4</sub>	უგანზ. კოეფ.	1.0	1.0	1.0
5	მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი	K <sub>5</sub>	უგანზ. კოეფ.	0.01	0.01	0.01
6	გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი	K <sub>7</sub>	უგანზ. კოეფ.	0.5	0.6	0.5
7	ობიექტის მწარმოებლობა	G	ტ/სთ	168.750	109.687	59.063

8	გადატვირთვის სიმაღლეზე დამოკიდებულების კოეფიციენტი	B	უგანზ. კოეფ.	0.4	0.4	0.4
---	---	---	--------------	-----	-----	-----

### წყაროს ტიპი: ინერტული მასალების საწყობი

ინერტული მასალების (ქვიშა, ღორღი) საწყობიდან გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება (5.2) ფორმულით, ხოლო აღნიშნული კოეფიციენტების მნიშვნელობები მოცემულია ცხრილ 12.12.2.3-ში:

ცხრილი 12.12.2.3.

პარამეტრის დასახელება	აღნიშვნა	პარამეტრის მნიშვნელობა		
		ბალასტი	ქვიშა	ღორღი
1	2	3	4	5
მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი	K <sub>3</sub>	1.2	1.2	1.2
მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი	K <sub>5</sub>	0.01	0.01	0.01
დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილის მახასიათებელი კოეფიციენტი	K <sub>6</sub>	1.45	1.45	1.45
გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი	K <sub>7</sub>	0.5	0.6	0.5
მტვრის წატაცების ინტენსივობაა 1 მ <sup>2</sup> ფაქტიური ზედაპირის ფართობიდან, გ/მ <sup>2</sup> წმ	q	0.002	0.002	0.002
ამტვერების ზედაპირია, მ <sup>2</sup>	f	200	300	200

### გაფრქვევები ბალასტის ავტოთვითმცლელებიდან ჩამოცლისას და დასაწყობებისას (გ-1);

ინერტული მასალების(ბალასტის) დასაწყოვებისას ატმოსფეროში მტვრის გაფრქვევა იანგარიშება 5.1 ფორმულით და ცხრილი 12.12.4 მონაცემების საფუძველზე. ამასთან, თუ წყარო არ არის აღჭურვილი ასპირაციული სისტემით და მტვრის გამოყოფა ხდება ღია ან დაბურულ სივრცეში, გამოიყენება კოეფიციენტი 0.4.

ზემოაღნიშნულ ფორმულაში სათანადო მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

ბალასტი (გ-1 წყარო):

$$M_{\text{მტვ}} = 0.03 \times 0.04 \times 1.2 \times 1.0 \times 0.01 \times 0.5 \times 102.404 \times 0.4 \times 0.4 \times 10^6 / 3600 = 0.0540 \text{ გ/წმ};$$

$$G_{\text{მტვ}} = 0.0540 \times 3840 \times 3600 / 10^6 = 0.746 \text{ ტ/წელი}.$$

ბალასტის საწყობიდან ატმოსფეროში მტვრის გაფრქვევა იანგარიშება 5.2 ფორმულით და ცხრილი 12.12.5 მონაცემების საფუძველზე.

ზემოაღნი შნულ ფორმულაში სათანადო მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$$M_{\text{მტ}} = 1.2 \times 0.01 \times 1.45 \times 0.5 \times 0.002 \times 200 \times 0.4 = 0.001392 \text{ გ/წმ};$$

$$G_{\text{მტ}} = 0.001392 \times 8760 \times 3600 / 10^6 = 0.044 \text{ ტ/წელი}$$

მაშასადამე ჯამური გაფრქვევის ინტენსივობა გაფრქვევის გ-1 წყაროდან ბალასტის დასაწყობისას ტოლი იქნება:

$$M_{\text{მტ}} = 0.0540 + 0.001392 = 0.055392 \text{ გ/წმ};$$

$$G_{\text{მტ}} = 0.746 + 0.044 = 0.790 \text{ ტ/წელი}.$$

### **გაფრქვევები ბალასტის ბუნკერში ჩაყრის ადგილებიდან (გ-2);**

ინერტული მასალების (ბალასტის) ბუნკერში ჩაყრისას ატმოსფეროში მტვრის გაფრქვევა იანგარიშება 5.1 ფორმულით და ცხრილი 12.12.2.3 მონაცემების საფუძველზე. ამასთან, თუ წყარო არ არის აღჭურვილი ასპირაციული სისტემით და მტვრის გამოყოფა ხდება ღია ან დახურულ სივრცეში, გამოიყენება კოეფიციენტი 0.4.

ზემოაღნი შნულ ფორმულაში სათანადო მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

ბალასტი (გ-2 წყარო):

$$M_{\text{მტ}} = 0.03 \times 0.04 \times 1.2 \times 1.0 \times 0.01 \times 0.5 \times 102.404 \times 0.4 \times 0.4 \times 10^6 / 3600 = 0.0540 \text{ გ/წმ};$$

$$G_{\text{მტ}} = 0.0540 \times 3840 \times 3600 / 10^6 = 0.746 \text{ ტ/წელი}.$$

### **წყაროს ტიპი: სამსხვრევი პირველადი და მეორადი მსხვრევა - (გაფრქვევის წყარი გ-3)**

ოპერაცია: მსხვრევა

მსხვრევანას ტიპი: სამსხვრევი

მტვრის მაქსიმალური გაფრქვევა ( $M_{2909}$ ): 0.16875 გ/წ.

მტვრის წლიური გაფრქვევა ( $G_{2909}$ ): 2.333 ტ/წელ.

$$G = G_{\text{წ}} * K / 1000$$

$$G_{\text{წ}} - ინერტული მასალის წლიური რაოდენობაა: 648000 ტ.$$

$K - 1$  ტ მასალის მსხვრევისას სველი მეთოდით მტვრის გამოყოფის ხვედრითი კოეფიციენტია: (0.009 კგ/ტ პირველადი და მეორადი მსხვრევისას. ამასთან, თუ წყარო არ არის აღჭურვილი ასპირაციული სისტემით და მტვრის გამოყოფა ხდება ღია ან დახურულ სივრცეში, გამოიყენება კოეფიციენტი 0.4).

$$G=648000 \times 0.009 \times 0.4 / 1000 = 2.333 \text{ ტ/წელ};$$

$$M = Mx t x 3600 / 1000000$$

$$t - წყაროს მუშაობის დროა: \quad 3840 \text{ სთ/წელ}$$

$$G=2.333 \times 1000000 / (3840 \times 3600) = 0.16875 \text{ გ/წმ.}$$

**წყაროს ტიპი: ქვიშის ტრანსპორტირება ლენტური ტრანსპორტიორით საწყობში (გაფრქვევის წყარი გ-4)**

ინერტული მასალების ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილებისას მტვრის გაფრქვევები იანგარიშება ფორმულით:

$$M_K = 3,6 \times K_3 \times K_5 \times W_K \times L \times I \times \gamma \times T, \text{ ტ/წელ};$$

სადაც:

$K_3$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ მეტეო პირობებს ;

$K_5$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ტენიანობას;

$W_K$  - ლენტური ტრანსპორტიორიდან კუთრი ამტვერება, კგ/მ<sup>2</sup>\*წმ;

$L$  - ლენტური ტრანსპორტიორის სიგანე, მ.

$L$  - ლენტური ტრანსპორტიორის სიგრძე, მ.

$T$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის დაწვრილმარცვლოვანებას;

$\Gamma$  - მუშაობის წლიური დრო, სთ/წელ;

მაქსიმალური ერთჯერადი ემისია რომელიც წარმოიქმნება მასალის ტრანსპორტირებისას ღია ლენტური კონვეირიდან, განისაზღვრება ფორმულით:

$$M_K = K_3 \times K_5 \times W_K \times L \times I \times \gamma \times 10^3, \text{ გ/წმ};$$

ატმოსფერულ ჰაერში დამბინძურებელ ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი და წლიური გამოყოფის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ.

$$M = 1.0 \times 0.01 \times 0.0000045 \times 109 \times 0.5 \times 0.5 \times 10^3 = 0.00123 \text{ გ/წმ};$$

$$M = 3.6 \times 1.0 \times 0.01 \times 0.0000045 \times 109 \times 0.5 \times 0.5 \times 3840 = 0.017 \text{ ტ/წელ}.$$

**წყაროს ტიპი: ფოროის ტრანსპორტირება ლენტური ტრანსპორტიორით საწყობში (გაფრქვევის წყარი გ-5)**

ინერტული მასალების ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილებისას მტვრის გაფრქვევები იანგარიშება ფორმულით:

$$M_K = 3,6 \times K_3 \times K_5 \times W_K \times L \times I \times \gamma \times T, \text{ ტ/წელ};$$

სადაც:

$K_3$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ მეტეო პირობებს ;

$K_5$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ტენიანობას;

$W_K$  - ლენტური ტრანსპორტიორიდან კუთრი ამტვერება, კგ/მ<sup>2</sup>\*წმ;

$L$  - ლენტური ტრანსპორტიორის სიგანე, მ.

$I$  - ლენტური ტრანსპორტიორის სიგრძე, მ.

$T$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის დაწვრილმარცვლოვანებას;

$\gamma$  - მუშაობის წლიური დრო, სთ/წელ;

მაქსიმალური ერთჯერადი ემისია რომელიც წარმოიქმნება მასალის ტრანსპორტირებისას ღია ლენტური კონვეირიდან, განისაზღვრება ფორმულით:

$$M_K = K_3 \times K_5 \times W_K \times L \times I \times \gamma \times 10^3, \text{ გ/წმ};$$

ატმოსფერულ ჰაერში დამბინძურებელ ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი და წლიური გამოყოფის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ.

$$M = 1.0 \times 0.01 \times 0.0000045 \times 109 \times 0.5 \times 0.5 \times 10^3 = 0.00123 \text{ გ/წმ};$$

$$M = 3.6 \times 1.0 \times 0.01 \times 0.0000045 \times 109 \times 0.5 \times 0.5 \times 0.5 \times 3840 = 0.017 \text{ ტ/წელ}.$$

### **წყაროს ტიპი: ქვიშის დასაწყოება საწყობში (გაფრქვევის წყარო გ-6)**

ინერტული მასალების (ქვიშის) საწყობში დაყრისას ატმოსფეროში მტვრის გაფრქვევა იანგარიშება 5.1 ფორმულით და ცხრილი 12.12.4 მონაცემების საფუძველზე. ამასთან, თუ წყარო არ არის აღჭურვილი ასპირაციული სისტემით და მტვრის გამოყოფა ხდება ღია ან დაზურულ სივრცეში, გამოიყენება კოეფიციენტი 0.4.

შესაბამისად გაფრქვევის სიმძლავრე იქნება

$$M_{j3} = 0.05 \times 0.03 \times 1.2 \times 1.0 \times 0.01 \times 0.6 \times 109.687 \times 0.4 \times 0.4 \times 10^6 / 3600 = 0.05265 \text{ გ/წმ};$$

ხოლო წლიური გაფრქვევები შესაბამისად ტოლ იქნება:

$$G_{j3\text{თ}} = 0.05265 \times 3840 \times 3600 / 10^6 = 0.728 \text{ ტ/წელი}$$

ქვიშის საწყობიდან ატმოსფეროში მტვრის გაფრქვევა იანგარიშება 5.2 ფორმულით და ცხრილი 12.12.5 მონაცემების საფუძველზე.

ზემოაღნიშნულ ფორმულაში სათანადო მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

ქვიშისთვის:

$$M_{\text{მტ3.}} = 1.2 \times 0.01 \times 1.45 \times 0.6 \times 0.002 \times 300 \times 0.4 = 0.002506 \text{ გ/წმ};$$

$$G_{\text{მტ3.}} = 0.002506 \times 8760 \times 3600 / 10^6 = 0.079 \text{ ტ/წელი}$$

მაშასადამე ჯამური გაფრქვევის ინტენსივობა გაფრქვევის გ-6 წყაროდან ქვიშის დასაწყობისას ტოლი იქნება:

$$M_{\text{მტ3.}} = 0.05265 + 0.002506 = 0.055155 \text{ გ/წმ};$$

$$G_{\text{მტ3.}} = 0.728 + 0.079 = 0.807 \text{ ტ/წელი}.$$

#### **წყაროს ტიპი: ღორღის დასაწყობა საწყობში (გაფრქვევის წყარო გ-7)**

ღორღის საწყობში დაყრისას ატმოსფეროში მტვრის გაფრქვევა იანგარიშება 5.1 ფორმულით და ცხრილი 12.12.4 მონაცემების საფუძველზე. ამასთან, თუ წყარო არ არის აღჭურვილი ასპირაციული სისტემით და მტვრის გამოყოფა ხდება ღია ან დახურულ სივრცეში, გამოიყენება კოეფიციენტი 0.4.

შესაბამისად გაფრქვევის სიმძლავრე თითეული ფრაქციის დასაწყობისას ტოლი იქნება:

$$M_{\text{ყ}} = 0.01 \times 0.01 \times 1.2 \times 1.0 \times 0.01 \times 0.5 \times 59.063 \times 0.4 \times 0.4 \times 10^6 / 3600 = 0.001575 \text{ გ/წმ};$$

ხოლო წლიური გაფრქვევები შესაბამისად ტოლი იქნება:

$$G_{\text{ღორღ.}} = 0.001575 \times 3840 \times 3600 / 10^6 = 0.022 \text{ ტ/წელი}$$

ღორღის საწყობიდან ატმოსფეროში მტვრის გაფრქვევა იანგარიშება 5.2 ფორმულით და ცხრილი 12.12.5 მონაცემების საფუძველზე. ამასთან, თუ წყარო არ არის აღჭურვილი ასპირაციული სისტემით და მტვრის გამოყოფა ხდება ღია ან დახურულ სივრცეში, გამოიყენება კოეფიციენტი 0.4.

ზემოაღნიშნულ ფორმულაში სათანადო მნიშვნელობების ჩასმით ღორღის თითეული ფრაქციის საწყობისათვის მივიღებთ:

ღორღისთვის:

$$M_{\text{მტ3.}} = 1.2 \times 0.01 \times 1.45 \times 0.5 \times 0.002 \times 200 \times 0.4 = 0.001392 \text{ გ/წმ};$$

$$G_{\text{მტ3.}} = 0.001392 \times 8760 \times 3600 / 10^6 = 0.044 \text{ ტ/წელი}.$$

მაშასადამე ჯამური გაფრქვევის ინტენსივობა გაფრქვევის გ-7 წყაროდან ქვიშის დასაწყობისას ტოლი იქნება:

$$M_{\text{მტ3.}} = 0.001575 + 0.001392 = 0.002967 \text{ გ/წმ};$$

$$G_{\text{მტ3.}} = 0.022 + 0.044 = 0.066 \text{ ტ/წელი}.$$

**გაფრქვევები დიზელის საწვავის გასამართი სადგურიდან (გ-8 გაფრქვევის წყარო).**

დიზელის საწვავის გასამართი სადგურიდან ატმოსფეროში გამოიყოფა 0.0025 გრამ ნახშირწყალბადები (ჯამურად) 1 ლიტრ რეალიზებულ დიზელის საწვავზე (1000 ლ დიზელის საწვავის მასა ტოლია 0.8 ტ-ის); თუ გავითვალისწინებთ, რომ ზემოთ აღნიშნულ დიზელის საწვავით გასამართ სადგუზე წლიურად მოხდება 288 მ<sup>3</sup>-ის, ანუ 288000 ლიტრი დიზელის საწვავით გამართვა, მაშინ გაფრქვევის ინტენსივობები შესაბამისად ტოლი იქნება:

$$G = 288000 \times 0.0025 / 10^6 = 0.00072 \text{ ტ/წელი.}$$

$$M = 0.00072 \times 10^6 / (3600 \times 8760) = 0.000023 \text{ გ/წმ;}$$

## მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროების დახასიათება

## ფორმა #1. მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროების დახასიათება

წარმოების, საამქროს, უბნის დასახელება	მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს			მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროს					მავნე ნივთიერებათა		გამოყოფის წყოდან გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა, ტ/წელი	
	ნომერი	დასახელება	ჩაოდენ ობა	ნომერი	დასახელება	ჩაოდენ ობა	მუშაობის დრო დღე- ღამეში	მუშაობის დრო წელიწადში	დასახელება	კოდი		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	
სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების (ინერტული მასალების სამსხვრევ- დამახარისხებელ ი საწარმო)	გ-1	არაორგანი ზებული.	1	#500	ბალასტის საწყობი	1	24	8760	არაორგანული მტვერი	2909	0.790	
	გ-2	არაორგანი ზებული.	1	#501	მიმღები ბუნკერი	1	16	3840	არაორგანული მტვერი	2909	0.746	
	გ-3	არაორგანი ზებული.	1	#502	ორმაგი მსხვრევა	1	16	3840	არაორგანული მტვერი	2909	2.333	
	გ-4	არაორგანი ზებული.	1	#503	ქვიშის ტრანსპორტიორი	1	16	3840	არაორგანული მტვერი	2909	0.017	
	გ-5	არაორგანი ზებული.	1	#504	ღორღის ტრანსპორტიორი	1	16	3840	არაორგანული მტვერი	2909	0.017	
	გ-6	არაორგანი ზებული.	1	#505	ქვიშის საწყობი	1	24	8760	არაორგანული მტვერი	2909	0.807	
	გ-7	არაორგანი ზებული.	1	#506	ღორღის საწყობი	1	24	8760	არაორგანული მტვერი	2909	0.066	
	გ-8	არაორგანი ზებული.	1	#503	დიზელის გასამართი სადგური	3	24	8760	ნახშირწყალბადები	2754	0.00072	

## ფორმა #2. მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების დახასიათება

მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს ნომერი	მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს პარამეტრები		აირჰაერნარევის პარამეტრები მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს გამოსავლის ადგილიდან				მავნე ნივთიერების კოდი	გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა				პარში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს კოორდინატები ობიექტის კოორდინატთა სისტემაში, ზ						
	სიმაღლე	დიამეტრი ან კვეთის ზომა,	სიჩქარე მ/წმ	მოცულობითი ხარჯი, მ³/წმ	ტემპერატურა, °C	ტ/წელ		θ/θ³	θ/წმ	ტ/წელ			ერთი ბოლოსათვის		მეორე ბოლოსათვის		სიგანე	
													X₁	Y₁	X₂	Y₂		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17		
θ-1	2.5	-	-	-	-	2909	-	0.055392	0.790			-5	0	5	0	20		
θ-2	2.5	-	-	-	-	2909	-	0.0540	0.746			-3	-14	3	-14	4		
θ-3	3.0	-	-	-	-	2909	-	0.16875	2.333			3	-23	7	-23	3		
θ-4	3.0	-	-	-	-	2909	-	0.00123	0.017			10	-39	38	-39	20		
θ-5	3.0	-	-	-	-	2909	-	0.00123	0.017			15	-42	43	-42	20		
θ-6	2.5	-	-	-	-	2909	-	0.055155	0.807			-10	-45	10	-45	15		
θ-7	2.5	-	-	-	-	2909	-	0.002967	0.066			24	-55	34	-55	10		
θ-8	2.0	-	-	-	-	2754	-	0.000023	0.00072			26	-75	40	-75	4		
ფონური წყარო შპს „ბილდერ კომპანი 2018“																		
θ-9	3.0	-	-	-	-	2909	-	0.0600	0.449			280	-10	320	-10	40		
ფონური წყარო შპს „ჯერმან ცემენტ ლტდ“																		
θ-10	3.0	-	-	-	-	2909		0.15163	3.258			420	140	460	140	40		
ფონური წყარო შპს „ევრაზია კაპიტალი“																		
θ-11	3.0	-	-	-	-	2909		0.174688	4.046			550	80	590	80	40		

**ფორმა #3. აირმტვერდამჭერი მოწყობილობების მუშაობის მაჩვენებლები**

ფორმა #4. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა, მათი გაწმენდა და უტილიზირება, ტ/წელი

### 12.12.3 ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიში, მიღებული შედეგები და ანალიზი

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშისთვის გამოყენებული კომპიუტერული პროგრამა და გაანგარიშების ამონაბეჭდის მოკლე დახასიათება

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიში განხორციელდა ავტომატიზებული კომპიუტერული პროგრამა 'Эколог' - ის გამოყენებით, რომელიც აკმაყოფილებს მავნე ნივთიერებათა გაბნევის ნორმების სათანადო მოთხოვნებს.

მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშისთვის საჭირო საწყის მონაცემებს წარმოადგენს:

- საწარმოს გენგეგმა მასზედ გაფრქვევის წყაროთა ჩვენებით;
- საწარმოს განლაგების სიტუაციური რუკა-სქემა;
- საწარმოს განლაგების რაიონის კლიმატურ და ფიზიკურ-გეოგრაფიული მახასიათებლები;
- საწარმოდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის პარამეტრები;
- დასახლებული პუნქტისთვის ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის ნორმები.

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიში იწარმოება მავნე ნივთიერებათა გაბნევის სხვადასხვა პარამეტრებისთვის, აირჩევა რა ამ პირობებიდან გაბნევის არახელსაყრელი და სწორედ ასეთი შემთხვევისთვის იანგარიშება მავნე ნივთიერების შესაძლო მაქსიმალური კონცენტრაცია ატმოსფერულ ჰაერში. მანქანური ანგარიშისას იგი განისაზღვრება სპეციალურად შერჩეულ წერტილებში და, აგრეთვე, საანგარიშო ბადის კვანძებში. საანგარიშო ბადედ მიღებულია კვადრატული ფორმის ტერიტორია  $500\text{m} \times 500\text{m}$  ბიჯით 50მ. გაბნევის ანგარიში ჩატარდა მავნე ნივთიერებათა ფონური კონცენტრაციების გათვალისწინებით [3]-ის შესაბამისად.

მანქანური დამუშავების კომპიუტერული სისტემა იძლევა მთლიანი საწყისი მონაცემების წარმოდგენას და ყოველი მავნე ნივთიერებისთვის შესრულებული ანგარიშის შედეგებს.

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის შედეგები წარმოდგენილია დანართ 3-ში მანქანური ანგარიშის ამონაბეჭდის სახით და მათში ასახულია:

- მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს პარამეტრები;
- საწარმოს განთავსების რაიონის მახასიათებელი კლიმატურ და მეტეოროლოგიური პარამეტრები, ქარის სხვადასხვა საანგარიშო სიჩქარეები;
- მავნე ნივთიერებათა ჯამური გაფრქვევები წყაროებიდან;
- მავნე ნივთიერებათა მაქსიმალური კონცენტრაციები საანგარიშო ბადის ყოველი  $x$  და  $y$  წერტილებისთვის;
- მავნე ნივთიერებათა მაქსიმალური კონცენტრაციების წერტილები  $\Delta$  ზაფხულისთვის;
- მავნე ნივთიერებათა გაბნევის რუკები.

გათვლები განხორციელდა იმ შემთხვევისათვის, როცა ერთდროულად აფრქვევს ყველა წყარო.

საწარმოდან უახლოესი დასახლებული პუნქტი სამხრე-დასავლეთით დაშორებულია 680 მეტრით, აღმოსავლეთით 820 მეტრით, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით 7580 მეტრით, ამიტომ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები დგინდება შემდეგ კორდინატებზე: (-500; 0); (0; 500); (820; 0); (0; -500), რომლებიც მოცემულია დანართის პირველ ფურცელზე. ასევე გათვალისწინებული იქნა მტვრის ფონური მაჩვენებლები, ქალაქის მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით (10 ათასზე ნაკლები მოსახლეობა) და საწარმოს 500 მეტრიან რადიუსის ზონაში არსებული საწარმოებიდან გაფრქვევების ინტენსივობები (შპს „ბილდერ კომპანი 2018“-ის ინერტული მასალების გადამამუშავებელი საწარმო, შპს „ჯერმან ცემენტ ლტდ“-ს და შპს „ევრაზია კაპიტალი“-ს ცემენტის წარმოების ქარხნები). აღნიშნული შედეგები მოცემულია ცხრილ 12.12.3-ში

#### ცხრილი 12.12.3- მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის ძირითადი შედეგები

მავნე ნივთიერებათა დასახელება	მავნე ნივთიერებათა ზდკ-ის წილი ობიექტიდან			
	უახლოეს დასახლებული პუნქტის კორდინატები			
	(-500; 0)	(820; 0)	(0; 500)	(0; -500)
1	2	3	4	5
არაორგანული მტვერი	0.35 ზდკ	0.39 ზდკ	0.28 ზდკ	0.31 ზდკ
ნახშირწყალბადები	გაფრქვევების ინტენსივობის სიმცირის გამო გათვლები არ იწარმოა			

#### 12.12.4 ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები თითოეული გაფრქვევის წყაროსთვის წარმოდგენილია ცხრილ 12.12.4.1-ში.

ცხრილი 12.12.4.1 - ზღვ-ს ნორმები ხუთწლიან პერიოდში თითოეული გაფრქვევის წყაროსათვის და თითოეული მავნე ნივთიერებისათვის

გამოყოფის წყაროს დასახელება	გაფრქვევის წყაროს ნომერი	ზღვ-ს ნორმები 2023 – 2028 წლებისათვის		
		$\delta/\delta^3$	$\delta/\delta\theta$	$\delta/\delta\varphi$
1	2	3	4	5
არაორგანული მტვერი				
ბალასტის საწყობი	გ-1	-	0.055392	0.790
მიმღები ბუნკერი	გ-2	-	0.0540	0.746
სამსხვრევი დანადგარი	გ-3	-	0.16875	2.333
ქვიშის ლენტურ. ტრანსპ.	გ-4	-	0.00123	0.017
ღორღის ლენტურ. ტრანსპ.	გ-5	-	0.00123	0.017
ქვიშის საწყობი	გ-6	-	0.055155	0.807
ღორღის საწყობი	გ-7	-	0.002967	0.066
სულ:		-	0.338724	4.776
ნახშირწყალბადები				
დიზელის საწვავის გასამართი სადგური	გ-8	-	0.000023	0.00072
სულ:		-	0.000023	0.00072

### ზდგ-ს ნორმები ხუთწლიან პერიოდში მთლიანად საწარმოსათვის

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები ხუთწლიან პერიოდში მთლიანად საწარმოსათვის წარმოდგენილია ცხრილ 12.12.4.2-ში.

**ცხრილი 12.12.4.2 - ზდგ-ს ნორმები ხუთწლიან პერიოდში მთლიანად საწარმოსათვის**

მავნე ნივთიერებების დასახელება	ზდგ-ს ნორმები 2023– 2028 წლებისათვის		
	გ/გ <sup>3</sup>	გ/წმ	ტ/წელ
არაორგანული მტვერი	-	0.338724	4.776
ნახშირწყალბადები	-	0.000023	0.00072

### **12.13 ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება, კუმულაციური ზემოქმედების შეფასება**

ხმაურის დონის ნორმების დაცვა რეგულირდება ტექნიკური რეგლამენტით „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ (საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს დადგენილება №398).

ეს ტექნიკური რეგლამენტი ადგენს აკუსტიკური ხმაურის დასაშვებ ნორმებს საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და განაშენიანების ტერიტორიაზე, ხმაურის არახელსაყრელი ზემოქმედებისაგან ადამიანების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

წინამდებარე ტექნიკური რეგლამენტი არ ვრცელდება:

- დასაქმებულთა მიმართ სამუშაო ადგილებზე და სამუშაო გარემოში წარმოქმნილ ხმაურზე;
- საავიაციო, სარკინიგზო (მათ შორის, მეტროპოლიტენის), საზღვაო და საავტომობილო ინფრასტრუქტურაზე;
- საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლით გარანტირებულ ღონისძიებებზე;
- დღის საათებში მიმდინარე სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებზე;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთან შეთანხმებულ დასვენების, კულტურისა და სპორტის საჯარო ღონისძიებებზე;
- საღმრთო მსახურების ჩატარებაზე, სხვადასხვა რელიგიური წეს-ჩვეულებებისა და ცერემონიების დროს განხორციელებულ აქტივობებზე.

#### **ტექნიკური მოთხოვნები**

1. ამ დოკუმენტით განსაზღვრული მიზნიდან გამომდინარე (ხმაურის დონის ექსპერტული შეფასება), ნორმირებადი პარამეტრია ხმაურმზომის A სკალით გაზომილი ბერის დონე LA და A მუდმივი ხმაურის, ხოლო ბერის ეკვივალენტური დონე LA<sub>EQ</sub> და A – არამუდმივი (ცვლადი) ხმაურის შემთხვევაში;
2. საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და განაშენიანების ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმები (ბერის დონეები) განსაზღვრულია №1 დანართით;
3. აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმები განსხვავებულია დღის (08:00 სთ-დან 23:00 სთ-მდე) და ღამის (23:00 სთ-დან 08:00 სთ-მდე) პერიოდებისათვის.

**ხმაურის მაჩვენებლები საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების  
შენობების სათავსებში და განაშენიანების ტერიტორიებზე**

1. აკუსტიკური ხმაურის დონის გაზომვის შედეგების ჰიგიენური შეფასება (სანიტარიულ-ჰიგიენური ექსპერტიზა) ტარდება ამ დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც ემყარება საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს (მაგ., ISO 1996-1: 2003.“)
2. აკუსტიკა. გარემოს ხმაურის დახასიათება, გაზომვა და შეფასება”, ნაწილი 1. „შეფასების ძირითადი სიდიდეები და პროცედურები”; ISO 1996-2: 2007“ აკუსტიკა. გარემოს ხმაურის დახასიათება და გაზომვა”, ნაწილი 2);
3. ადგილობრივი მუნიციპალიტეტები უფლებამოსილნი არიან, განსაზღვრონ სპეციალური ზონები (მაგ.: ტურისტულად აქტიური ზონები და გასართობი ზონები, სადაც განთავსებულია რესტორნები, კაფეები, ბარები, ღამის კლუბები და ა.შ.), რომელთა მიმართ შეუძლიათ დაწესონ ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებისაგან განსხვავებული რეჟიმი.
4. საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და მათი განაშენიანების ტერიტორიაზე აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების დაცვის ზედამხედველობას ახორციელებს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი კომპეტენციის მქონე სახელმწიფო ან/და მუნიციპალური ორგანო.
5. აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებაზე პასუხისმგებელია ის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის საქმიანობის შედეგად საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და მათი განაშენიანების ტერიტორიაზე ხმაურის დონე აღემატება №1 დანართით დადგენილ ნორმებს.
6. თუ საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და მათი განაშენიანების ტერიტორიებზე ფიქსირდება ან მოსალოდნელია ხმაურის მაჩვენებლები, რომლებიც აღემატება (მოსალოდნელია აღემატებოდეს) №1 დანართით განსაზღვრულ მნიშვნელობებს, მაშინ ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირებმა, რომელთა საქმიანობის შედეგად წარმოიქმნება ხმაური, უნდა უზრუნველყონ ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-5 მუხლით განსაზღვრული ხმაურის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება.

**ხმაურის არახელსაყრელი ზემოქმედების პროფილაქტიკის ღონისძიებები**

1. ხმაურის საწინააღმდეგო ღონისძიებათა ძირითადი მიმართულებებია:
  - a) ხმაურის წყაროში – საინჟინრო-ტექნიკური და ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული ღონისძიებები;

ბ) ხმაურის გავრცელების გზაზე (ხმაურის წყაროდან ობიექტამდე) – ქალაქთმშენებლობისა და სამშენებლო-აკუსტიკური მეთოდები;

გ) ხმაურისაგან დასაცავ ობიექტზე – შენობის კონსტრუქციების ხმაურსაიზოლაციო და ხმაურმშთანთქმელი თვისებების გაზრდის კონსტრუქციულ-სამშენებლო მეთოდები და არქიტექტურულ-გეგმარებითი მეთოდები.

2. აკუსტიკური ხმაურის მავნე მოქმედებისაგან მოსახლეობის დაცვა ხორციელდება საინჟინრო-ტექნიკური, არქიტექტურულ-გეგმარებითი და ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული ღონისძიებებით.
3. ხმაურის საწინააღმდეგო საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებებია: ბგერის ოზოლაცია, შენობების აკუსტიკურად რაციონალური მოცულობით-გეგმარებითი გადაწყვეტა, პარკის ვენტილაციისა და კონდიცირების სისტემებში ჩამხშობების გამოყენება, სათავსების აკუსტიკური დამუშავება, ხმაურის შემცირება ობიექტებზე სპეციალური ეკრანებითა და მწვანე ნარგავებით და ა.შ..
4. ხმაურის საწინააღმდეგო არქიტექტურულ-გეგმარებითი ღონისძიებებია: საცხოვრებელი განაშენიანებისაგან ხმაურის წყაროს დაცილება, ხმაურის წყაროსა და საცხოვრებელ განაშენიანებას შორის ხმაურდამცავი ეკრანების განთავსება, საცხოვრებელი სახლების დაჯგუფების რაციონალური სქემის გამოყენება (ხმაურის წყაროსაგან დახურული ან ნახევრად დახურული შიდა სივრცის შექმნა) და ა.შ..
5. ხმაურისაგან დაცვის ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული ღონისძიებებია, მაგალითად, ტრანსპორტის ხმაურიანი სახეების მაგისტრალებზე ღამის საათებში ექსპლოატაციის შეზღუდვა, ხმაურიანი რეაქტიული თვითმფრინავების (რომლებიც ქმნიან 80დბA-ზე მეტ ხმაურს) უპირატესად დღისით ექსპლოატაცია.

ხმაური არის სხვადასხვა სიხშირის და ინტენსივობის ბგერების მოუწესრიგებელი ერთობლიობა, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს მავნე ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე. ხმაურის წყარო შეიძლება იყოს ნებისმიერი პროცესი, რომელსაც მყარ, თხევად ან აიროვან გარემოში შეუძლია გამოიწვიოს წნევა ან მექანიკური რხევები. ხმაურს გააჩნია განსაზღვრული სიხშირე ან სპექტრი, რომელიც გამოისახება ჰერცებში და ბგერითი წნევის დონის ინტენსივობა, რომელიც იზომება დეციბელებში. ადამიანის სმენას შეუძლია გაარჩიოს ბგერის ის სიხშირეები, რომლებიც იცვლებიან 16-დან 20000 ჰერცის ფარგლებში.

ხმაურის გაზომვა, ანალიზი და სპექტრის რეგისტრაცია ხდება სპეციალური იარაღებით, როგორიცაა: ხმაურმზომი და დამხმარე ხელსაწყოები (ხმაურის დონის თვითმწერი მაგნიტოფონი, ოსცილოგრაფი, სტატისტიკური გამანაწილებლების ანალიზორი, დოზიმეტრი და სხვა).

ხმაურის ინტენსივობის (დონის) გასაზომად უფრო ხშირად იყენებენ ლოგარითმულ სკალას, რომელშიც ყოველი საფეხური 10-ჯერ მეტია წინანდელზე. ხმაურის ორი დონის ასეთ თანაფარდობას უწოდებენ ბელს

(ბ). ის განისაზღვრება ფორმულით:

$$I_b = Ig(I/I_0)$$

სადაც  $I$  – ბგერითი წნევის განსახილველი დონეა, პა;

$I_0$  – ადამიანის ყურის სმენადობის ზღვარია და უდრის  $2.10^{-5}$  პა.

ერთიანი და თანაბრადდაშორებული წერტილებისათვის ხმაურის ჯამური ( $L_x$ ) დონე გამოითვლება ფორმულით:

$$L_j = L_1 + 10 \lg n, \text{ დბ} \quad (2.1)$$

სადაც  $L_1$  – ერთი წყაროდან ხმაურის დონეა, დბ ( $1\text{დბ}=10\text{ბ}$ )

$n$  – ხმაურის წყაროს რიცხვია.

$10 \lg n$  არის ხმაურის ერთი წყაროს დონის დანამატი სიდიდე.

ხმაური ინტენსივობის მიხედვით იყოფა სამ ჯგუფად:

პირველ ჯგუფს მიეკუთხნება ისეთი ხმაური, რომლის ინტენსივობა აღწევს 80 დბ-ს. ასეთი ინტენსივობის ხმაური ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო არ არის.

მეორე ჯგუფს მიაკუთვნებენ ისეთ ხმაურს, რომლის ინტენსივობა მერყეობს 80-დან 135 დბ. ერთი დღელამის და მეტი დროის განმავლობაში, ასეთი ხმაურის ზემოქმედება იწვევს ადამიანის სმენის დაქვეითებას, ასევე შრომის-უნარიანობის დაწევას 10-30%-ით.

ხმაური, რომლის ინტენსივობა მეტია 135 დბ მიეკუთვნება მესამე ჯგუფს და ყველაზე სახიფათოა. ასეთ ხმაურს იწვევს აირტურბინული გენერატორები (კონტეინერების გარეშე). 135 დბ-ზე მეტი ხმაურის სისტემატური ზემოქმედება (8-12 საათის განმავლობაში) იწვევს ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესებას, შრომის ნაყოფიერების მკვეთრ შემცირებას. ასეთ ხმაურს შეუძლია გამოიწვიოს ლეტალური შემთხვევებიც.

**ცხრილი 12.13.1 - აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმები საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და მათი განაშენიანების ტერიტორიებზე.**

#	სათავსებისა და ტერიტორიების გამოყენებითი ფუნქციები	დასაშვები ნორმები		
		Lდღე (დბA)		Lღამე (დბA)
		დღე	ღამე	
1.	სასწავლო დაწესებულებები და სამკითხველოები	35	35	35
2.	სამედიცინო დაწესებულებების სამკურნალო კაბინეტები	40	40	40
3.	საცხოვრებელი და საძილე სათავსები	35	30	30
4.	სტაციონარული სამედიცინო დაწესებულების სამკურნალო და სარეაბილიტაციო პალატები	35	30	30

5.	სასტუმროების/ სასტუმრო სახლების/ მოტელის ნომრები	40	35	35
6.	სავაჭრო დარბაზები და მისაღები სათავსები	55	55	55
7.	რესტორნების, ბარების, კაფეების დარბაზები	50	50	50
8.	მაყურებლის/მსმენელის დარბაზები და საკოალური სათავსები	30	30	30
9.	სპორტული დარბაზები და აუზები	55	55	55
10.	მცირე ზომის ოფისების ( $\leq 100 \text{ მ}$ ) სამუშაო სათავსები და სათავსები საოფისე ტექნიკის გარეშე	40	40	40
11.	დიდი ზომის ოფისების ( $\geq 100 \text{ მ}$ ) სამუშაო სათავსები და სათავსები საოფისე ტექნიკით	45	45	45
12.	სათათბირო სათავსები	35	35	35
13.	ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან დაბალსართულიან (სართულების რაოდენობა $\leq 6$ ) საცხოვრებელ სახლებს, სამედიცინო დაწესებულებებს, საბავშვო და სოციალური მომსახურების ობიექტებს	50	45	40
14.	ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებს (სართულების რაოდენობა $> 6$ ), კულტურულ, საგანმათლებლო, ადმინისტრაციულ და სამეცნიერო დაწესებულებებს	55	50	45
15.	ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან სასტუმროებს, სავაჭრო, მომსახურების, სპორტულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს	60	55	50

შენიშვნა:

- იმ შემთხვევაში, თუ როგორც შიდა, ისე გარე წყაროების მიერ წარმოქმნილი ხმაური იმპულსური ან ტონალური ხასიათისაა, ნორმატივად ითვლება ცხრილში მითითებულ მნიშვნელობაზე 5 დბ A-ით ნაკლები სიდიდე.
- აკუსტიკური ხმაურის ზემოაღნიშნული დასაშვები ნორმები დადგენილია სათავსის ნორმალური ფუნქციონირების პირობებისთვის, ანუ, როცა სათავსში დატურულია კარები და ფანჯრები (გამონაკლისია ჩაშენებული სავენტილაციო არხები), ჩართულია ვენტილაციის, კონდიცირების, ასევე განათების მოწყობილობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ამასთან, ფუნქციური (ფონური) ხმაური (მაგ., ჩართული მუსიკა, მომუშავეთა და ვიზიტორთა საუბარი) გათვალისწინებული არ არის.

დანადგარების მიერ შექმნილი ბგერითი წნევის დონეები (L) განისაზღვრება ფორმულით:

$$L=L_p-20\lg r-\beta_{\sigma}r/1000-8\text{დბ}$$

(2.2)

სადაც:

ლ\_ არის მოწყობილობების მიერ გამოწვეული ბგერითი წნევის დონე, დბ. საწარმოს პირობებისათვის ის შეადგენს 100 დბ-ს.

რ\_ მანძილია წყაროდან უახლოეს მოსახლემდე და იგი შეადგენს 680 მეტრს.

β\_ ატმოსფეროში ხმის ჩახშობის სიდიდეა დბ/კმ და მოცემულია ქვემოთ ცხრილ 12.13.2-ში

#### ცხრილი 12.13.2 - ატმოსფეროში ხმის ჩახშობის სიდიდე

ოქტავური ზოლების საშუალო გეომეტრიული სიხშირე	63	125	250	500	1000	2000	4000	8000
ხმისდახშობა დბ/კმ	0	0.7	1.5	3	6	12	24	48

ფორმულა 2.2.-ში მნიშვნელობების ჩასმის შემდეგ რ - სხვადასხვა მანძილისათვის (50,100,200,250,300,350,400,450მ), მათ შორის უახლოეს რეცეპტორთან (680მ) გააანგარიშდა ბგერითი სიმძლავრის დონეები ხმის დამხშობი ღონისძიებების გატარების გარეშე იხ. ცხრილ 12.13.3-ში.

#### ცხრილი 12.13.3

ოქტავური ზოლების საშუალო გეომეტრიული	ბგერითი წნევის დონეები დეციბელებში, საწარმოდან რ მანძილზე (მ)								
	50	100	200	250	300	350	400	450	680
63	58,02	52,00	45,98	44,04	42,46	41,12	39,96	38,94	35,35
125	57,99	51,93	45,84	43,87	42,25	40,87	39,68	38,62	34,87
250	57,95	51,85	45,68	43,67	42,01	40,59	39,36	38,26	34,33
500	57,87	51,70	45,38	43,29	41,56	40,07	38,76	37,59	33,31
1000	57,72	51,40	44,78	42,54	40,66	39,02	37,56	36,24	31,27
2000	57,42	50,80	43,58	41,04	38,86	36,92	35,16	33,54	27,19
4000	56,82	49,60	41,18	38,04	35,26	32,72	30,36	28,14	19,03
8000	55,62	47,20	36,38	32,04	28,06	24,32	20,76	17,34	2,71

100

წინამდებარე გზშ ანგარიში საჯაროა და მასში არსებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა შეზღუდული არ არის. ამასთან, გზშ-ს პროცესში ჩატარებული კვლევების, მიღებული შედეგების და დასახული შემარბილებელი და სამონიტორინგო ღონისძიებების შესახებ დეტალურ ინფორმაციას კომპანია მიაწვდის ადგილობრივ მოსახლეობას და წერილი დაინტერსებულ პირს გზშ ანგარიშის საჯარო განხილვაზე.

გზშ-ის მომზადების ეტაპზე, პროექტთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები კომპანიაში წარმოდგენილი არ ყოფილა.



საჯარო განხილვა სოფ. გომში



საჯარო განხილვა კასპის მუნიციპალიტეტის მერიაში

**სურ. 15 - საჯარო განხილვის ამსახველი ფოტო მასალა**

## 16 შესაძლო ავარიული სიტუაციების ანალიზი, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების დეტალური გეგმა

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საწარმოს ტექნოლოგიური რეგლამენტის მონაცემების გაანალიზების საფუძველზე ჩამოყალიბებული იქნა ავარიული სიტუაციების წარმოქმნის შესაძლო ვარიანტები, რომლის მიხედვითაც შემუშავდა ავარიების თავიდან აცილების და შერბილების ღონისძიებები.

### ავარიული სიუაციების განვითარების შესაძლო ვარიანტები

საწარმოს ექსპლუატაციის პერიოდში მოსალოდნელია შემდეგი სახის ავარიები და ავარიული სიტუაციები:

- ხანძარი/აფეთქება;
- პერსონალის ტრავმები და მათი ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტები;
- სატრანსპორტო შემთხვევები;
- ბუნებრივი ხასიათის ავარიული სიტუაციები (მარგინალური ამინდის პირობები, მიწისძვრა, წყალმოვარდნა და სხვ).

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ავარიული სიტუაციები შესაძლოა თანმდევი პროცესი იყოს და ერთი სახის ავარიული სიტუაციის განვითარებამ გამოიწვიოს სხვა სახის ავარიის ინიცირება.

აღნიშნული ავარიული სიტუაციების წარმოქმნის მიზეზი შეიძლება იყოს: გამოყენებული დანადგარების და სატრანსპორტო საშუალებების არასწორ ან გაუმართავ პირობებში ექსპლოატაცია; ხანძარსაწინააღმდეგო ნორმების დარღვევა და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის უქონლობა ან არა სრულობა; ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების სისტემის გაუმართაობა; მომსახურე პერსონალის არაკვალიფიციურობა და სხვ.

ავარიული სიტუაციების წარმოქმნის რისკების შესამცირებლად მსგავსი ტიპის ობიექტებზე დაცული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი უსაფრთხოების სტანდარტების ტექნიკური მოთხოვნები.

საწარმოს უსაფრთხო ექსპლოატაციის ძირითადი პირობები, რომელსაც ამ ეტაპზეც ასრულებს კომპანია და შემდგომშიც განახორციელებს, შემდეგია:

- ობიექტის ხელმძღვანელები და სპეციალისტები უზრუნველყოფილნი არიან სპეცტანსაცმლით, ფეხსაცმლით, ხელთათმანებით და სხვა დამცავი საშუალებებით;
- დანადგარების დამოუკიდებლად მომსახურებაზე დაიშვებიან პირები, რომლებმაც გაიარეს სწავლება სპეციალური პროგრამით და მიღებული არ არის სამუშაოზე გადაყვანილი მუშები სამუშაოზე დაშვების წინ იღებენ ინსტრუქტაჟს უსაფრთხოების ტექნიკაში საწარმოს ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული

- პროგრამით. ინსტრუქტაჟს ატარებს უსაფრთხოების ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირი და ამას აფიქსირებს სპეციალურ ბარათში ან ჟურნალში;
- მუშები იღებენ ინსტრუქტაჟს და გადიან სწავლებას პირველი დახმარების აღმოჩენაში უბედური შემთხვევების, პროფესიული მოწამვლისა და ელექტროდენით დაშავების დროს;
  - დანადგარების მომსახურებასა და რემონტზე დაიშვებიან პირები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი საკვალიფიკაციო გამოცდილება;
  - საწარმოში შენობებისა და ნაგებობების უსაფრთხო მდგომარეობასა და სწორ ექსპლოატაციაზე დაწესებულია სისტემატური კონტროლი. საწარმოში კონტროლის განხორციელების წესი მტკიცდება საწარმოს ხელმძღვანელის ბრძანებით;
  - საწარმოს თითოეული უბნისთვის დადგენილია ხანძარ და აფეთქება საფრთხიანობის კატეგორია და დადგენილი კატეგორიიდან გამომდინარე, ხორციელდება უსაფრთხოების აუცილებელი ზომები;
  - აკრძალულია საწარმოს ექსპლუატაცია, თუ სრულად არაა დაცული უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიისა და სახანძრო უსაფრთხოების ნორმები;
  - საწარმოში მომუშავეთა გადაადგილება დასაშვებია მხოლოდ ამისთვის განკუთვნილი გასასვლელებით. მიღებზე, ღარებზე, ბარიერებსა და სხვა მოწყობილობაზე გადაძრომა დაუშვებელია;
  - მოწყობილობის ამუშავების იძლევა მაფრთხილებელი სიგნალი;
  - მოწყობილობის ამუშავებისას დაცულია მომსახურე პერსონალის სრული უსაფრთხოება;
  - საჭიროების შემთხვევაში, კაპიტალური რემონტის შემდეგ მოწყობილობას საექსპლუატაციოდ იღებს საწარმოს ხელმძღვანელის მიერ დანიშნული კომისია. მონტაჟის ან რემონტის შემდეგ მოწყობილობის ამუშავების წინ შემოწმებული იქნება, ხომ არ იმყოფება სახიფათო ზონაში ხალხი და გარეშე საგნები. ამუშავება მოხდება სამონტაჟო-სარემონტო სამუშაოების შემსრულებელი ოსტატის ან ბრიგადირის ზედამხედველობითა და საამქროს ან უბნის მექანიკოსის, ცვლის მექანიკოსის, ან მათი შემცვლელი პირის აუცილებელი მონაწილეობით;
  - ექსპლუატაციაში მყოფი მოწყობილობა, გამოყენებული ინსტრუმენტები და სამარჯვები არის გამართული. მათი დათვალიერება, პერიოდული შემოწმება და გამოცდა ხდება მოქმედი ინსტრუქციებისა და ექსპლუატაციის წესების შესაბამისად. გაუმართავი მოწყობილობის ამუშავება, გაუმართავი ინსტრუმენტებისა და სამარჯვების გამოყენება დაუშვებელია;
  - საწარმოში ტარდება რეგულარული პროფილაქტიკური დათვალიერებები საწარმოს ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული ვადებითა და წესით;
  - საჭიროების შემთხვევაში, მოწყობილობის რემონტის დაწყების წინ მანქანების და მექანიზმების მუშაობა უნდა შეწყდეს. მოწყობილობის და დანადგარების რემონტის დაწყება დასაშვებია მხოლოდ

- მათში არსებული მასალებისა და მტვრისაგან გაწმენდის და გარეცხვის შემდეგ, აგრეთვე, მათი ელექტრული ქსელიდან გამორთვის და სამუშაოს მწარმოებლის მიერ საჭდეს აღების შემდეგ;
- საჭიროების შემთხვევაში, მექანიზმის და მისი ელექტროამძრავის ერთდროული რემონტისას უნდა დამუშავდეს ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამუშაოების უსაფრთხო წარმოებას;
  - თუ სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო გახდება ხარაჩო, ეს უკანასკნელი უნდა მოეწყოს მტკიცედ აგებულ საყრდენებზე. ამ მიზნით შემთხვევითი საყრდენების გამოყენება დაუშვებელია.
  - სიმაღლეზე სარემონტო სამუშაოების შესრულებისას ადამიანების ასვლა და ჩამოსვლა უნდა მოხდეს კიბეებით. აკრძალულია სამუშაო ზონაში ადამიანების ჩასვლა დამცავი ქამრის და დამზღვევი ბაგირის გარეშე;
  - ტექნოლოგიური მოწყობილობის რემონტისას მისი ამძრავი უნდა გამოირთოს ქსელიდან, ხოლო ასამუშავებელ მოწყობილობაზე უნდა გაიკრას პლაკატები: „არ ჩართოთ – მუშაობენ ადამიანები“. აუცილებელ შემთხვევებში უნდა გამოირთოს წინა და შემდეგი ტექნოლოგიური მოწყობილობის ამძრავები.
  - მისადგამი კიბიდან მექანიზებული ინსტრუმენტით სამუშაოების ჩატარება აკრძალულია;
  - სარემონტო სამუშაოების ჩატარებისას სახიფათო ზონები შემოიღობება და გამოიკიდება მაფრთხილებელი პლაკატები;
  - საწარმოში განთავსებულ დანადგარებს გამართულ მდომარეობაში აქვთ პიდრავლიკური მოწყობილობები, მათზე დაცულიალითონკონსტრუქციების მთლიანობა;
  - წედლეულის მიმღებ ბუნკერთან გათვალისწინებულიამომსახურე პერსონალის უსაფრთხოდ განთავსების ადგილი;
  - ტექნოლოგიური ხაზი აღჭურვილია ხმოვანი შეტყობინების სიგნალიზაციით და ავარიული გამორთვის „STOP“ ღილაკებით, რომელთა დახმარებით შესაძლებელია ტექნოლოგიური პროცესის ავარიული შეჩერება ხაზის რამდენიმე ადგილიდან;
  - დაცულია საწარმოს ელექტრო უსაფრთხოება;
  - მომსახურე პერსონალს პერიოდულად (ახალი თანამშრომელის მიღებისას და შემდგომ, წელიწადში ორჯერ) უტარდებათ ტრენინგები გარემოს დაცვასა და უსაფრთხოების საკითხებში;
  - საწარმო უზრუნველყოფილია ხანძარსაწინააღმდეგო და ცეცხლსაქრობი საშუალებებით და დადგენილი წესით ხდება მათი პერიოდული განახლება;
  - კონტროლდება ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების სისტემის ტექნიკური გამართულობა;
  - საასენიზაციო ორმოს ამოწმენდა ხორციელდება მასში საკანალიზაციო/სანიაღვრე წყლების დაგროვების პერიოდულობის შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილი იქნეს საასენიზაციო ორმოში საჭირო დონე.

## ავარიის შესახებ შეტყობინება

საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნის მიხედვით, ყველა საწარმოსთვის აუცილებელია „ავარიულ შემთხვევებზე რეაგირების გეგმის“ შემუშავება, სადაც გაწერილი უნდა იყოს ავარიულ სიტუაციებში სწრაფი, სათანადო და ეფექტური რეაგირების ყველა ასპექტი.

„ავარიულ შემთხვევებზე რეაგირების გეგმაში“ ავარიის ხასიათის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია:

- ავარიის შესახებ შეტყობინების ქსელის შექმნა;
- სახელმწიფო სტრუქტურებისათვის შეტყობინება;
- მოსახლეობის ინფორმირება;
- მომიჯნავე ობიექტის სამსახურების შეტყობინება;
- ავარიის შედეგად შექმნილი სიტუაციის შეფასება და რეაგირების ღონისძიებათა დაწყება;
- რეაგირების კატეგორიის განსაზღვრა;
- ავარიული შემთხვევის შედეგების ლიკვიდაციის სამსახურის მობილიზება და მზადყოფნაში მოყვანა;
- ავარიული შემთხვევის (გარემოს შესაძლებელი დაბინძურების) ადგილმდებარეობის სქემაზე აღნიშვნა;
- გარემოს შესაძლებელი დაბინძურების რაოდენობრივი შეფასება და შესაძლებელი გავრცელების განსაზღვრა;
- ავარიულ შემთხვევასთან დაკავშირებული უსაფრთხოების მოთხოვნების შეფასება;
- რეაგირების სტრატეგიის შემუშავება;
- არსებული რესურსების შეფასება და მობილიზება;
- მიმდინარე რეაგირების სამუშაოთა ზელმდღვანელობა;
- სალიკვიდაციო სამუშაოთა დამთავრების პირობების განსაზღვრა;
- სალიკვიდაციო სამსახურის მოქმედების შეწყვეტა;
- მობილიზებული რესურსების მდგომარეობის შემოწმება;
- სამთავრობო და დაინტერესებული ორგანოების და პირების შეტყობინება სალიკვიდაციო სამუშაოების დასრულების შესახებ.
- ავარიული სიტუაციის დოკუმენტირება, სადაც დაფიქსირებული უნდა იყოს:
  - ავარიული შემთხვევის თარიღი, დრო და კლასი (გარემოს შესაძლებელი/აღმოჩენილი დაბინძურების მიხედვით);
  - გამომვლენის/ინფორმაციის მომწოდებლის ვინაობა;

- გარემოს დაბინძურების (მაგალითად, დაღვრილი ნავთობპროდუქტები) მდგომარეობა, მისი გავრცელება და დაბინძურებული ტერიტორიის ფართობი;
- მეტეოპირობები (ქარის სიჩქარე, მიმართულება, და სხვა);
- დაბინძურების დახასიათება ტიპის მიხედვით;
- დაბინძურების წყარო;
- სხვა დამკვირვებლების მონაცემები.

## **ხანძარი/აფეთქება**

ხანძრის აღმოცენება-გავრცელებისა და აფეთქების რისკები არსებობს ობიექტის ექსპლუატაციის დროს. ავარიის გამომწვევი ფაქტორი ძირითადად შეიძლება იყოს ანთროპოგენური, კერძოდ: მომსახურე პერსონალის გულგრილობა და უსაფრთხოების წესების დარღვევა, ნავთობპროდუქტების და სხვა ადვილად აალებადი/ფეთქებადი მასალების შენახვის და გამოყენების წესების დარღვევა და სხვ. თუმცა აფეთქების და ხანძრის გავრცელების პროცესირება შეიძლება სტიქიურმა მოვლენამაც მოახდინოს (მაგ. მიწისძვრა).

ექსპლოატაციის ეტაპზე ხანძრის განვითარების და აფეთქების რისკების თვალსაზრისით სენსიტიური უბანია: სახიფათო ნარჩენების განთავსების უბანი და ნავთობპროდუქტების გაცემის უბანი. სხვა ადვილად აალებადი და ფეთქებადი მასალების განთავსების უბნები საწარმოს არ გააჩნია.

ხანძრის/აფეთქების თანმდევი პროცესები შეიძლება იყოს:

- საშიში ნივთიერებების ზაღლპური გაფრქვევა / დაღვრა;
- პერსონალის ან მოსახლეობის ტრავმები და მათი ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შემთხვევები.

## **რეაგირება ხანძრის აღმოცენება-გავრცელების შემთხვევაში**

ხანძრის კერის ან კვამლის აღმომჩენი პირის სტრატეგიული ქმედებებია:

- სამუშაო უბანზე ყველა საქმიანობის შეწყვეტა, გარდა უსაფრთხოების ზომებისა;
- სიტუაციის შეფასება, ხანძრის კერის და მიმდებარე ტერიტორიების დაზვერვა;
- შეძლებისდაგვარად ტექნიკის და სხვა დანადგარ-მოწყობილობების იმ ადგილებიდან გაყვანა/გატანა, სადაც შესაძლებელია ხანძრის გავრცელება.
- ელექტრომოწყობილობები უნდა ამოირთოს წრედიდან;
- იმ შემთხვევაში თუ ხანძარი მძლავრია და გაძნელებულია ხანძრის კერასთან მიდგომა, მიმდებარედ განლაგებულია რაიმე ხანძარსაშიში ან ფეთქებადსაშიში უბნები/ნივთიერებები, მაშინ:

- მოშორდით სახიფათო ზონას;
- ევაკუირებისას თუ თქვენ გიწევთ კვამლიანი დახურული სივრცის გადაკვეთა, დაიხარეთ, რადგან ჰაერი ყველაზე სუფთა იატაკთანაა, ცხვირზე და პირზე აიფარეთ სველი ნაჭერი;
- თუ ვერ ახერხებთ ევაკუაციას ალმოდებული გასასვლელის გამო ხმამაღლა უზმეთ მშველელს;
- ავარიის შესახებ შეტყობინება გადაეცით საწარმოს ხელმძღვანელობას;
- დაელოდეთ სამაშველო რაზმის გამოჩენას და მათი მოსვლისას გადაეცით დეტალური ინფორმაცია ხანძრის მიზეზების და ხანძრის კერის სიახლოვეს არსებული სიტუაციის შესახებ;
- იმ შემთხვევაში თუ ხანძარი არ არის მძლავრი, ხანძრის კერა ადვილად მისადგომია და მასთან მიახლოება საფრთხეს არ უქმნის თქვენს ჯანმრთელობას. ამასთან არსებობს მიმდებარე ტერიტორიებზე ხანძრის გავრცელების გარკვეული რისკები, მაშინ იმოქმედეთ შემდეგნაირად:
- ავარიის შესახებ შეტყობინება გადაეცით საწარმოს ხელმძღვანელობას;
- მოძებნეთ უახლოესი სახანძრო სტენდი და მოიმარაგეთ საჭირო სახანძრო ინვენტარი (ცეცხლმაქრობი, ნაჯახი, ძალაყინი, ვედრო და სხვ);
- ეცადეთ ხანძრის კერის ლიკვიდაცია მოახდინოთ ცეცხლმაქრობით, ცეცხლმაქრობზე წარმოდგენილი ინსტრუქციის მიხედვით;
- იმ შემთხვევაში თუ უბანზე არ არსებობს სახანძრო სტენდი, მაშინ ხანძრის ჩასაქრობად გამოიყენეთ ქვიშა, წყალი ან გადააფარეთ ნაკლებად აალებადი ქსოვილი;
- იმ შემთხვევაში თუ ხანძრის კერის სიახლოვეს განლაგებულია წრედში ჩართული ელექტროდანადგარები წყლის გამოყენება დაუშვებელია;
- დახურულ სივრცეში ხანძრის შემთხვევაში ნუ გაანიავებთ ოთახს (განსაკუთრებული საჭიროების გარდა), რადგან სუფთა ჰაერი უფრო მეტად უწყობს ხელს წვას და ხანძრის მასშტაბების ზრდას. ხანძრის შემთხვევაში საწარმოს ხელმძღვანელის სტრატეგიული ქმედებებია:
- დეტალური ინფორმაციის მოგროვება ხანძრის კერის ადგილმდებარეობის, მიმდებარედ არსებული/დასაწყობებული დანადგარ-მექანიზმების და ნივთიერებების შესახებ და სხვ;
- სახანძრო სამსახურის ინფორმირება;
- სხვა პერსონალის და სახანძრო სამსახურის ინფორმირება;
- ინციდენტის ადგილზე მისვლა და სიტუაციის დაზვერვა, რისკების გაანალიზება და ხანძრის სავარაუდო მასშტაბების შეფასება;
- მთელს პერსონალს ეთხოვოს მანქანებისა და უბანზე არსებული ხანძარსაქრობი აღჭურვილობის გამოყენება;
- სახანძრო სამსახურის მოსვლამდე პერსონალის ქმედებების გაკონტროლება და ხელმძღვანელობა.

**პერსონალის ტრამვები და მათი ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტები**  
გარდა სხვა ავარიულ სიტუაციებთან დაკავშირებული ინციდენტებისა მუშახელის ტრავმატიზმი შესაძლოა უკავშირდებოდეს:

- გამოყენებულ ტექნიკასთან/მანქანებთან დაკავშირებულ ინციდენტებს;
- დენის დარტყმას ძაბვის ქვეშ მყოფი დანადგარების სიახლოვეს ყოფნისას.

### **რეაგირება პერსონალის ტრამვირების შემთხვევაში**

ადამიანის დაშავების აღმომჩენი პირის უპირველეს ქმედებას წარმოადგენს ინციდენტის შესახებ შეტყობინების სასწრაფო გადაცემა. სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოჩენამდე დაშავებულს პირველადი დახმარება უნდა გაეწიოს შემდგომ ქვეთავებში მოცემული პირველადი დახმარების სტრატეგიის მიხედვით: პირველადი დახმარების გაწევამდე აუცილებელია სიტუაციის შეფასება და დადგენა ქმნის თუ არა საფრთხეს დაშავებულთან მიახლოვება.

### **პირველადი დახმარება მოტეხილობის დროს**

არჩევენ ძვლის ოია და დახურულ მოტეხილობას. ოია მოტეხილობისათვის დამახასიათებელია კანის საფარველის მთლიანობის დარღვევა. ამ დროს დაზიანებულ არეში არის ჭრილობა და სისხლდენა. ოია მოტეხილობის დროს მაღალია ინფიცირების რისკი. ოია მოტეხილობის დროს:

- დროულად მოუხმეთ დამხმარეს, რათა დამხმარემ ჩაატაროს სხეულის დაზიანებული ნაწილის იმობილიზაცია, სანამ თქვენ დაამუშავებთ ჭრილობას;
- დაფარეთ ჭრილობა სუფთა საფენით და მოახდინეთ პირდაპირი ზეწოლა სისხლდენის შეჩერების მიზნით. არ მოახდინოთ ზეწოლა უშუალოდ მოტეხილი ძვლის ფრაგმენტებზე;
- ჭრილობაზე თითებით შეხების გარეშე, საფენის ზემოდან ფრთხილად შემოფარგლეთ დაზიანებული არე სუფთა ქსოვილით და დააფიქსირეთ ის ნახვევით;
- თუ ჭრილობაში მოჩანს მოტეხილი ძვლის ფრაგმენტები, მოათავსეთ რბილი ქსოვილი ძვლის ფრაგმენტების გარშემო ისე, რომ ქსოვილი სცილდებოდეს მათ და ნახვევი არ ახდენდეს ზეწოლას ძვლის ფრაგმენტებზე. დაამაგრეთ ნახვევი ისე, რომ არ დაირღვეს სისხლის მიმოქცევა ნახვევის ქვემოთ;
- ჩაატარეთ მოტეხილი ძვლის მობილიზაცია, ისევე, როგორც დახურული მოტეხილობისას;
- შეამოწმეთ პულსი, კაპილარული ავსება და მერძნობელობა ნახვევის ქვემოთ ყოველ 10 წთ-ში ერთხელ.

თუ დახურულ მოტეხილობასთან გვაქვს საქმე და კანის მთლიანობა დაზიანებულ არეში დარღვეული არ არის. ამ დროს დაზიანებულ არეში აღინიშნება სისხლჩაქცევა და შეშუპება. დახურული მოტეხილობის დროს:

- სთხოვეთ დაზარალებულს იწვეს მშვიდად და დააფიქსირეთ სხეულის დაზიანებული ნაწილი მოტეხილობის ზემოთ და ქვემოთ ხელით, სანამ არ მოხდება მისი იმობილიზაცია (ფიქსაცია);
- კარგი ფიქსაციისათვის დაამაგრეთ სხეულის დაზიანებული ნაწილი დაუზიანებელზე. თუ მოტეხილობა არის ხელზე დააფიქსირეთ ის სხეულზე სამკუთხა ნახვევის საშუალებით. ფეხზე მოტეხილობის არსებობისას დააფიქსირეთ დაზიანებული ფეხი მეორეზე. შეკარით კვანძები დაუზიანებელი ფეხის მხრიდან;
- შეამოწმეთ პულსი, მგრძნობელობა და კაპილარული ავსება ნახვევის ქვემოთ ყოველ 10 წთ-ში ერთხელ. თუ სისხლის მიმოქცევა ან მგრძნობელობა დაქვეითებულია, დაადეთ ნაკლებ მჭიდრო ნახვევი.

### **პირველადი დახმარება ჭრილობის სისხლდენის დროს**

არსებობს სამი სახის სისხლდენა:

სისხლი ცოტაა. ამ დროს ინფექციის საშიშროება მეტია:

- დაშავებულს მობანეთ ჭრილობა დასალევად ვარგისი ნებისმიერი უფერო სითხით;
- შეახვიეთ ჭრილობა სუფთა ქსოვილით;

სისხლი ბევრია. ამ დროს არსებობს სისხლის დაკარგვის საშიშროება:

- დააფარეთ ჭრილობას რამდენიმე ფენად გაკეცილი ქსოვილი და გააკეთეთ დამწოლი ნახვევი;
- თუ სისხლი ისევ ჟონავს, ჭრილობაზე ქსოვილი კიდევ დაახვიეთ (სისხლით გაჟღენთილი ქსოვილი არ მოხსნათ) და ძლიერად დააწექით სისხლმდინარ არეს;

ჭრილობიდან სისხლი შადრევანივით ასხამს. ამ დროს სისხლი ძალიან სწრაფად იკარგება. ამის თავიდან ასაცილებლად არტერიის საპროექციო არეს (ჭრილობის ზემოთ) თითით (ან თითებით) უნდა დააწვეთ, შემდეგ კი ლახტი დაადოთ. არტერიაზე ზეწოლის ადგილებია:

- მხრის ქვედა მესამედი და ბარძაყის ზედა მესამედი. ლახტის დადების წესი ასეთია: ი ლახტს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ადებენ, რადგან ის ხშირად შეუქცევად დაზიანებებს იწვევს;
- ლახტი ედება ჭრილობის ზემოთ;
- ლახტის დასადები ადგილი ტანსაცმლით უნდა იყოს დაფარული. თუ ჭრილობის ადგილი შიშველია, ლახტს ქვეშ სუფთა ქსოვილი უნდა დავუფინოთ;
- პირველი ნახვევი მჭიდრო უნდა იყოს (შეძლებისდაგვარად უნდა დამაგრდეს), შემდეგ ლახტი იჭიმება და ჭრილობის არეს დამატებით ედება 3-4-ჯერ (ლახტის მაგივრად შეიძლება გამოყენებულ იქნეს თოკი, ქამარი და სხვა);

- ლახტი ზამთარში ერთი, ზაფხულში კი ორი საათით ედება. შემდეგ 5-10 წუთით უნდა მოვუშვათ და თავდაპირველი ადგილიდან ოდნავ ზემოთ დავადოთ;
- შეამოწმეთ, სწორად ადევს თუ არა ლახტი - სწორად დადების შემთხვევაში კიდურზე პულსი არ ისინჯება;
- არ ჩავყოთ ხელი ჭრილობაში;
- ჭრილობიდან არაფერი ამოვიღოთ. თუ ჭრილობიდან გამოჭრილია უცხო სხეული, ვეცადოთ, ის მაქსიმალურად დავაფიქსიროთ (ნახვევი დავადოთ გამოჩრილი უცხო სხეულის ირგვლივ).

შინაგანი სისხლდენა ძნელად აღმოსაჩენი დაზიანებაა. ეჭვი მიიტანეთ შინაგან სისხლდენაზე, როდესაც ტრავმის მიღების შემდეგ აღინიშნება შოკის ნიშნები, მაგრამ არ არის სისხლის თვალსაჩინო დანაკარგი. შინაგანი სისხლდენის დროს:

- დააწვინეთ დაზარალებული ზურგზე და აუწიეთ ფეხები ზემოთ;
- შეხსენით მჭიდრო ტანსაცმელი კისერზე, გულმკერდზე, წელზე;
- არ მისცეთ დაზარალებულს საჭმელი, წამალი და სასმელი. თუ დაზარალებული გონზეა და აღენიშნება ძლიერი წყურვილის შეგრძნება, დაუსველეთ მას ტუჩები;
- დაათბუნეთ დაზარალებული – გადააფარეთ საბანი ან ქსოვილი;
- ყოველ 10 წთ-ში ერთხელ გადაამოწმეთ პულსი, სუნთქვა და ცნობიერების დონე. თუ დაზარალებული კარგავს გონებას, მოათავსეთ უსაფრთხო მდებარეობაში.

### **პირველადი დახმარება ელექტროტრავმის შემთხვევაში**

არჩევენ ელექტროტრავმის სამ სახეს:

**მაღალი ძაბვის დენით გამოწვეული ელექტროტრავმა.** მაღალი ძაბვის დენით გამოწვეული ელექტროტრავმის დროს განვითარებული დაზიანება უმრავლეს შემთხვევაში სასიკვდილოა. ამ დროს ვითარდება მძიმე დამწვრობა. კუნთთა ძლიერი შეკუმშვის გამო, ხშირად დაზარალებული გადაისროლება მნიშვნელოვან მანძილზე, რაც იწვევს მძიმე დაზიანებების (მოტეხილობების) განვითარებას. მაღალი ძაბვის დენით გამოწვეული ელექტროტრავმის შემთხვევაში:

- არ შეიძლება დაზარალებულთან მიახლოვება, სანამ არ გამოირთვება დენი და საჭიროების შემთხვევაში, არ გაკეთდება იზოლაცია.
- შეინარჩუნეთ 18 მეტრის რადიუსის უსაფრთხო დისტანცია.
- არ მისცეთ სხვა თვითმხილველებს დაზარალებულთან მიახლოვების საშუალება.
- ელექტროტრავმის მიღების შემდეგ, უგონოდ მყოფ დაზარალებულთან მიახლოვებისთანავე გახსენით სასუნთქი გზები თავის უკან გადაწევის გარეშე, ქვედა ყბის წინ წამოწევით;
- შეამოწმეთ სუნთქვა და ცირკულაციის ნიშნები. მზად იყავით რეანიმაციული ღონისძიებების ჩატარებისათვის;

- თუ დაზარალებული უგონო მდგომარეობაშია მაგრამ სუნთქავს, მოათავსეთ იგი უსაფრთხო მდებარეობაში;
- ჩაატარეთ პირველი დახმარება დამწვრობისა და სხვა დაზიანებების შემთხვევაში.

**დაბალი ძაბვის დენით გამოწვეული ელექტროტრავმა.** დაბალი ვოლტაჟის დენით განპირობებული ელექტროტრავმა შეიძლება გახდეს სერიოზული დაზიანებისა და სიკვდილის მიზეზიც კი. ხშირად ამ ტიპის ელექტროტრავმა განპირობებულია დაზიანებული ჩამრთველებით, ელექტროგაყვანილობითა და მოწყობილობით. სველ იატაკზე დგომის ან სველი ხელებით დაუზიანებელ ელექტროგაყვანილობაზე შეხებისას ელექტროტრავმის მიღების რისკი მკვეთრად მატულობს. დაბალი ძაბვის დენით გამოწვეული ელექტროტრავმის შემთხვევაში:

- არ შეეხოთ დაზარალებულს, თუ ის ეხება ელექტროდენის წყაროს;
- არ გამოიყენოთ ლითონის საგნები ელექტროდენის წყაროს მოშორების მიზნით;
- თუ შეგიძლიათ, შეწყვიტეთ დენის მიწოდება (გამორთეთ დენის ჩამრთველი). თუ ამის გაკეთება შეუძლებელია, გამორთეთ ელექტრომოწყობილობა დენის წყაროდან;
- თუ თქვენ არ შეგიძლიათ დენის გამორთვა დადექით მშრალ მაიზოლირებელ საგანზე (მაგალითად, ხის ფიცარზე, რეზინისა ან პლასტმასის საფენზე, წიგნზე ან გაზეთების დასტაზე);
- მოაშორეთ დაზარალებულის სხეული დენის წყაროდან ცოცხის, ხის ჯოხის, სკამის საშუალებით. შესაძლებელია გადაადგილოთ დაზარალებულის სხეული დენის წყაროდან ან პირიქით, თუ ეს უფრო მოსახერხებელია, გადაადგილოთ თვით დენის წყარო;
- დაზარალებულის სხეულზე შეხების გარეშე, შემოახვიეთ ბაწარი მისი ტერფებისა ან მხრების გარშემო და მოაშორეთ დენის წყაროს;
- უკიდურეს შემთხვევაში, მოკიდეთ ხელი დაზარალებულის მშრალ არამჭიდრო ტანსაცმელს და მოაშორეთ ის დენის წყაროდან;
- თუ დაზარალებული უგონო მდგომარეობაშია, გახსენით სასუნთქი გზები, შეამოწმეთ სუნთქვა და პულსი;
- თუ დაზარალებული უგონო მდგომარეობაშია, სუნთქვა და პულსი აქვს, მოათავსეთ უსაფრთხო მდებარეობაში. გააგრილეთ დამწვარი არეები და დაადეთ ნახვევი;
- თუ დაზარალებულს ელექტროტრავმის მიღების შემდეგ არ აღენიშნება ხილული დაზიანება და კარგად გრძნობს თავს, ურჩიეთ დაისვენოს.

**ელვის/მეხის ზემოქმედებით გამოწვეული ელექტროტრავმა.** ელვით განპირობებული ელექტროტრავმის დროს ხშირია სხვადასხვა ტრავმის, დამწვრობის, სახისა და თვალების დაზიანება. ზოგჯერ ელვამ შეიძლება

გამოიწვიოს უეცარი სიკვდილი. სწრაფად გადაიყვანეთ დაზარალებული შემთხვევის ადგილიდან და ჩაუტარეთ პირველი დახმარება როგორც სხვა სახის ელექტროტრავმის დროს.

### **სატრანსპორტო შემთხვევები, რეაგირება სატრანსპორტო შემთხვევების დროს**

ავტოსატრანსპორტო შემთხვევის დროს საჭიროა შემდეგი სტრატეგიული ქმედებების განხორციელება:

- სატრანსპორტო საშუალებების / ტექნიკის გაჩერება;
- ინფორმაციის გადაცემა შესაბამისი სამსახურებისთვის (საპატრულო პოლიცია, სასწრაფო სამედიცინო სამსახური);
- იმ შემთხვევაში თუ საფრთხე არ ემუქრება ადამიანის ჯანმრთელობას და არ არსებობს სხვა ავარიული სიტუაციების პროვოცირების რისკები (მაგ. სხვა სატრანსპორტო საშუალებების შეჯახება, ხანძარი, საწვავის დაღვრა და სხვ.), მაშინ:
- გადმოდით სატრანსპორტო საშუალებიდან / ტექნიკიდან ან მოშორდით ინციდენტის ადგილს და შეინარჩუნეთ უსაფრთხო დისტანცია;
- დაელოდეთ საპატრულო პოლიციის / სამაშველო რაზმის გამოჩენას.

დამატებითი საფრთხეების შემთხვევაში იმოქმედეთ შემდეგნაირად:

- გადმოდით სატრანსპორტო საშუალებიდან / ტექნიკიდან ან მოშორდით ინციდენტის ადგილს და შეინარჩუნეთ უსაფრთხო დისტანცია;
- ხანძრის, საწვავის დაღვრის შემთხვევებში იმოქმედეთ შესაბამის ქვეთავებში მოცემული რეაგირების სტრატეგიის მიხედვით;
- იმ შემთხვევაში თუ საფრთხე ემუქრება ადამიანის ჯანმრთელობას ნუ შეეცდებით სხეულის გადაადგილებას მოხსენით ყველაფერი რაც შესაძლოა სულს უხუთავდეს (ქამარი, ყელსახვევი);
- დაშავებულს პირველადი დახმარება აღმოუჩინეთ შესაბამის ქვეთავებში მოცემული პირველადი დახმარების სტრატეგიის მიხედვით (თუმცა გახსოვდეთ, რომ დაშავებულის ზედმეტი გადაადგილებით შესაძლოა დამატებითი საფრთხე შეუქმნათ მის ჯანმრთელობას).

**ბუნებრივი ხასიათის ავარიული სიტუაციები (მარგინალური ამინდის პირობები, მიწისძვრა, წყალმოვარდნა და სხვ)**

**ავარიული სიტუაციების წარმოქმნის ძირითადი პრევენციული ღონისძიებები**

ხანძრის / აფეთქების პრევენციული ღონისძიებები:

- პერსონალის პერიოდული სწავლება და ტესტირება ხანძრის პრევენციის საკითხებზე;

- ადვილად აალებადი და ფეთქებადსაშიში ნივთიერებების დასაწყობება უსაფრთხო ადგილებში. მათი განთავსების ადგილებში შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნების არსებობის მუდმივი კონტროლი;
- ხანძარსაწინააღმდეგო ნორმების დაცვა და მაღალი რისკის მქონე ტერიტორიებზე ქმედითუნარიანი სახანძრო ინვენტარის არსებობა;
- მუშაობის დროს უნებლივი და გაფანტული ხანძარსაშიში, ადვილად აალებადი ნივთიერებები უნდა იყოს ფრთხილად მოგროვილი და მოთავსებული ნარჩენების ყუთში. ის ადგილები, სადაც იყო დარჩენილი ან გაფანტული ხანძარსაშიში ნივთიერებები, უნდა იყოს გულმოდგინედ გაწმენდილი ნარჩენების საბოლოოდ მოცილებამდე.

საშიში ნივთიერებების დაღვრის პრევენციული ღონისძიებები:

- ნავთობპროდუქტების და ქიმიური ნივთიერებების შენახვის და გამოყენების წესების დაცვაზე მკაცრი ზედამხედველობა. შენახვამდე უნდა მოწმდებოდეს შესანაზი ჭურჭლის ვარგისიანობა;
- ნივთიერებების მცირე ჟონვის ფაქტის დაფიქსირებისთანავე სამუშაოების შეწყვეტა / დანადგარ-მექანიზმების მუშაობის შეჩერება და სარემონტო ღონისძიებების გატარება, რათა ინციდენტმა არ მიიღოს მასშტაბური ხასიათი;
- სარეზერვუარო პარკის დაზიანების და ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრის პრევენციული ღონისძიებები:
- სარეზერვუარო პარკის ტექნიკური გამართულობის სისტემატური კონტროლი და ექსპლუატაციის წესების დაცვა;
- პერსონალის პერიოდული სწავლება ობიექტის ექსპლუატაციის წესების დაცვის და ტექნიკური უსაფრთხოების საკითხებზე;
- პერსონალის პერიოდული სწავლება გარემოსდაცვით საკითხებზე;
- ობიექტის ტექნოლოგიური სისტემების გეგმიური და საჭიროების შემთხვევაში მიმდინარე შეკეთება;
- ავარიული სიტუაციების გამომწვევი ტექნიკური გაუმართაობის ოპერატორად გამოსწორება.

პერსონალის ტრავმატიზმის/დაზიანების პრევენციული ღონისძიებები:

- პერსონალის პერიოდული სწავლება და ტესტირება შრომის უსაფრთხოების საკითხებზე;
- პერსონალის აღჭურვა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;
- სახიფათო ზონები უნდა იყოს შემოფარგლული და აღნიშნული, ღამით ადვილად შესამჩნევი;
- შესაბამის ადგილებში სამედიცინო ყუთების განლაგება;
- სახიფათო ზონებში შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნების, ასევე უსაფრთხოების განათების მოწყობა:

- სპეციალური კადრების მომზადება, რომელიც გააკონტროლებს სამუშაო უბნებზე უსაფრთხოების ნორმების შესრულების დონეს და დააფიქსირებს უსაფრთხოების ნორმების დარღვევის ფაქტებს.

## **17 ობიექტის ექსპლუატაციის შეწყვეტის შემთხვევაში, გარემოს თავდაპირველ მდგომარეობამდე აღდგენის გზებისა და საშუალებების განსაზღრა**

### **ობიექტის მოკლევადიანი გაჩერება ან რემონტი**

ობიექტის ექსპლუატაციის დროებითი გაჩერების ან არსებული ობიექტების რემონტის შემთხვევაში, საექსპლუატაციო სამსახური შეიმუშავებს საქმიანობის დროებით შეჩერებასთან ან რემონტან დაკავშირებულ ოპერატიულ გეგმას, რომელიც პირველ რიგში მოიცავს უსაფრთხოების მოთხოვნებს და შეთანხმებული იქნება ადგილობრივ თვითმართველობასთან და ყველა დაინტერესებულ იურიდიულ პირთან.

### **ექსპლუატაციის ხანგრძლივი შეწყვეტა**

საწარმოს ან მისი ცალკეული უბნების ექსპლუატაციის ხანგრძლივი შეწყვეტის შემთხვევაში, მეწარმე ვალდებულია შექმნას ჯგუფი, რომელიც დაამუშავებს ექსპლუატაციის ხანგრძლივი შეწყვეტის გეგმას. ექსპლუატაციის ხანგრძლივი შეწყვეტის გეგმა შეთანხმებული უნდა იყოს რეგიონის უფლებამოსილ ორგანოებთან. გეგმის ძირითად შინაარსს წარმოადგენს უსაფრთხოების მოთხოვნები.

საქმიანობის შეწყვეტამდე საჭიროა გატარდეს შემდეგი სახის ღონისძიებები:

- საწარმოს შიდა აუდიტის ჩატარება – ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგომარეობის დაფიქსირება, ავარიული რისკების და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით პრობლემატური უბნების გამოვლენა და პრობლემის გადაწყვეტა;
- დამხმარე ინფრასტრუქტურის დროებითი დემობილიზაცია - საწარმოს გამოთავისუფლება დასაწყისული ნარჩენებისგან;
- ტერიტორიის პერიმეტრის გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნებით უზრუნველყოფა.

### **ობიექტის ლიკვიდაცია**

საწარმოს ან მისი ცალკეული უბნის გაუქმების შემთხვევაში, გარემოს წინანდელ მდგომარეობამდე აღდგენის გზებისა და საშუალებების განსაზღვრისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს სპეციალური პროექტის დამუშავება.

აღნიშნული პროექტის დამუშავებაზე პასუხისმგებელია საწარმოს ხელმძღვანელობა. არსებული წესის მიხედვით საწარმოს გაუქმების სპეციალური პროექტი შეთანხმებული უნდა იყოს უფლებამოსილი ორგანოებთან და ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიული პირს.

## 18 გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი

### ზოგადი მიმოხილვა

გარემოსდაცვითი ღონისძიებების იერარქია შემდეგნაირად გამოყურება:

- ზემოქმედების თავიდან აცილება/პრევენცია;
- ზემოქმედების შემცირება;
- ზემოქმედების შერბილება;
- ზიანის კომპენსაცია.

ზემოქმედების თავიდან აცილება და რისკის შემცირება შესაძლებლობისდაგვარად შეიძლება მიღწეულ იქნას ობიექტის ექსპლუატაციისას საუკეთესო პრაქტიკის გამოცდილების გამოყენებით. თუმცა ვინაიდან ყველა ზემოქმედების თავიდან აცილება შეუძლებელია, პროექტის გარემოსადმი მაქსიმალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სასიცოცხლო ციკლის ყველა ეტაპისთვის და ყველა რეცეპტორისთვის განისაზღვრება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა.

გარემოსდაცვითი მონიტორინგის და მენეჯმენტის წარმართვაზე, ასევე ყველა თანდართულ ინფორმაციაში (ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, მონიტორინგის გეგმა) განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაზე პასუხისმგებლობას იღებს საქმიანობის განმახორციელებელი.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში წარმოდგენილია ინფორმაცია პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შემარბილებელი ღონისძიებების და საჭირო მონიტორინგის შესახებ.

## შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა - გრაფიკი

№	საქმიანობა	პოტენციური რისკების აღწერა	დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებები	შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების გრაფიკი	შემარბილებელი ღონისძიებების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი
1	<ul style="list-style-type: none"> <li>• ინერტული მასალების (ქვიშა-ხრეშის) მსხვრევა;</li> <li>• წედლეულის ტრანსპორტირება საწარმოში;</li> <li>• პროდუქციის ტრანსპორტირება საწარმოდან;</li> <li>• ნავთობპროდუქტების გაცემა რეზერვუარიდან</li> </ul>	<p><b>ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• წედლეულის მსხვრევის დროს ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება სამუშაო ზონაში და სამუშაო ზონის გარე პერიმეტრზე;</li> <li>• გადასამუშავებელი წედლეულის და მიღებული პროდუქციის ტრანსპორტირება საწარმოს მიმდებარედ არსებულ გზაზე.</li> </ul>	<p><b>ხმაურის შემცირება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ძირითადი ხმაურიანი სამუშაოების და ინტენსიური სატრანსპორტო ოპერაციების წარმოება დღის საათებში;</li> <li>• სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა; მანქანების გადაადგილებისას ოპტიმალური მარშრუტის და სიჩქარის შერჩევა; მანქანების ძრავების ჩაქრობა ან მინიმალურ ბრუნზე მუშაობა, როცა არ ხდება მათი გამოყენება;</li> <li>• საჭიროების შემთხვევაში, პერსონალის უზრუნველყოფა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (ყურთსაცმები);</li> <li>• ხმაურის დონეების ინსტრუმენტული მონიტორინგი;</li> <li>• პერსონალის ინსტრუქტაჟი გარემოს დაცვის დაპროფესიული უსაფრთხოების საკითხებზე.</li> <li>• საჩივრების დაფიქსირება/აღრიცხვა და სათანადო რეაგირება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ყველა დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიება განხორციელდება სისტემატურად, მუდმივ რეჟიმში;</li> <li>• ხმაურის ინსტრუმენტული გაზომვა ჩატარდება კვარტალში 1-ჯერ და საჩივრის არსებობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ;</li> <li>• საწარმოს პერიმეტრზე ბუნებრივი ეკრანის სახით, მოხდება მაღალმოზარდი მცნარეების დარგვა, გაზაფხულზე, როცა იქნება შესაბამისი პერიოდი მცნარეების დარგვისთვის</li> </ul>	<p><b>შპს „მეგა პოლდინგი“</b></p>
		<p><b>ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება მტვრით</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არაორგანული მტვრის გავრცელება სამუშაო ზონის და სამუშაო ზონის შიდა და გარე პერიმეტრზე;</li> </ul>	<p><b>ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების შემცირება:</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ყველა დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიება განხორციელდება სისტემატურად, მუდმივ რეჟიმში;</li> </ul>	

	<ul style="list-style-type: none"> <li>გადასამუშავებელი ნედლეულის და მიღებული პროდუქციის ტრანსპორტირებისას ავტო-სატრანსპორტო საშუალებების მიერ გზის ამტვერება;</li> <li>გადასამუშავებელი ნედლეულის და მიღებული პროდუქციის ტრანსპორტირებისას ავტო-სატრანსპორტო საშუალებებიდან ნედლეულის/პროდუქციის ამტვერება;</li> <li>სამუშაო ზონაში ატმოსფერულ ჰაერში მტვრის კონცენტრაციის მომატება, რომელიც უარყოფითად აისახება მომსახურე პერსონალზე;</li> <li>სამუშაო ზონის გარეთ ატმოსფერულ ჰაერში მტვრის კონცენტრაციის მომატება, რომელიც უარყოფითად აისახება ადგილობრივ მოსახლეობაზე;</li> <li>ნავთობპროდუქტების გაცემის უბანზე მავნე ნივთიერებების გავრცელება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>მტვრის კონცენტრაციის შემცირების მიზნით, ნედლეულის მსხვრევა სველი მეთოდით;</li> <li>პერსონალის უზრუნველყოფა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (რესპირატორები);</li> <li>მისასვლელი გზების მორწყვა, განსაკუთრებით ცხელ და ქარიან ამინდში (საჭიროების შემთხვევაში 4-5-ჯერ დღეში);</li> <li>სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა;</li> <li>მანქანების გადაადგილებისას ოპტიმალური მარშრუტის და სიჩქარის შერჩევა. დასახლებული პუნქტის გავლით სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების აკრძალვა;</li> <li>მანქანების ძრავების ჩაქრობა ან მინიმალურ ბრუნზე მუშაობა, როცა არ ხდება მათი გამოყენება;</li> <li>საჩივრების არსებობის შემთხვევაში მათი დაფიქსირება / აღრიცხვა და სათანადო რეაგირება;</li> <li>ინსტრუმენტული მონიტორინგის წარმოება.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ატმოსფერული ჰაერის ხარისხის კონტროლის მიზნით, ინსტრუმენტული გაზომვა ჩატარდება კვარტალში 1-ჯერ და საჩივრის არსებობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ;</li> </ul>	
	<p><b>ნარჩენების წარმოქმნა და მართვა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>წარმოქმნილი ნარჩენების არასათანადო დაცული და გამართული ავტოსატრანსპორტო საშუალებებით გადატანა;</li> <li>სახიფათო ნარცენების არასწორი მართვა;</li> <li>სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების ერთმანეთთან შერევა;</li> <li>ნარჩენებით გარემოს დაბინძურება;</li> </ul>	<p><b>ნარჩენების შემცირება და დაფგენილი წესებით მართვა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>კომპანიის მიერ ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება და შეთანხმება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება მუდმივ რეჟიმში, სისტემატურად;</li> <li>სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების გატანა საწარმოს ტერიტორიიდან, დაგროვების შესაბამისად</li> </ul>	<p><b>შპს „მეგა პოლინგი“</b></p>

	<ul style="list-style-type: none"> <li>• ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტების არასწორი მართვა;</li> <li>• ნავთობპროდუქტების რეზერვუართან შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტების არასწორი მართვა;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საქმიანობის განხორციელება სამინისტროსთან შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;</li> <li>• ნარჩენების მართვისათვის სათანადო მომზადების მქონე პერსონალის (გარემოსდაცვითი მმართველი) გამოყოფა.</li> </ul>	
--	---	--	--

		<p>რეზერვუარის მიმდებარე ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების შემთხვევით დაღვრისას დაბინძურებული ნიადაგის/ქვიშიანი ფენის მოხსნა და შესაბამისი წებართვის მქონე ორგანიზაციაზე გადაცემა;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ნარჩენების შეძლებისდაგვარად ხელახლა გამოყენება ან/და აღდგენის ან ხელახლა გამოყენების მიზნით შესაბამისი უფლების მქონე ორგანიზაციაზე გადაცემა;</li> <li>• ნარჩენების შეგროვებაზე, მარკირებაზე და შემდგომი მართვის მიზნით გადაცემაზე მონიტორინგის დაწესება;</li> </ul>		
	<p><b>მოსახლეობის და მომსახურე პერსონალის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები</b></p>	<p>• მოსახლეობის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე მოსალოდნელი ზემოქმედება (ტრავმატიმთან ან/და ავარიებთან დაკავშირებული);</p>	<p><b>მოსახლეობის და მომსახურე პერსონალის უსაფრთხოება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ჯანმრთელობისათვის სახიფათო უბნების შემოღობვა და შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნების მოწყობა;</li> <li>• სატრანსპორტო ოპერაციებისას უსაფრთხოების წესების მაქსიმალური დაცვა და სიჩქარეების შეზღუდვა;</li> <li>• სამუშაო უბნებზე უცხო პირთა უნებართვოდ ან სპეციალური დამცავი საშუალებების გარეშე მოხვედრის და</li> </ul>	<p><b>შპს „მეგა ჰოლდინგი“</b></p>

			<ul style="list-style-type: none"> <li>• გადაადგილების კონტროლი;</li> <li>• პერსონალის უზრუნველყოფა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;</li> <li>• პერსონალისთვის ტრეინინგების ჩატარება უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის საკითხებზე;</li> <li>• სტანდარტული სამედიცინო ყუთების არსებობა;</li> <li>• საწარმოს მუშაობის შედეგად გამოწვეული ვიბრაციის პერიოდული გაზომვა;</li> </ul> <p>ნორმაზე გადაჭარბების შემთხვევაში სამუშაოების გაჩერება, მიზეზის დადგენა და პრობლემის აღმოფხვრა</p>	
	<p><b>ზემოქმედება სოციალურ გარემოზე, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სატრანსპორტო საშუალებების დაჯახება;</li> <li>• დენის დარტყმა;</li> <li>• სიმაღლიდან ჩამოვარდნა;</li> <li>• ტრავმატიზმი დანადგარ-მექანიზმებთან მუშაობისას, მოწამვლა;</li> <li>• დასაქმებულებისა და ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხება ხმაურით და მტვრის წარმოქმნით</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• პერსონალისთვის ტრეინინგების ჩატარება უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის საკითხებზე პერიოდულად;</li> <li>• დასაქმებული პერსონალის უზრუნველყოფა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;</li> <li>• ჯანმრთელობისათვის სახიფათო უბნების არსებობის შემთხვევაში შესაბამისი გამაფრთხილებელი, მიმთითებელი და ამკრძალავი ნიშნების დამოწმებება;</li> <li>• ჯანმრთელობისათვის სახიფათო უბნების შემოღობვა;</li> <li>• ჯანმრთელობისათვის სახიფათო უბნებზე</li> </ul>	<p>შპს „მეგა პოლდინგი“</p>

			<ul style="list-style-type: none"> <li>• სტანდარტული სამედიცინო ყუთების არსებობა;</li> <li>• მანქანა-დანალგარების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა;</li> <li>• სატრანსპორტო ოპერაციებისას უსაფრთხოების წესების მაქსიმალური დაცვა, სიჩქარეების შეზღუდვა;</li> <li>• სამუშაო უბნებზე უცხო პირთა უნებართვოდ ან სპეციალური დამცავი საშუალებების გარეშე მოხვედრის და გადაადგილების კონტროლი;</li> <li>• ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების სააღრიცხვო უკრნალის წარმოება;</li> <li>• ატმოსფერული ჰაერის და ხმაურის ინსტრუმენტული მონიტორინგი კვარტალში ერთხელ;</li> <li>• მისასვლელი გზების მორწყვა, განსაკუთრებით ცხელ ამინდში.</li> </ul>	
	<p>ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე; ტრანსპორტის გადაადგილებით გამოწვეული ზემოქმედება</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ტრანსპორტის გადაადგილებით გამოწვეული ზემოქმედება;</li> <li>• სატრანსპორტო ავარიული შემთხვევების რისკები;</li> <li>• სატრანსპორტო საშუალებების მიერ გამოწვეული ხმაური, ამტვერება;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სატრანსპორტო საშუალებების შეზღუდული სიჩქარით გადაადგილება;</li> <li>• მისასვლელი გზების მუდმივი მორწყვა, განსაკუთრებით მშრალ ამინდში;</li> <li>• სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება გადახურული ძარით და ასევე ღამის საათებში მოძრაობის შეზღუდვა;</li> <li>• ნედლეულით/პროდუქციით დატვირთული მანქანების</li> </ul>	შპს „მეგა პოლდინგი“

			დასახლებული პუნქტის სიახლოეს გადაადგილების შეზღუდვა;	
	<p><b>ზემოქმედება ნიადაგზე და გრუნტის ხარისხზე</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საწარმოო ტერიტორიაზე საწვავის ჩასხმის ან/და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების დროს მცირე რაოდენობის საწავავის შემთხვევითი დაღვრით გამოწვეული ზემოქმედება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შემთხვევითი დაღვრის შემთხვევაში, დაბინძურებული ტერიტორიის დაუყოვნებლივ მოხსნა და მოხსილი დაბინძურებული ნიადაგის/ქვიშის მართვა სახიფათო ნარჩენების მართვის წესების შესაბამისად</li> </ul>	შპს „მეგა ჰოლდინგი“
	<p><b>ნარჩენების დაბინძურებით გამოწვეული ზემოქმედება</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების არასწორი მართვა;</li> <li>• სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების ერთმანეთთან შერევა;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ნარჩენების მართვის გეგმის შეთანხმება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან;</li> <li>• ნარცენების მართვა შეთანხმებული ნარცენების მართვის გეგმის შესაბამისად;</li> <li>• ნარჩენების სეპარაცია, მარკირება;</li> <li>• ნარჩენების გატანა მხოლოდ შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიების მიერ.</li> </ul>	შპს „მეგა ჰოლდინგი“

## 19 გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა

მონიტორინგის მეთოდები მოიცავს ვიზუალურ დაკვირვებას და გაზომვებს. მონიტორინგის გეგმა აღწერს სამონიტორინგო პარამეტრებს, მონიტორინგის დროს და სიხშირეს, მონიტორინგის მონაცემების შეგროვებას და ანალიზს. მონიტორინგის მოცულობა დამოკიდებულია მოსალოდნელი ზემოქმედების/რისკის მნიშვნელოვნებაზე.

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში გარემოსდაცვითი მონიტორინგის ორგანიზება ითვალისწინებს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

- მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების დადასტურება;
- რისკებისა და ეკოლოგიური ზემოქმედებების კონტროლის უზრუნველყოფა;
- დაინტერესებული პირების უზრუნველყოფა სათანადო გარემოსდაცვითი ინფორმაციით;
- უარყოფითი ზემოქმედების შემამცირებელი/შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების დადასტურება, მათი ეფექტურობის განსაზღვრა და აუცილებლობის შემთხვევაში მათი კორექტირება;
- ექსპლუატაციის პერიოდში პერმანენტული გარემოსდაცვითი კონტროლი;
- საწარმოს ტერიტორიაზე მომუშავე პერსონალის და დასახლებულ პუნქტზე ზემოქმედების მონიტორინგის.

### 19.1 გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა-გრაფიკი

№	მონიტორინგის პარამეტრი	მონიტორინგის მიზანი	სამონიტორინგო ობიექტის მდებარეობა	მონიტორინგის მეთოდი	მონიტორინგის სიხშირე	პასუხისმგებელი მხარე
1	ხმაური და ვიბრაცია	<ul style="list-style-type: none"> <li>საწარმოს ექსპლოატაციის ეტაპზე უახლოეს საცხოვრებელ სახლთან ხმაურის და ვიბრაციის დადგენილი ნორმების დაცვა;</li> <li>მოსახლეობის შეწუხების თავიდან აცილება და მათი უკმაყოფილების გამორიცხვა;</li> <li>პერსონალისთვის კომფორტული სამუშაო პირობების შექმნა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>უახლოეს საცხოვრებელ სახლთან შემდეგ GPS კოორდინატებზე: x-450029; y-4641761</li> <li>საწარმოს ტერიტორია;</li> <li>მისასვლელი გზები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ინსტრუმენტულური გაზომვა კვარტალში 1-ჯერ და მოსახლეობის მხრიდან საჩივრების დაფიქსირების შემთხვევაში დაუყოვნებლივ;</li> <li>სატვირთო ავტომობილების გადაადგილების შერჩევის მარშრუტისა და ოპტიმალური სიჩქარის დაცვის კონტროლი;</li> <li>საწარმოში განთავსებული დანადგარების გამართულობის კონტროლი;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ინსტრუმენტულური გაზომვა კვარტალში 1-ჯერ და მოსახლეობის მხრიდან საჩივრების დაფიქსირების შემთხვევაში დაუყოვნებლივ;</li> </ul>	შპს „მეგა ჰოლდინგი“
	ატმოსფერული ჰაერის ხარისხი	<ul style="list-style-type: none"> <li>სამუშაო ზონაში და სამუშაო ზონის გარეთ ატმოსფერულ ჰაერში მტვრის კონცენტრაციის ზღვრულად დადგენილი ნორმების დაცვა;</li> <li>მოსახლეობის შეწუხების თავიდან აცილება და მათი უკმაყოფილების გამორიცხვა;</li> <li>მოსახლეობისთვის და პერსონალისთვის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>საწარმოს ტერიტორიაზე და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან შემდეგ GPS კოორდინატებზე: x-450029; y-4641761</li> <li>მისასვლელი გზები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>მტვრის კონცენტრაციის ინსტრუმენტულური გაზომვა;</li> <li>სატვირთო ავტომობილების გადაადგილების შერჩევის მარშრუტისა და ოპტიმალური სიჩქარის დაცვის კონტროლი;</li> <li>სატვირთო ავტომობილების გადაადგილების შერჩევის მარშრუტისა და ოპტიმალური სიჩქარის დაცვის კონტროლი;</li> <li>ადვიდად ამტვერებადი მასალების დასაწყობებაზე</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>მტვრის კონცენტრაციის ინსტრუმენტულური გაზომვა კვარტალში 1-ჯერ და მოსახლეობის მხრიდან საჩივრების შემოსვლის შემთხვევაში დაუყოვნებლივ;</li> <li>ყველა სხვა კომპონენტის მონიტორინგი მუდმივ რეეიმში</li> </ul>	შპს „მეგა ჰოლდინგი“

			<p>ვიზუალური მონიტორინგი</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ადვილად ამტვერებადი მასალების ტრანსპორტირების წესების დაცვის (სათანადო გადახურვა) მონიტორინგი;</li> <li>• ძარაგადახურული ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენება</li> <li>• ავტოტრანსპორტის დასუფთავება საწარმოს ტერიტორიის დატოვებამდე.</li> </ul>		
წარმოქმნილი ნარჩენები	<p>საყოფაცხოვრებო (მუნიციპალური) და სახფათო ნარჩენების სეპარირებული შეგროვება;</p> <p>ნარჩენების შეძლებისდაგვარად ხელახლა გამოყენება ან/და აღდგენის, ხელახლა გამოყენების ან განთავსების მიზნით შესაბამისი უფლების მქონე ორგანიზაციაზე გადაცემა;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საწარმოს შიდა და გარე პერიმეტრის ნიადაგის საფარის და გრუნტის წყლების დაბინძურებისგან დაცვა;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ნარჩენების წარმოქმნისა და განთავსების ადგილები;</li> <li>• საწარმოს შიდა და გარე პერიმეტრი;</li> <li>• მისასვლელი გზები</li> </ul>	<p>ვიზუალური</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ნარჩენების წარმოქმნის, შეგროვების და დასაწყობებისას;</li> <li>• ნარჩენების ტრანსპორტირებისას;</li> <li>• საწარმოს შიდა და გარე პერიმეტრის ყოველდღიური დათვალიერება;</li> </ul>	შპს „მეგა ჰოლდინგი“

	<p><b>ნიადაგი და გრუნტის წყალი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საწარმოს შიდა და გარე პერიმეტრის გრუნტის წყლების დაბინძურებისგან დაცვა;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საწარმოს შიდა და გარე პერიმეტრი;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ვიზუალური დათვალიერება;</li> <li>• სატეირო ავტომობილების გამართულობის კონტროლი (ნავთობპროდუქტების დაღვრა);</li> <li>• ავტოგასამართი სვეტიდან ნავთობპროდუქტების დაღრვის კონტროლი და თავიდან აცილება;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საწარმოს შიდა და გარე პერიმეტრის ყოველდღიური დათვალიერება;</li> <li>• ნავთობპროდუქტების მიღების და გაცემის დროს ვიზუალური კონტროლი;</li> <li>• ნარჩენების ტრანსპორტირებისას;</li> </ul>	<b>შპს „მეგა ჰოლდინგი“</b>	
